ედუარდ შევარდნაძე:

ქვირფასო თანამემამულენო! გილოცავთ 26 მაისის დიდ ეროვნულ დღესასწაულს და გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებას, იმედი ნუ მოგიშალოთ ღმერთმა! ხვალინდელი დღე დღევანდელზე უკეთესი იქნება.

დალოცვილი იყოს დედასაქართველო აწ და მარადის, მრავალჟამიერ!

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან № 95-96 (898) ხუთშაბათი, 26 მაისი, 1994 წელი ფასი 9000 კუპონი

ვაშენოთ ახალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველო

ედუარდ შევარდნაძე,
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური

მაისი XX საუკუნის საქართველოს ისტორიაში შევიდა, რო- ეროვნული დამოუკიდებლობის დღესასწაული. ეს ქართველი რავალსაუკუნოვანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაო- თი დიდი ისტორიული ეტაპის დამაგვირგვინებელი თარიღია ვე დროს საქართველოს სუვერენული, დემოკრატიული რეს- ის, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის უყვალაუსვ- სიმბოლო.

დღეს აღსდგა საქართველოს სახელმწიფოებრიობა.

დიდ დღესასწაულს ვულოცავ დღეს საქართველოს ყველა მო- ს.

ველი ერი მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციის ელი ერია. საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორია უხ- დროში იღებს სათავეს. ამიტომ სავსებით ლოგიკური იყო უკუნის დამდეგს ახალი ქართული დემოკრატიული სახელმწი- და ახალი ქართული კონსტიტუციის დაბადება, ქართული რენესანსის დამკვიდრება.

მაისი წლეულს განსაკუთრებულ კონკრეტულ-ისტორიულ ვი- ში აღინიშნება. ამ ვითარებას სხვადასხვაგვარად აფასებენ სხვა ძალები, მაგრამ ერთი ჭეშმარიტება უდავოა: დღეს ჩვენ ებით დემოკრატიული სახელმწიფოსა და საზოგადოების კრი- განვითარების ეტაპზე, უფრო სწორად, კრიზისიდან სტაბი- საკენ გარდამავალ ეტაპზე.

ვითარებაში, აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, სულ უფრო ება და სრულყოფილი ხდება საქართველოს რესპუბლიკის და საგარეო პოლიტიკა, საქართველოს გეოპოლიტიკური ეობა, მისი როლი და მნიშვნელობა ამიერკავკასიისა და ის, წინა აზიის, შავი ზღვის აუზის ქვეყნების რეგიონისა და იდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სივრცეში, მთელ ოში.

თველო დღეს მსოფლიოს ხალხთა თანამეგობრობის სრულ- ბიანი წევრია.

ორი წლის მანძილზე გამოიკვეთა ბევრი ისტორიული ტენ- ა, რომლებიც 26 მაისის სულისკვეთებას შეესაბამება. დღეს მხოლოდ ზოგიერთ მათგანს გავუსვა ხაზი.

ნომიკის სფეროში შეუქცევადი გახდა რეფორმების, ტოტალი- ეკონომიკური სისტემის დემონტაჟისა და საბაზრო ეკონო- დამკვიდრების პროცესი, რომელსაც განუხრელად ახორციე- სახელმწიფო სისტემა, მინისტრთა კაბინეტი, პარლამენტი, ად- ივი მუნიციპალური ხელისუფლებისა და მმართველობის ორ-

მწიფოს მეთაურის ბრძანებულების საფუძველზე შემუშავ- მთავრობო ფუნდამენტური ანტიკრიზისული პროგრამა, სო- ური და ეკონომიკური განვითარების პროგნოზები 2000

ისის დაძლევის ეროვნული პროგრამა მოწონებულ იქნა — წიფოს მეთაურის ბრძანებულებით, ფართო დისკუსიისა და ის შემდეგ — მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით.

ნიშნული პროგრამა დადებითად შეაფასა საერთაშორისო სა- ტო ფონდმა, მსოფლიო ბანკმა, ევრობანკმა, ბევრმა სხვა სა- რისო ორგანიზაციამ და მისი განხორციელებისათვის დახ- აღგვითქვა.

მთავარია პროგრამა რეალობად იქცეს.

მიგვაჩნია, რომ საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება — ეს 26 მაისის იდეების ერთგულება, თავისუფალი, ავტონომიურად ონირებადი ეკონომიკის შექმნა — პოლიტიკური, კონსტი- ური, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის საიმედო ლის ჩაყრა.

მწიფო ხელისუფლების ორგანოები, მთავრობა და პარლა- ახორციელებენ გეგმაზომიერ საგანგებო ღონისძიებებს კუპო- ის განმტკიცების, ფინანსური და ეკონომიკური საბანკო ების რეალიზაციის მიზნით.

ხაროდ, ინფლაცია და ჰიპერინფლაცია, სხვა ნეგატიური ები ხელს უშლიან ეკონომიკური რეფორმების ეფექტია-

რმების დარგში ისტორიული გენეზისის თვალსაზრისითაც საინტერესო სურათი გვაქვს.

აცია და ჰიპერინფლაცია 1918-1921 წლებშიც ძირს უთხრიდა ველოს პირველი რესპუბლიკის ეკონომიკას და მის ფულად ს — ბონს.

ხაროდ, ჩვენს თანამედროვე რესპუბლიკაშიც მძიმე დღე გარდამავალ ეროვნულ ვალუტას — კუპონს, რომლის გაუ- ების ძირითადი მიზეზი ეკონომიკის დამბლა გახლავთ.

ობა, არც ისე იოლია ეროვნული ფულის, ეროვნული ფინან- ეროვნული ეკონომიკის შექმნა, ჩამოყალიბება, ფორმირება. ყო ის XX საუკუნის დამდეგს, ძნელია ის დღესაც, ამ სა- დამლევსაც.

ვარი მაინც ის არის, რომ გვაქვს სოციალური, პოლიტიკური ზმის საფუძველი. ერთი წლის შემდეგ, როცა დამოუკიდე- დემოკრატიული საქართველო კვლავ აღნიშნავს 26 მაისის ულ დღესასწაულს, დარწმუნებული ვარ, სხვა სურათი გვექ- უკვე შესამჩნევად გამოცოცხლებულ ეროვნულ ეკონომიკაში. ხელს შეუწყობს ფართო მასშტაბის ანტიკრიზისული ეროვნუ- როგრამის განხორციელება, ბიუჯეტის დაბალანსება, ფინანსების რმა, სახელმწიფო ხაზინის შექმნა, პრივატიზაციის ფართო მას- მცირე, საშუალო და დიდი ბიზნესის ჩამოყალიბება და თარება, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ევრობანკის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, შავი ზღვის აუზის ქვეყნების ალიანსის, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის, საფრანგეთის, უკრაინის, რუსეთის, მრავალი სხვა ქვეყნის კრედიტები, ინვესტიციები, ჰუმანური დახმარება, სხვა სახის ეკონომიკური ურთიერთობანი, რომლებიც საბაზრო ეკონომიკისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების საფუძველზე ხორციელდება.

გარდამავალ პერიოდში იარსებებს ეკონომიკის სახელმწიფო და კერძო სექტორები, მაგრამ ორივე სექტორი მხოლოდ საბაზრო პრინციპებით იმოქმედებს, გამოირიცხება მონოპოლიზმი, დამკვიდრდება თავისუფალი კონკურენცია, თავისუფალი მეწარმეობა და კომერცია.

ასეთი იქნება ჩვენი ეკონომიკური სტრატეგიის ზოგიერთი წამყვანი მიმართულება.

პოლიტიკური სტრატეგია და სახელმწიფო რეფორმები ბოლო ორი წლის მანძილზე ხორციელდებოდა ეროვნული და თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევების გათვალისწინებით, მეტ-ნაკლები წარმატებით, წინააღმდეგობრივად, მაგრამ მუდამ განუხრელი დემოკრატიული კურსით, 26 მაისის იდეების სულისკვეთებით.

ხშირად ვამბობთ, რომ საქართველოს თანამედროვე რესპუბლიკა 1918 წლის 26 მაისის პირველი ქართული რესპუბლიკის მემკვიდრეა და ეს დებულება სწორია. ეს პოლიტიკური ფორმულა, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება 1921 წლის კონსტიტუციის იდეებისადმი, მისი არსისადმი ჩვენს ერთგულებაში.

დღეს მოქმედებს კონსტიტუციური კანონი ხელისუფლების შესახებ და 1921 წლის კონსტიტუცია. მაგრამ ეს ორი ფუძემდებლური დოკუმენტი ვერ ავსებს „კონსტიტუციურ და სამართლებრივ ვაკუუმს", ისინი მოითხოვენ კორექტირებასა და სრულყოფას საქართველოს დინამიკურად ცვლადი საშინაო და საერთაშორისო ვითარების, ეროვნული და მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის მიღწევების გათვალისწინებით.

სახელმწიფო აღმშენებლობისა და პოლიტიკური სტრატეგიის ინტერესები მოითხოვს პარლამენტის, მთავრობის, სამინისტროების, დეპარტამენტების, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების სტრუქტურის, ფუნქციების, საქმიანობის სრულყოფას.

საჭიროა ახალი ნაბიჯების გადადგმა სახელმწიფო რეფორმების დარგში.

განვლილი ორი წლის მანძილზე დემოკრატიზმის, კონსტიტუციონიზმის, გარდამავალი პერიოდის სპეციფიკის მოთხოვნების შესაბამისად შეიცვალა პარლამენტის, მთავრობის, ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურები. ყოველ ასეთ გამართლებულ ცვლილებას ხალხის ინტერესები ედო საფუძვლად.

საქართველოს პარლამენტი 26 მაისის, ეროვნული, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და დემოკრატიზმის სიმბოლოა და რა კრიზისული, ძნელი და რთულიც უნდა იყოს მისი საქმიანობის მართვა, უნდა გავუძლოთ, უნდა სრულვყოთ მისი საქმიანობა. მტკიცედ მჯერა, რომ ერის სამომავლო გზა დემოკრატიული განვითარების საძირკველზე გაივლის.

პარლამენტმა მიიღო არაერთი კანონი. საბაზრო ეკონომიკას, სამართლებრივ სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოებას თანდათანობით საფუძვლად ედება მყარი სამართლებრივი ბაზა.

ამავე დროს, პარლამენტში ყველა ფრაქციამ, ოპოზიციამ, საპარლამენტო უმრავლესობამ თუ უმცირესობამ, უნდა გააცნობიეროს, რომ ეროვნული ენერგია და ინტელექტი, ერის ნიჭი და სულიერი კულტურა უმიზნოდ არ უნდა იხარჯებოდეს, მას უფრო მეტი კონსტრუქციული, აღმშენებლობითი პათოსი უნდა გააჩნდეს, ვიდრე ეს დღეს არის.

საპარლამენტო განვითარების თანამედროვე ეტაპი სამწუხაროდ, ზოგჯერ დესტრუქციულ ხასიათს ატარებს, ხშირად ადგილი აქვს კონფრონტაციას, რეგლამენტისა და საპარლამენტო ეთიკის ნორმების დარღვევას.

არ არის საჭირო ეროვნული მოძრაობის სხვადასხვა ნაკადთა ურთიერთდაპირისპირება, ფრაქციების პოლიტიკური დუელი აკრძალული ილეთებით. ისტორია ყველას და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს.

ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ, ერთი მხრივ, ეროვნული სახელმწიფოებრიობის სიტყვიერი დეკლარაცია, და, მეორე მხრივ, მისი რეალური მშენებლობა.

საჭიროა განხორციელდეს კონსტიტუციური რეფორმები.

დავიწყოთ კონსტიტუციის პროექტის ან მთლიანი ან მისი შემადგენელი ნაწილების განხილვა.

ახალი კონსტიტუციის თანახმად, შეიქმნება ახალი პარლამენტი, აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემა, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების გვერდით ჩამოყალიბდება სასამართლო ხელისუფლება, ადგილობრივი მუნიციპალური მმართველობისა და ხელისუფლების ორგანოები.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ერთ-ერთი უმთავრესი მოვლენა იყო საქართველოს შესვლა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში; რუსეთთან ახალი ურთიერთობის მშენებლობის დაწყება.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლა საქართველოს სწორედ 26 მაისის იდეალების რეალურად განხორციელებისათვის სჭირდება.

დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობაში შეუსვლელად შეუძლებელია ეკონომიკური კრიზისის დაძლევა და ეთნოკონფლიქტების მოგვარება, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ამიტომ, როგორი არაპოპულარულიც უნდა იყოს ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღება, თუ მისი მიღების აუცილებლობა მეცნიერულად დასაბუთებულია, ხელისუფლებამ, მთავრობამ უნდა მიიღონ ასეთი გადაწყვეტილება და მოთმინებით განუმარტონ ხალხს მიღებული გადაწყვეტილების სისწორე. ეს აქტი ისტორიული გარდაუვალობითა და ეროვნული ინტერესებით არის ნაკარნახევი.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლა სულაც არ ნიშნავს, რომ ნაკლებ ყურადღებას დავუთმობთ ურთიერთობის განვითარებას დასავლეთის ქვეყნებთან, გაეროსთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, მსოფლიო ბანკთან, ევროთათბირთან, ევროგაერთიანებასთან, შავი ზღვისპირა ქვეყნების ალიანსთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ჩვენი ქვეყანა არის და იქნება დამოუკიდებელი, ეროვნული, სუვერენული სახელმწიფო.

სოციალური სფერო, მოქალაქეთა სოციალური დაცვა ჩვენი სინამდვილის ყველაზე მწვავე საკითხია.

ადამიანი არის ყველაფრის საზომი. ადამიანი უზენაესი ფილოსოფიური და პოლიტიკური ღირებულებაა. ეს არის ჩვენი დემოკრატიისა და ჰუმანიზმის საფუძველთა საფუძველი.

ამიტომ ადამიანისათვის ზრუნვა მოითხოვს ჰუმანური სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების შექმნას, და ჩვენი პოლიტიკის ქვაკუთხედია სამი ძირითადი მიმართულება; საბაზრო ეკონომიკა, სამართლებრივი სახელმწიფო, თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოება.

დემოკრატია, თავისუფლება, სუვერენიტეტი, კონსტიტუციისა და კანონის უზენაესობა —აი, ჩვენი გზა მომავლისაკენ.

ეს ყველაფერი იქმნება ადამიანისათვის, ამიტომ ადამიანის მოქალაქეობრივი უფლებების, მათ შორის სოციალური უფლებების დაცვა თანამედროვე ცივილიზაციის მოთხოვნების დონეზე, ჩვენი უმთავრესი ამოცანაა.

სამწუხაროდ, დღეს გვაქვს დაუბალანსებელი, კატასტროფულად დეფიციტური ბიუჯეტი. ვფარავთ რა დეფიციტს საბანკო კრედიტებით, კიდევ უფრო ვაღრმავებთ ეკონომიკურ და ფინანსურ კრიზისს.

სათანადო საზოგადოებრივი ფონდები და სხვა ეფექტიანი ინფრასტრუქტურული გარემო შექმნილი არ არის.

ამიტომ გასაგები უნდა იყოს, რომ მოსახლეობის სოციალური დაცვა მეტად ჭირს. ასობით ათასი უმუშევრის გვერდით 300 ათასამდე ლტოლვილი, დევნილი თანამემამულე, ხიზანი გვყავს. მათ მოვლა და დახმარება სჭირდებათ, სახსრები და რესურსები კი არ გვყოფნის.

უცხოელი მეგობრების ჰუმანური დახმარება დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ მუდმივად ქველმოქმედების იმედით ცხოვრება შეუძლებელია. ნაკლოვანებებია ამ დახმარების განაწილებაშიც, რომელთა აღმოსაფხვრელად საგანგებო ღონისძიებებს განვახორციელებთ.

რესპუბლიკის მოსახლეობის 90 პროცენტი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. კუპონმა თითქმის დაკარგა ფულის ფუნქცია, ინფლაციისა და ჰიპერინფლაციის პირობებში ხელფასი, სტიპენდია, პენსია — მხოლოდ ორი-სამი დღის სამყოფია. ეხლა, მთავარია ეროვნული ვალუტის პრობლემის გადაჭრა, ფინანსების გაჯანსაღება, ეკონომიკური კოლაფსიდან გამოსვლა, ენერგოშემცველების პრობლემის მოგვარება, მომავალი ზამთრისთვის მზადება, მოსახლეობისთვის საარსებო მინიმუმის შექმნა. სწორედ ეს არის ჩვენი უმთავრესი საზრუნავი.

ცენტრალურმა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ და მმართველობის ორგანოებმა **შეიმუშავეს ეროვნული უსაფრთხოების ფართო პროგრამა**, რომელიც ახალ შინაარსს იძენს. ის გულისხმობს არა მარტო საარსებო დონის შენარჩუნებას, არამედ პერსპექტივაში ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასაც.

დღეს კი, თანამედროვე ეტაპზე, საჭიროა შიმშილისა და სიღატაკის საშიშროების დაძლევა, მოსახლეობის უზრუნველყოფა მინიმალური სამომხმარებლო კალათით.

ეროვნული უსაფრთხოების ახალი სისტემა გულისხმობს, ერის, სახელმწიფოს, ყოველი მოქალაქის პოლიტიკურ, სამართლებრივ, ეკონომიკურ, ფინანსურ, დემოგრაფიულ, ეკოლოგიურ, სამხედრო და მრავალი სხვა ასპექტით დაცვას.

გარკვეული მიღწევებია მოპოვებული თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების, არმიისა და ფლოტის, სასაზღვრო, შინაგანი ჯარების ჩამოყალიბების, მათი საბრძოლო, პროფესიული და მორალური მომზადების დარგში.

მნიშვნელოვნად გაძლიერდა საქართველოს თავდაცვისუნარიანობა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლის შედეგად.

შეიარაღებული ძალების შექმნაში დაგვეხმარებიან დსთ-სა და ნატოს ქვეყნები.

თანამედროვე ეტაპზე შეიცვალა და გაძლიერდა თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობის ბირთვი, ახალი კადრებით შეივსო გენერალიტეტი და ოფიცერთა კორპუსი, უკეთ მიმდინარეობს წვევამდელთა გაწვევა, გაიხსნა ეროვნული სამხედრო და სამხედრო-საზღვაო აკადემიები, დაინიშნა ახალი მინისტრი, გამოცდილი გენერალი, განიარაღდა ბანდიტური შეიარაღებული ძალების დიდი ნაწილი, სხვა ნაწილების განიარაღება გრძელდება, იქმნება ერთიანი თანამედროვე არმია და ფლოტი, რომელიც დაექვემდებარება ერთიან სამხედრო დოქტრინას, რკინისებურ დისციპლინას, უშუალოდ თავდაცვის მინისტრსა და შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს — სახელმწიფოს მეთაურს.

დინამიკურად ვითარდება და მტკიცდება არა მარტო არმია, ფლოტი, სასაზღვრო ჯარები, არამედ სახელმწიფოს სხვა ძალისმიერი სტრუქტურებიც — შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო უშიშროების სამსახური სრულყოფენ თავის საქმიანობას, იუსტიციის სამინისტრო, სასამართლო, პროკურატურა, რომლებიც ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების ხერხემალს წარმოადგენენ.

ახალი კონსტიტუცია უფრო დემოკრატიულ და ცივილიზებულ დონეზე ჩამოაყალიბებს ძალისმიერი სტრუქტურების — სამინისტროებისა და დეპარტამენტების ახალ სისტემას, უფრო სრულყოფს და განამტკიცებს მათ ბრძოლისუნარიანობას და ეფექტიანობას.

ახალი კონსტიტუციის საფუძველზე ჩამოყალიბდება სასამართლო ხელისუფლება. განხორციელდება სასამართლო რეფორმა. ეს იქნება დიდი, წინგადადგმული ნაბიჯი ხელისუფლების დანაწილებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების აღმშენებლობის გზაზე.

ძალოვანი სტრუქტურების ეფექტიანი, კომპლექსური, ინტეგრირებული მოქმედების შედეგი იყო, რომ მოხერხდა ფართომასშტაბიანი სამოქალაქო ომის თავიდან აცილება, კრიმინოგენული სიტუაციის გარკვეული განმუხტვა, შეიარაღებული ბანდების განიარაღება.

(დასასრული მე-2 გვ.).

გვილოცავენ დღესასწაულს

მის აღმატებულებას ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს

პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ,

გულითადად გილოცავთ ეროვნულ დღესასწაულს — საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს და გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და წარმატებებს პირადად თქვენ, აგრეთვე თანხმობასა და აყვავებას თქვენი ქვეყნის ხალხებს.

მჯერა, რომ რუსეთისა და საქართველოს მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობა და თანამშრომლობა კვლავაც განვითარდება ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების საკეთილდღეოდ და ხელს შეუწყობს მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფას კავკასიის რეგიონში.

ბ. ელცინი.

ქ. მოსკოვი, კრემლი. 1994 წლის 24 მაისი.

მის აღმატებულებას ბატონ ედუარდ შევარდნაძეს — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურს

პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ,

გულწრფელად გილოცავთ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ დღესასწაულს — სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ პირადად თქვენ და მეგობარ ქართველ ერს.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის დამყარებული მეგობრობა, პარტნიორობა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა შემდგომშიც განვითარდება და გაღრმავდება ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ, ხელს შეუწყობს მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებას უძველესი საქართველოს მიწა-წყალზე და მთელ კავკასიის რეგიონში.

პატივისცემით

ლ. კრავჩუკი.

მის აღმატებულებას ბატონ ედუარდ შევარდნაძეს — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურს

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით მიიღეთ, თქვენო აღმატებულებავ, ჩემი საუკეთესო სურვილები, გისურვებთ, რომ თქვენმა მცდელობამ ეროვნული ერთიანობისათვის და დემოკრატიის განვითარებისათვის დაამყაროს მშვიდობა ქვეყანაში და ასევე მთელ რეგიონში.

ღმერთს ვთხოვ, თქვენო აღმატებულებავ, შეგეწიოთ თქვენ და თქვენ თანამემამულეებს ამ საპასუხისმგებლო საქმეში.

იოანე პავლე II.

მის აღმატებულებას საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს

თქვენო აღმატებულებავ,

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით მინდა გადმოგცეთ ჩემი გულითადი მილოცვა და გისურვოთ, რომ ეს დიდი და მნიშვნელოვანი დღე სასიკეთო ყოფილიყოს ქართველი ხალხისათვის.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მეგობარი და მოძმე ქართველი ხალხი, რომელთანაც ჩვენ დიდი ისტორიული და კულტურული კავშირები გვაქვს, თქვენი ხელმძღვანელობით კიდევ უფრო განვითარდება.

ჩვენ გვჯერა, რომ სტაბილურობის პირობებში, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება ქვეყანაში მშვიდობითა და უსაფრთხოებით, საქართველო წარმატებით გადაჭრის თავის ყველა პრობლემას და ახლო მომავალში მიაღწევს აყვავებას. თურქეთი განაგრძობს შესაძლო დახმარების აღმოჩენას თქვენი ძალისხმევისათვის, რომელიც მიმართულია ამ მიზნებისაკენ.

თურქი ხალხის სახელით კიდევ ერთხელ გილოცავთ ეროვნულ დღესასწაულს და ვუსურვებ თქვენს აღმატებულებას, მეგობარ და მოძმე ქართველ ხალხს მშვიდობიან დღეებს, წარმატებასა და ბედნიერებას.

სულეიმან დემირელი,
თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

ბატონ ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს

ბატონო პრეზიდენტო,

დღეს, როცა თქვენი ქვეყანა ეროვნულ დღესასწაულს აღნიშნავს, ესპანეთის მთავრობასთან და ხალხთან ერთად სიხარულითა და მთელი გულით გილოცავთ თქვენ.

ვსარგებლობ შემთხვევით, ბატონო პრეზიდენტო, და მინდა გისურვოთ პირადად თქვენ ბედნიერება, მშვიდობა და აყვავება — მეგობარ ქართველ ხალხს.

ხუან კარლოსი,
ესპანეთის მეფე.

მის ბრწყინვალებას ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს

თქვენო აღმატებულებავ,

ფილიპინების რესპუბლიკის მთავრობისა და ხალხის სახელით ვუგზავნი თქვენს აღმატებულებას გულთბილ სალამს და გისურვებთ წარმატებებს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით.

იმედი მაქვს ჩვენს შორის მჭიდრო თანამშრომლობისა ჩვენ ქვეყნებსა და ხალხებს შორის ურთიერთობის გაღრმავებისათვის.

ვუსურვებ თქვენს ბრწყინვალებას ჯანმრთელობასა და წარმატებებს, ხოლო ქართველ ხალხს — ბედნიერებასა და აყვავებას.

ფილიპინების პრეზიდენტი
ფერდინანდ რამოსი.

თსუ-75

გუშინ, 26 მაისს საზეიმოდ აღინიშნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 75 წლისთავი.

ამ მოვლენის ამსახველ მასალებს ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ.

დღე, რომელიც სამუდამოდ დარჩება საქართველოს ისტორიაში

გადაარჩენს უსასტიკესი პო- კური კატაკლიზმებისაგან გაწყვეტილ საქართველ- რა იხსნის უფსკრულის პირ- მდგარ ქვეყანას, რომლის მრა- საუკუნოვანი ისტორიაც, ბე- ირონიით თუ განგების ნებ- თავისი თვითმყოფადობის, მწიფოებრიობის შენარჩუ- და დამკვიდრებისათვის წყვეტო ბრძოლის უთვალა- ვალითით არის აღსავსე; რა შემოაყენებს ფეხზე მის ულ ეკონომიკას, რომელიც გამანადგურებელი შედე- დაუნდობლად შემოიჭრა ეულ ოჯახში; და კიდევ „რა იხსნის" და „რა გა- ", — ასეთია ჩვენი თანამედროვეობის უპირველესი და ყველაზე მტკივნეული საკითხავი, თანაბრად რომ აწუხებს და აფორიაქებს თითოეულ ჩვენგანს, საქართველოს ყველა მცხოვრებს, განურჩევლად მოღვაწეობის სფეროსი, ეროვნებისა და რელიგიური კუთვნილებისა. როგორი პატრიოტი და გენიოსიც უნდა იყო, ძნელია და, ალბათ, შეუძლებელიც, ხსნისა და გადარჩენის შეუმცდარი მზა რეცეპტი მიაწოდო ამგვარ ვითარებაში მყოფ ქვეყანას, მაგრამ მაინც არსებობს ერთი ელემენტარული ჭეშმარიტება, რომელიც ყველა დროსა და ვითარებაში უძლებდა ყოველგვარ გამოცდას — დანაწევრებულ-დათითოკაცებული ერი, რაც უნდა დიდი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო შესაძლებლობების პატრონი იყოს, ვეროდეს მიაღწევს ნამდვილი სახელმწიფოებრიობის სიმაღლემდე. ეს ჭეშმარიტება უფრო მეტად საცნაურია დღეს — უამრავი ტკივილითა და განსაცდელით გაჯერებულ ჩვენს ყოფაში, როცა პოლიტიკური ძალების სიჭრელით ისედაც თავგზააბნეულ ადამიანებს ყველა თავის საკუთარ „ჭეშმარიტებას" უქადაგებს და ამით უმთავრესი და უმაღლესი მიზნისაკენ ნაბიჯ-ნაბიჯ სავალ ეკლიან გზას უფრო მეტად ართულებს.

ამგვარ ვითარებაში განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან მოვლენად აღიქმება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ინიციატივა, რომელსაც მოჰყვა საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიების, ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა გარკვეული ნაწილის მიერ ქვეყანაში მომავალი აღმშენებლობითი პროცესის უმთავრესი საფუძვლის — ეროვნული თანხმობისა და ერთიანობის დეკლარაციის ხელმოწერა. ამ მოვლენისადმი მიძღვნილი ცერემონია 25 მაისს გაიმართა თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის სარკეებიან დარბაზში. ამ აქციით ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღის — 26 მაისის წინ დეკლარაციაში ჩამოყალიბებული პრინციპების ერთგულება და, აქედან გამომდინარე, ქვეყნის დღევანდელობისა და მისი მომავლისადმი თავისი პას-

(დასასრული მე-4 გვ.).



ვაშენოთ ახალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველო

(დასასრული)

ბრძოლის გაძლიერება ისეთ განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობებთან, როგორიც არის მკვლელობა, ადამიანთა გატაცება, გაუპატიურება, ქურდობა, ძარცვა, ბანდიტიზმი, ყაჩაღობა, ნარკომანია, ნარკობიზნესი და სხვ.

ყოველივე ამას მხოლოდ სამართლებრივი და კრიმინოგენული მნიშვნელობა როდი აქვს. სტაბილიზაცია ქმნის საზღვარგარეთის ქვეყნებიდან საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვისა და საქართველოს ეკონომიკაში მისი ეფექტიანად დაბანდების წინაპირობას. ამ მოთხოვნას გვიყენებს მსოფლიოს ყველა სერიოზული ბიზნესმენი, ბანკირი, ფინანსისტი, ინვესტორი, რომლებსაც საქართველოში იზიდავს უკვე კანონმდებლობით შექმნილი შეღავათიანი პირობები, შედარებით იაფფასიანი მუშა-ხელი, სრულიად გამოუყენებელი რესურსები და მთელი რიგი სხვა ფაქტორები.

ახალი კონსტიტუციის მიღების, სახელმწიფო-ტერიტორიული მოწყობის, ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება ეთნოკონფლიქტების მოწესრიგებას, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

ბოლო თვეების მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მიზნით.

უნდა აღინიშნოს ჟენევასა და მოსკოვში ორმხრივი ქართულ-აფხაზური მოლაპარაკების გარკვეული დადებითი შედეგები, გაეროსა და უშიშროების საბჭოს ძალისხმევა, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, რუსეთის ფედერაციის, რიგი სხვა სახელმწიფოების პოზიტიური როლი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში. მოხდა გარდატეხა, შემობრუნება ამ საკითხში. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს კონსტიტუციური იურისდიქციის აღდგენის სახარგებლოდ. უახლოეს დროში გაეროს ეგიდით, რუსეთის კონსტრუქციული მონაწილეობით აფხაზეთში დაბრუნდება ლტოლვილთა და დევნილ თანამემამულეთა პირველი დიდი ნაკადი.

დსთ-ს ქვეყნები, რუსეთის ფედერაცია სულ უფრო კონსტრუქციულ როლს შეასრულებენ ამ საკითხში.

გადაწყვეტას მოითხოვს შიდა ქართლის ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტი. ეხლა შეიქმნა პირობები პოლიტიკური და დიპლომატიური აქტივობისთვის, ქართულ-ოსური კონფლიქტი აუცილებლად მოგვარდება, ქართველებისა და ოსების ინტერესების გათვალისწინებით.

არ ვიტყვი, რომ დღევანდელი მსოფლიო დაყოფილია გავლენის სფეროებად აღმოსავლეთისა და დასავლეთის გიგანტებს, სუპერსახელმწიფოებს შორის, მაგრამ ერთი რამ ცხადია: როცა მზე ანათებს, ჩრდილი სადღაც მაინც ეცემა დედამიწაზე. ეს გარკვეული კანონზომიერებით გარკვეულ რეგიონებს ეხება.

დიდი მოვლენა იყო რუსეთსა და საქართველოს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებათა დიდი პაკეტის ხელმოწერა საქართველოში ბატონ ელცინის ვიზიტის დროს.

მე ვფიქრობ, ეს სიცოცხლისუნარიანი ხელშეკრულებებია, რადგანაც მათში მოცემულია ორი დამოუკიდებელი, სუვერენული ქვეყნის ინტერესების რაციონალური ბალანსი.

ჩვენ უნდა სრულვყოთ ჩვენი დემოკრატია, მრავალპარტიული სისტემა, დავამკვიდროთ თანამედროვე მსოფლიო პარტოლოგიისა და პოლიტოლოგიის მიღწევები ჩვენს პარტიულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ბევრი პოლიტიკური პარტია დადებით, კონსტრუქციულ როლს ასრულებს პარლამენტში, საპარლამენტო უმრავლესობაში, პრესაში, რადიოში, ტელევიზიაში, ბევრი, პირიქით, დესტრუქციულ ოპოზიციას და ნეგატიურ საზოგადოებრივ აზრს ქმნის...

ცხოვრების ასპარეზზე გამოჩნდნენ ახალი პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკური მოძრაობები. და მათ შორის აღსანიშნავია საქართველოს მოქალაქეთა კავშირი, რომელიც ცდილობს კონკრეტული საქმეებით ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობა შეიტანოს საზოგადოებაში, განახორციელოს ანტიკრიზისული პროგრამა, სწორად განჭვრიტოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების პარამეტრები, აქტიურად იმონაწილოს კარდინალური ეკონომიკური და სოციალური რეფორმების გატარებაში.

მოქალაქეთა კავშირი რეფორმების პარტიაა და ეს გაცხადებულია მის საპროგრამო დოკუმენტში „საბაზრო ეკონომიკა, სამართლებრივი სახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოება".

მე სწორედ იმიტომ დავთანხმდი ამ პოლიტიკური მოძრაობის თავმჯდომარეობაზე, რომ ის ძირფესვიანი რეფორმების განხორციელებას ისახავს მიზნად, ხოლო კარდინალური, დემოკრატიული რეფორმების გატარება — ჩემს პოლიტიკურ კრედოს წარმოადგენს.

აქვე ისიც მინდა ვთქვა, რომ მე გახლდით ინიციატორი — პარლამენტის თავმჯდომარე საპარლამენტო არჩევნებში არც ერთი პარტიის სახელით არ გამოსულიყო. ეს შესაბამისად აისახა კიდეც საპარლამენტო დებულებაში. მაგრამ შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. პარლამენტმა მიიღო და უკვე მოქმედებს კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ, შეიქმნა პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ინსტიტუტი, წარმოიშვა ისეთი პარტიის შექმნის აუცილებლობა, რომელიც ერთ-ერთი დასაყრდენი იქნება ხელისუფლების სახელმწიფოებრივი კურსისა, რომ სახელმწიფოს მეთაური, როცა ის საზოგადოების კონსოლიდაციის, ქვეყნის გადარჩენის, ახალი საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრის თვალსაზრისით საჭიროებს სრულ თანამოაზრეობას და მხარდაჭერას, არ აღმოჩნდეს, როგორც იტყვიან, ჰაერში გამოკიდებული.

ამავე დროს, მოქალაქეთა კავშირი ყველა პროგრესულ პოლიტიკურ ძალასთან მჭიდრო თანამშრომლობის მომხრეა.

დღეს, 26 მაისს, მსურს შეთანხმების ხელი გავუწოდოთ ერთმანეთს. ჩვენი ერთიანი ძალისხმევა მეტ სარგებლობას მოუტანს საქართველოს, ვიდრე ერთმანეთისაგან განზე გადგომა.

ერთად ვიყოთ, გვიყვარდეს ერი, ენა, მამული, სარწმუნოება, ვიყოთ კაცთმოყვარენი და უდიდეს სამსახურს გავუწევთ დედასაქართველოს.

ეს არის დღეს ერისკაცობისა და მამულიშვილობის უტყუარი კრიტერიუმი.

პოლიტიკური იდეებით პარტიებად დანაწევრებული საზოგადოება ეროვნულმა სახელმწიფოებრივმა იდეამ უნდა გააერთიანოს და გაამთლიანოს.

დღეს, როგორც არასდროს, გვჭირდება ხალხისა და ხელისუფლების ერთიანობა, პარტიების, პარლამენტის, მინისტრთა კაბინეტის, ადგილობრივი ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ურთიერთთანადგომა და მხარდაჭერა, გაზიარებული ეროვნული ცნობიერების გამთლიანება.

დემოკრატიული საქართველო არა მარტო ქართველთა, ყველა ეროვნებისა და კონფესიის ადამიანთა, რესპუბლიკის ყველა მოქალაქის სამშობლოა.

საქართველოს რესპუბლიკა ზრუნავს მის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ხალხის ენისა და კულტურის განვითარების, მათი პოლიტიკური უფლებების დაცვისათვის.

საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს დევიზია: ხალხმა უნდა იხსნას კულტურა, კულტურამ უნდა იხსნას ხალხი.

არაერთხელ გვითქვამს და ვამბობთ: ქართული კულტურა უნიკალური მოვლენაა. სამწუხაროდ, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, განსაკუთრებით გარდამავალ ეპოქაში, როცა ჰიპერინფლაცია და ბიუჯეტის მზარდი დეფიციტი, რომელიც წარმოების გამოცოცხლებით კი არა, მთავრობის მიერ ეროვნული ბანკიდან აღებული სესხით იფარება, — სახელმწიფოს არა აქვს საშუალება დიდი ასიგნებანი და სუბსიდები გამოუყოს მეცნიერებას, განათლებას, ხელოვნებას, პრესას, რადიოს, ტელევიზიას, კულტურას საერთოდ, მაგრამ სხვა გზა არ არის, გარკვეული თანხები მაინც უნდა მოიძებნოს, რომ კვლავაც აყვავების გზით იაროს ქართულმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ, მუსიკამ, კინომ, თეატრმა, ფერწერამ, არქიტექტურამ, მატერიალური და სულიერი კულტურის ყველა დარგმა.

ეს არა მარტო ხელისუფლების, არამედ მეცენატთა, სპონსორთა, დიდი, საშუალო და მცირე ბიზნესის, თავისუფალ მეწარმეთა, ფერმერთა, კომერსანტთა, შეძლებულ მამულიშვილთა, ეროვნული ბიზნესის წარმომადგენელთა ღვიძლი საქმეა, ეკონომიკის კერძო და სახელმწიფო სექტორების ზრუნვის საგანია.

საინტერესო, ეფექტიან მუშაობას ეწევა ქართული კულტურის ხსნის კომიტეტი, უნდა გაფართოვდეს საერთაშორისო კონტაქტები მეცნიერების, კულტურის, განათლების დარგში.

ყოველმხრივ უნდა გამოვიყენოთ საბაზრო ეკონომიკის მოწინავე ქვეყნების გამოცდილება კულტურის ფონდების შექმნის სფეროში.

ქართული კულტურა და მეცნიერება, განათლება უნდა გადავარჩინოთ. კვლავაც უნდა დადგეს ქართველი ერის სულიერი აღორძინების — ახალი რენესანსის ეპოქა.

უცვლელია რეფორმების სახელმწიფო კურსი. ეს არის ჩვენი ხსნის გზა. რეფორმატორული უნდა იყოს თავისი ფორმითა და შინაარსით, საქმიანობით პარლამენტი, მინისტრთა კაბინეტი, ყველა სამინისტრო და დეპარტამენტი, ადგილობრივი ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები, ყველა მერია, საკრებულო, ყველა რაიონისა და სოფლის გამგებელი.

რეფორმების კურსს ალტერნატივა არ გააჩნია.

საჭიროა ყველა რეგიონისა და ცენტრის ერთიანობა, შეკავშირება, დარაზმვა ერთიანი სტრატეგიისა და ტაქტიკის საფუძველზე, ხალხისა და ხელისუფლების კონსოლიდაცია ყველა დონეზე რეფორმების კურსის გარშემო.

წლეულს, 26 მაისს, სუვერენული საქართველოს რესპუბლიკა გამართავს სამხედრო აღლუმს და ეს იქნება ახალშობილი ეროვნული არმიის დათვალიერება. ეს ის არმიაა, რომელმაც უნდა დაიცვას საქართველოს სუვერენიტეტი, მისი საზღვრები, მისი თავისუფლება, მისი ყველა ისტორიული მონაპოვარი.

26 მაისის აღლუმი და ზეიმი იქნება ახალი საქართველოს აღმშენებლობითი ძალების სახელმწიფო დემონსტრაცია.

ძვირფასო თანამემამულენო!

გილოცავთ 26 მაისის დიდ ეროვნულ დღესასწაულს და გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებას. იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა! ხვალინდელი დღე დღევანდელზე უკეთესი იქნება.

დალოცვილი იყოს დედასაქართველო აწ და მარადის, მრავალჟამიერ!

25.05.94 წელი.

ვახტანგ გოგუაძე:

„ისე, როგორც ყველა ნორმალურ ქართველს, მინდა ჩემი ქვეყნის გადარჩენა"

წლეულს, 9-10 მაისს საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის დავალებით იმყოფებოდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ახლად არჩეული პრეზიდენტის ნელსონ მანდელას ინაუგურაციის ცერემონიაზე დასასწრებად.

ცნობისათვის: ამ მოვლენასთან დაკავშირებით სამხრეთ აფრიკაში წარმოდგენილი იყო მსოფლიოს ქვეყნების 154-მდე დელეგაცია. ინაუგურაციას ესწრებოდნენ ბუტროს-ბუტროს გალი, ევროგაერთიანების მაღალი რანგის დელეგაცია, ვატიკანის, მუსლიმანური, ბუდისტური ცენტრების წარმომადგენლები და სხვები. ყოფილი საბჭოთა კავშირიდან — რუსეთის, უკრაინის, სომხეთის, ლიტვისა და საქართველოს წარმომადგენლები.

ჩვენი შეხვედრაც ბატონ ვახტანგ გოგუაძესთან მისი დაბრუნების დროისთვის გვქონდა დაგეგმილი. მაგრამ იმის გამო, რომ ბატონი ვახტანგი ამ ბოლო ხანებში ფრიად მოუცლელი აღმოჩნდა, მასთან ინტერვიუ დაგვიანებით გაიმართა.

— მართალია, პრესაში უკვე იყო მოკლე ინფორმაცია სამხრეთ აფრიკაში თქვენი შეხვედრების შესახებ, მაგრამ იქნებ უფრო დაწვრილებით გაგვაცნოთ თქვენი შთაბეჭდილებები?

— სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა მართლაც საოცარი ქვეყანაა. აქ გეოლოგიური დანაშრევებივით ნახავთ კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპს. ცხოვრების დონე, წესრიგი, მატერიალური აღჭურვილობა, ტექნიკურ-კომპიუტერული სიზუსტე, აკურატულობა — ერთი სიტყვით, ცივილიზაციის უკანასკნელი მონაპოვარი მოირგო ამ ქვეყანამ. თუმცა, მე ცივილიზაციისა და კულტურის ცნებებს არ ვაიგივებ. შეიძლება ქვეყანა იყოს „ინდუსტრიული ცივილიზაციის" მონაპოვრებით მოწყობილი, მაგრამ სულიერი კულტურა არ შეესაბამებოდეს მას, თუმცა, ვერც ღარიბ-ღატაკი ქვეყანა ქმნის იმ დონის კულტურას, რასაც სიმდიდრე აუცილებლობით სჭირდება... არ შევუდგები ინაუგურაციის პროცესის აღწერას. იგი პირდაპირ იყო ტრანსლირებული და ჩვენშიც ნახეს. მე მხოლოდ გეტყვით, რისთვის და რატომ ვიყავით იქ, რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ შეხვედრებს... როდესაც დელეგაციების სიებს კითხულობდნენ ხოლმე, მეცა და ბევრი სხვაც ვაზუსტებდით ზოგიერთი ქვეყნის სადაურობას. სიამაყეს ვგრძნობდი, როცა ამბობდნენ „ჯორჯიენ", არავინ ცდილა ეკითხა საიდან ხართო. მაინცა და მაინც ამბიციურ კაცად არ მთვლიან, მაგრამ როცა საზღვარგარეთ ქართველმა კაცმა შენი ქვეყნის სახე უნდა აჩვენო, ეს ძალიან დიდ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული... იქ, ცხადია, თავის გამოჩენის სიტუაცია არ იყო, მაგრამ დაჩაგრული ნამდვილად არ ვყოფილვართ და „საქართველოს" სახელი სასიამოვნოდ აჟღერდა მსოფლიოს ქვეყნების თანავარსკვლავედში.

ინაუგურაციის ცერემონიაზე ბატონმა მანდელამ ზომიერად, საერთაშორისო სტანდარტების ყველა კრიტერიუმის შეზავებით წარმოთქვა სიტყვა, რომელიც, ცხადია, გამორიცხავს რასობრივს, რელიგიურსა თუ სხვაგვარ დაპირისპირებებს. მან გულითადი მადლობა გადაუხადა ბატონ დე-კლერკს, ახლა უკვე ვიცე-პრეზიდენტს, აღნიშნა მისი დამსახურებანი და თქვა, რომ ამიერიდან ყოველგვარი პარტიული დაპირისპირება, რაც წინ უძღოდა არჩევნებს, უნდა დამთავრდეს და გაგრძელდეს თანამშრომლობა და მეგობრობაო.

— ბატონ მანდელასთან ხანმოკლე აუდიენცია მქონდა. გადავეცი მცირე სუვენირი და ბატონ ედუარდ შევარდნაძის მისალმების ტექსტი. როცა ვუხსენე ედუარდ შევარდნაძე, მან აღფრთოვანებით შემართა ხელები და თქვა: შევარდნაძე ჩემი მეგობარია, ჩვენ ბევრჯერ გვილაპარაკია დემოკრატიისა და ქვეყნების მომავალზე... მან ხაზგასმით აღნიშნა ის ფაქტი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციის მონაწილეობა ამ მოვლენაში სამხრეთ აფრიკისა და საქართველოს რესპუბლიკების მომავალი თანამშრომლობის თვალსაზრისით. საზოგადოდ, შეგახსენებ ყველას, რომ შევარდნაძე საზღვარგარეთ საქართველოს სადარბაზო ბარათია. იშვიათია მსოფლიოში დღეს პოლიტიკოსის ავტორიტეტი, შევარდნაძისას რომ გაუტოლდეს.

— მაგრამ, ალბათ, დამეთანხმებით, ერთია საზღვარგარეთ საქართველოს სახე, მეორეა — ქვეყნის რეალური მდგომარეობა. უახლესი ისტორიის მანძილზე, ალბათ, ასეთი რთული ვითარება არ ყოფილა.

— გეთანხმებით. საქართველო ყოფნა-არყოფნის პირას არის. რაც ამ ბოლო ჟამს მას განსაცდელი დაადგა, ალბათ, იშვიათად ყოფილა საქართველოს ისტორიაში. უმძიმესი ვითარებაა. მაგრამ ყველაზე საშინელებაა იმედის დაკარგვა. ფუჭი დამშვიდება — კიდევ უარესი. იმასაც მივხვდით, რომ ღმერთისადმი პარაზიტული მინდობა არაფერს მოგვცემს. ღმერთი არ გაგვწირავს, — ეს მეც მწამს, მაგრამ თუ ჩვენში არ არის ღმერთი, მაშინ რატომ ვთხოვთ მას არ გაგვწიროო. ვერა და ვერ შევძელით ტაბუდადებული ზონიდან გამოსვლა, არაპოპულარული ნაბიჯის გადადგმა. შეპყრობილი ვართ საკუთარი წოდების, სახელის, მდგომარეობის შებღალვის შიშით. სიმართლის თქმის პროცენტი ძალზე დაბალია. თავი ვერ დავაღწიეთ პოპულიზმის მომაკვდინებელ სენს.

— მაშინ, ნება მიბოძეთ შეგეკითხოთ: თქვენს პასუხებში რამდენი პროცენტი სიმართლე იქნება? იქნება 80 პროცენტი?

— 80 პროცენტი სიმართლის თქმა რომ შემეძლოს, წმინდანობას მივუახლოვდებოდი. რაღაც სანახევროდ ვტკეპნი ადგილს. სიმართლე რომ ვუთხრა ხალხს, ან ცხენი უნდა მყავდეს შეკაზმული, ანდა ჯვარზე გავეკრა. სამწუხაროდ, ამ სიწრფელისაგან შორს ვარ. მართალია, სრულ სიმართლეს ვერ ვამბობ, მაგრამ სიცრუის თქმა, ღმერთმა მაშოროს. თუმცა, ფილოსოფიურად არასრული სიმართლე თავისთავად შეიცავს არასიმართლეს.

— ისევ კრიზისთან დაკავშირებით. მთავრობის დამტკიცების დროს ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ახალ მინისტრთა კაბინეტს არა აქვს მკაცრად ჩამოყალიბებული სამოქმედო პროგრამა, რომელიც ქვეყანას ჩიხიდან გამოიყვანს. როგორია თქვენი აზრი ამის შესახებ?

— მთავრობის კაბინეტი გენიოსებითაც რომ დაკომპლექტო, რას გახდება, თუ საყრდენი წერტილი არა აქვს? მაგალითად, თუ რუსეთთან კონფრონტაცია გვექნება, რა უნდა გამოიანგარიშოს მთავრობამ? რა პროგრამა უნდა შეადგინოს, თუ მთავარი პრობლემა ვერ გადაგვიწყვეტია? აფხაზეთში ჩვენ გვებრძოდა სსრკ-ის რეაქციონერების ნაკრები, მათ შორის ისინიც, ვინც 3-4 ოქტომბერს მოსკოვში კინაღამ დაამხო ელცინის ხელისუფლება. რუსეთში ურთიერთსაწინააღმდეგო ძალები დღესაც არიან. ცხადია, ასეთი კურსის პირობებში მილიარდი დოლარი რომ ეძლია დასავლეთს ჩვენთვის, ყველაფერი ან მტრის ხელში მოხვდებოდა, ან თვითგანადგურების საშუალებად გადაგვექცეოდა. ხანდახან ჩემს ნორმალურობაში ეჭვი შემქონდა, როცა მესმოდა, რუსეთის იმპერიასთან ჩვენი სამარი მდგომარეობა დავაფიქსიროთო. „არ მჯერა, რუსეთის იმპერიას ომი ვერ მოვუგოთო..." და სხვა ასეთი „სიბრძნე" ჩემთვის ცხადს ხდიდა, რომ გრიალით მივექანებოდით უფსკრულში. ასეთ პირობებში რა აზრი აქვს ქაღალდების გავსებას ლამაზი შრიფტით — „პროგრამა". რა პროგრამა, რა მთავრობის ტალანტი ან გენიალობა გიშველის, თუ უკუღმა მიდიხარ. ჩვენ რუსეთთან ურთიერთობაში ამ ბოლო 4-5 წლის მანძილზე ყველაზე ცუდი კურსით მივდივართ. რატომ? — გვეშინია, არ დაგვიძახონ, აი, შენ მოღალატე ხარ, რუსეთის იმპერიაში შეგყავს საქართველო და ა. შ. ვიდრე სიმართლეს არ ვიტყვით, ვიდრე გმირობანას, სარდლობანას თამაშს თავს არ დავანებებთ, არაფერი გვეშველება. არა მარტო სიცოცხლე, ზოგჯერ სახელიც უნდა გაწირო, ქვეყანას რომ უშველო.

— კუპონის შემოღებას თავის დროზე მოსახლეობა ლამის ტაშის გრიალით შეხვდა. ჩვენს დღევანდელ ყოფაში კი მანეთმა მყარად გაიდგა ფესვი...

— კუპონის შემოღება თავის დროზე იძულებითი ნაბიჯი იყო. ამისათვის ვერავის გაამტყუნებ. მაგრამ, სერიოზულად არ მიმაჩნია ის, რომ კუპონი პატრიოტული ტრფობის საგნად აქციეს, ვერ გაიხედეს წინ. ის, რაც მოუვიდა კუპონს, მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო იმ პირთათვის, რომლებსაც ამ საქმესთან აქვს უშუალო კავშირი. ისიც მართალია, რომ მეტი პასუხისმგებლობის, დისციპლინის პირობებში მისი მდგომარეობა შედარებით უკეთესი იქნებოდა. როცა პროდუქცია არ იქმნება, ბიუჯეტში ფული არ შედის, რატომ ველოდით უკეთეს მდგომარეობას? ამასთან, ირგვლივ სამანეთო რეალობა გვარტყია, ჩვენ გამძლეობის კუნძული უნდა ვყოფილიყავით: ჯიბეში თუ არაფერი გიდევს, ქაღალდი რამდენიც გინდა დასტამბე... ფულის ბედზე რომ პროგნოზს აკეთებს ფინანსისტი, მან თავი უნდა ასწიოს და, პირველ რიგში, დაინახოს რეალობა. თითქოს ადვილი რამ ვთქვი — დაინახოს რეალობა. აი, ეს ვერ შევძელით. როცა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ფინანსისტებს ვეკითხებოდი — როგორ განვითარდება კუპონის ბედი-მეთქი, თითქმის ყოველთვის მესმოდა — „რაღაც უნდა ვიღონოთ...", „რაღაც უნდა მოვიფიქროთ...", „რაღაც უნდა გამოიძებნოს..." ეს ფორმა „რაღაც" შეიძლება გამოვიყენოთ პარლამენტარებმა, ჟურნალისტებმა, მაგრამ იმათ, ვისაც კონკრეტულ საგანთან აქვს საქმე, „რაღაც" კი არ უნდა იძახონ, არამედ უნდა თქვან — თქვენ რომ ეძებთ „რაღაცას", ის მაგიდაზე დევს, ის არის კუპონი, დოლარი თუ სხვა საგანი, რომელსაც ხელს შეახებ. მას ამოცნობილი სახელი ჰქვია და არა განუსაზღვრელი ნაცვალსახელი. ეს წყეული „რაღაც" ჩვენი ბუნდოვანი, არასაგნობრივი აზროვნების გამოხატვაა. ეს სიტყვა ლამის შემძულდა. ასეთსავე მდგომარეობაშია „თუ". შეკითხვაზე — მაინც როგორ უნდა დავასაქონლოთ, როგორ უნდა გავამტკიცოთ კუპონი, მპასუხობენ — „თუ შემოვიტანთ უცხოურ ვალუტას", „თუ", „თუ"... მეც კარგად ვიცი, რომ ერთი მილიარდი დოლარი რომ მოგვცენ, გარკვეული საფინანსო წესრიგის პირობებში, კუპონს ფულად ვაქცევდით...

— მსოფლიოს სავალუტო ფონდი ხომ გპირდებათ დახმარებას?

— ამ თვენახევრის წინათ მეც შევხვდი მსოფლიო სავალუტო ფონდის წარმომადგენელს. ველოდი, რომ ტომრებით ჩამოგვიტანდა დოლარებს. შეხვედრამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. — როგორ არა, დაგეხმარებით, ქართველებს ვენაცვალე, ფულს როგორ დავუკავებთ, რამდენიც გნებავთო, ოღონდ ინფლაცია უნდა შეწყვიტოთო. ესე იგი, მკვდარი გააცოცხლეთ და მერე მისი მკურნალობა ჩემზე იყოსო... ეს ფული ჰუმანური წყალობა კი არ არის, იგი სესხია, რომლის მფლობელი ჯერ ჯიბეს გაგისინჯავს, გაქვს თუ არა რაიმე, ვალი რომ გადაიხადო.

— ბატონო ვახტანგ, ამბობენ, რომ რუსეთი მაინც არ მიგვიღებს სამანეთო სივრცეში და თქვენს მოწოდებას რაღა აზრი აქვს?

— არ მიგიღებთო, არავის უთქვამს. არც მე მითქვამს დანამდვილებით მიგვიღებენო. არც ადრინდელ მიმართვაში და ახლაც არა მაქვს ჯერჯერობით მკაფიოდ განსაზღვრული პროგრამა. ამას მოლაპარაკება და შეთანხმება სჭირდება. მე ხომ ცრუ ინდულგენციებსაც არავის ვპირდები. ამაზეც გეტყვით, როცა აფხაზები ეფიცებიან მოსკოვს შენთან გვინდაო, ისინი ეხმარებიან აფხაზებს. საქართველო რომ სამანეთო სივრცეში შევიდეს, ჩვენ გაგვინახევრდება ეკონომიკური სუვერენიტეტი, მოსკოვმა უნდა განგვისაზღვროს ბევრი რამ. მაგრამ მაშინ გუდაუთა თბილისში უნდა ჩამოვიდეს ფულის მისაღებად... ახლა აყვირდებიან, აი, ხედავთ, ეს გოგუაძე სუვერენიტეტს გვაკარგვინებსო, ყველა მოქალაქეს ვთხოვ, ხელახლა გადავიკითხოთ ზღაპარი — „ღარიბი და ქილა ერბო". როცა მიმართვა გავაკეთე, კარგად ვიცოდი, რაც მოჰყვებოდა მაშინ ამას აქაც და იქაც, მაგრამ არავის არაფერს ვახვევ თავს. თამამად ვიფიქროთ. ნუ გვეშინია „მოღალატის ძახილისა". ვინ არის მოღალატე, ესეც მალე გამოჩნდება. ყოველ მოღალატეს შეუძლია, ქვეყნის უერთგულეს კაცს უძახოს მოღალატეო. საბოლოოდ ამ დიპლომებს ღმერთი გაანაწილებს და ნურავინ იწუხებს თავს. მაგრამ შეგახსენებთ, დრო არ ითმენს, მოვლენებს კუდში მივჩანჩალებთ, თუ ასე გავაგრძელებთ... ჩვენ ხომ სამანეთო სივრციდან არ გავსულვართ, ჯერჯერობით მხოლოდ მის საჯარიმო მოედანზე ვართ. ლექსიკონიდან უნდა ამოვიღოთ „ნუ ავჩქარდებითო", დრო არ ითმენს, შევიკრიბოთ, გნებავთ, დახურულად, გნებავთ, ღია ეთერით და „რაღაცის" ნაცვლად განვსაზღვროთ კონკრეტული საგანი. ჩვენ „რაღაცა" არ გვინდა, ჩვენ გვინდა ფული.

— ბევრის აზრით აფხაზეთი სამუდამოდ არის დაკარგული...

— აფხაზეთს მართლა დავკარგავთ, თუ რეალურ პოლიტიკას არ განვახორციელებთ. ხელშეკრულებების დადებას არაფერი გაუფუჭებია, თუმცა, ეს არის კუს ნაბიჯებით სვლა რეაქტიული სისწრაფის პირობებში. თუ რეალურად არ გავითვალისწინებთ, რა უნდა რუსეთს, და მარტო იმას ვიტყვი, რა მინდა მე, ეს იქნება პოლიტიკური სიბეცე, იგი კი, ისევ ისე გვათამაშებს, როგორც კატა — თაგვს. ახლა, ალბათ, ოპონენტი აღმოაჩენს „ამერიკას". თურმე, ნუ იტყვით. რუსეთის სურვილების აღმსრულებლად მინდა საქართველო. გავანებოთ თავი საკუთარი შავი ქვეტექსტების, შავი ფიქრების სხვისთვის მიწერას. მე საიდუმლო არაფერი მაქვს. ისე, როგორც ყველა ნორმალურ ქართველს, მინდა ჩემი ქვეყნის გადარჩენა. ვიდრე ფეხზე ვდგავართ, ღირსეული ურთიერთობის დამყარება შეგვიძლია. თორემ, როცა ქვეყანას სული ამოხდება, „გვიანღა იქნება თითზე კბენანი"...

— ბატონო ვახტანგ, რა მოგვცა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობასთან ურთიერთობამ?

— დსთ-თან ურთიერთობამ მოგვცა გადარჩენის შანსი, მეტი არაფერი. თუ არ გავიხსენებთ სექტემბერ-ოქტომბრის სურათს, დასავლეთ საქართველოს, სულ რამდენიმე დღეში მოსალოდნელ რეალურ პროცესებს, მართლა განწირულები ვართ. ვიდრე ქვეყანა ცრუობს, ღმერთის რისხვა არ მოაკლდება. „რუსეთს ველაპარაკოთ ისე, როგორც მას ელაპარაკებოდა ილია ჭავჭავაძე" — დიახ, სწორ ფორმულირებად მიმაჩნია და მას უკან ვერ წავიღებ. ერთხელ გთხოვეთ ჟურნალისტებს, აიღეთ ინტერვიუ ილია ჭავჭავაძესთან. რა კითხვაც გნებავთ საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ, ჰკითხეთ მას და გიპასუხებს აზრი და სული მისი, ვიმეორებ: დღეს თუ ვინმეს ჰგონია, რომ იგი ილია ჭავჭავაძეზე უფრო ცოცხალია, ძალიან ცდება. ჩვენ რომ დსთ-კენ ნაბიჯი კიდევ დაგვეგვიანებინა, დაღუპული ვიყავით. დასავლეთ საქართველო თითქმის მთლიანად პარალიზებული იყო. ნაფლეთებად დაგლეჯილი საქართველო ძლივს სუნთქავდა, ვაჭარბებ რამეს?

— დღეს პარლამენტარების, პარლამენტის შესახებ ხალხში ბევრი ჭორი და სიმართლე დადის. ამბობენ, ზოგიერთმა პარლამენტარმა საზღვარგარეთ ბინა შეიძინაო. იმასაც ამბობენ, პარლამენტარები მაფიოზურ წრეებთან არიან დაკავშირებულნიო... როგორ შეაფასებს პარლამენტის სპიკერი ყოველივე ამას?

— ხელფასით რომ არ ვცხოვრობთ, პირველად ეს მე ვთქვი ხმამაღლა. სესხით, ვალით, რის ვაივაგლახით საჭმელს ვშოულობ. არ ვცხოვრობ ბევრზე უკეთ. მეც, როგორც თქვენ, ვარსებობ იმის მოლოდინით, რომ რაღაც გვეშველება. ისე კი გულახდილად გეტყვით, მე რომ ვცხოვრობ, ისე სახელმწიფოს მოხელე არ უნდა ცხოვრობდეს. ეს სახელმწიფოსთვის არის სასირცხვილო, თუ გინდა ქვეყნის სახეს ნორმალურად წარმოადგენდე. რის ვილა, ან მიწის ნაკვეთი! რაც შეეხება პარლამენტარებზე ჭორაობას, ყველაზე თავს ვერ გამოვიდებ, ვის რა აქვს. მაგრამ მინდა ათენის ბრძენი წინამძღოლის პერიკლეს მიერ 2500 წლის წინათ ნათქვამი გავახსენოთ: — თუ სახელმწიფო მოღვაწე ოჯახის რჩენაზე ფიქრობს, ის სახელმწიფოს როგორ მოუვლისო. საერთოდ, პარლამენტს თავისი ცოდვა ეყოფა, მაგრამ მეჩვენება, რომ მისი დისკრედიტაციის ტენდენცია კარგს არას მოგვიტანს. როცა ინტელიგენცია გვლანძღავს როგორც მლანძღველებს, მოკრძალებით თავსა ვხრი და ბოდიშს ვიხდი ხოლმე. ჩვენ ხალხს ნერვებს ვუშლით, მაგრამ ხალხს ხელს უშლის უფრო სხვა ძალები, ნაბან წყალს ბავშვი გადააყოლესო, ისე არ მოგვივიდეს. ამიტომ, თქვენი ნებართვით, ორიოდე სიტყვას ვიტყვი ჩვენი პარლამენტის შესაძლო პლიუსებზეც:

პარლამენტი რთული შესაფასებელია. ის, რაც ჩანს და ნერვებს გვიშლის, მაინც და მაინც არ არის პირველხარისხოვანი. პარლამენტს აქვს თავისი ფუნქცია. ჩვენი პოლიტიკური ცნობიერება, უაღრესად გააქტიურებული, შორეული მზერით მიდიოდა დასავლეთისაკენ, წინდაუხედავად კი მივდიოდით უფსკრულში. ამის წყარო გახლდათ რუსეთთან კონფრონტაციის გაღრმავება. მთელი 5-6 წელიწადი, რუსეთშიც და აქაც, ვეჯიბრებოდით ერთმანეთს ვინ უფრო მეტ შხამს დაანთხევდა. და, აი, ამ კატასტროფულ მდგომარეობას ჩვენმა ცნობიერებამ სწორედ პარლამენტის მეშვეობით დააღწია თავი. ჩვენს პარლამენტს რუსეთისადმი უკვე კონსტრუქციული დამოკიდებულება აქვს. პარლამენტმა აღადგინა რუსეთთან რეალური პოლიტიკური ურთიერთობა. პარლამენტმა შეიყვანა საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში და ამით იგი ყველანაირად გადაარჩინა. პარლამენტი აღადგენს საქართველოს იურისდიქციას მთელ მის ტერიტორიაზე, რისი გარანტიაც არის სწორედ რუსეთთან რეალური ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობა. დღეს პარლამენტში არც ერთი მისი წევრი არ კამათობს, რომ რუსეთთან კეთილი ურთიერთობა ჩვენთვის საარსებო მნიშვნელობისაა.

— ბატონო ვახტანგ, — მოგწონთ, რომ მეცნიერი კაცი პოლიტიკური მოღვაწე გახდით?

— უცხოეთშიც ბევრია სამეცნიერო სამყაროდან მოსული. ჩვენ შეიძლება გაგვეღიმოს დღეს, პლატონის იდეალურ სახელმწიფოს მოდელი რომ გავიხსენო. პლატონის აზრით, სახელმწიფოს ფილოსოფოსები უნდა განაგებდნენო. ეს არ ვიცი, მაგრამ სახელმწიფოს ზედა ეშელონები ჯანსაღი მეცნიერული აზრით, თეორიით თუა აღჭურვილი, არ არის ცუდი. ცუდია უაზროდ მინდობა პოლიტიკური სტიქიისათვის... რაც შემეხება მე, ცოტა უფრო მეტ ხანს გაგრძელდა ჩემი მივლინება პოლიტიკაში, ვიდრე ველოდი. ალბათ, მალე დავუტოვებ მას პროფესიონალ პოლიტიკოსებს.

— 26 მაისი... საზოგადოების ნაწილს მიაჩნია, რომ წლეულს არ ღირს მისი საზეიმოდ აღნიშვნა, რადგანაც ქვეყანა ისეთ ყოფაშია, არაფერი აქვს საზეიმოო...

— ზეიმის ცნება, ეტყობა, ჩვენ კარგად არ გვესმის. მართალია სასიხარულოდ არ გვაქვს საქმე, მაგრამ არც გულგატეხილობა და წუხილი გვმართებს. 26 მაისს ვზეიმობთ ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის იდეას და არა ცხოვრების კეთილდღეობას.

ესაუბრა
ნინო თათრულაიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის 1994 წლის სახელმწიფ პრემიების მინიჭების შესახე

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური და საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ადგენენ:

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის დადგენილება იმის შესახებ, რომ მიენიჭოთ საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის სახელმწიფო პრემიები:

I. მეცნიერების დარგში

ა) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგის ნაშრომებისათვის

1. **მერაბ ალექსანდრეს ძე ალექსიძეს,** ხელმძღვანელს (გარდაცვალების შემდეგ); **ბენედიქტე კონსტანტინეს ძე ბალავაძეს,** გეოფიზიკოსს, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექციის მრჩეველს, ხელმძღვანელს; **ვახტანგ გრიგოლის ძე აბაშიძეს,** გეოფიზიკოსს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ამავე ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს; **კარლო ზაქარიას ძე ქართველიშვილს,** ფიზიკოსს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, ამავე ინსტიტუტის განყოფილების გამგეს; **კონსტანტინე მიხეილის ძე ქართველიშვილს,** გეოფიზიკოსს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, ამავე ინსტიტუტის განყოფილების გამგეს; **ზურაბ შალვას ძე შენგელაიას,** გეოლოგ-გეოფიზიკოსს, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ამავე ინსტიტუტის საცდელ-მეთოდური გეოფიზიკური ექსპედიციის უფროსს — 1978-1992 წლებში გამოქვეყნებული შრომათა ციკლისათვის: „გეოფიზიკური, გეოლოგიური და საინჟინრო ამოცანების გადაწყვეტის გეომეტრიული მეთოდების დამუშავება და რეალიზაცია".

2. **ვახტანგ მიხეილის ძე მოსიძეს,** ექიმს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, ამავე ინსტიტუტის ჰემისფეროთა ურთიერთობის შემსწავლელი ლაბორატორიის ხელმძღვანელს; **მანანა ლეონტის ასულ გუგუშვილს,** ბიოლოგს, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, ამავე ლაბორატორიის წამყვან მეცნიერ თანამშრომელს; **ვადიმ ლევის ძე ეზროხს,** ფიზიოლოგს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის უმაღლესი ნერვული ქმედებისა და ნეიროფიზიოლოგიის ინსტიტუტის წამყვან მეცნიერ თანამშრომელს; **მალხაზ ალექსანდრეს ძე მაყაშვილს,** ბიოლოგს, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ჰემისფეროთა ურთიერთობის შემსწავლელი ლაბორატორიის წამყვან მეცნიერ თანამშრომელს; **რუსუდან არჩილის ასულ მხეიძეს,** ფსიქოლოგს, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, ამავე ლაბორატორიის უფროს მეცნიერ თანამშრომელს — 1983-1992 წლებში გამოქვეყნებული შრომათა ციკლისათვის „თავის ტვინის ფუნქციური სიმეტრია და ასიმეტრია".

ბ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგში

1. **ელენე პავლეს ასულ მეტრეველს,** ფილოლოგს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექციის მრჩეველს; **ცაცა ალექსანდრეს ასულ ჭანკიევას** (გარდაცვალების შემდეგ); **ლილი მიხეილის ასულ ხევსურიანს,** ფილოლოგს, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელს — ძველი ქართული მწერლობის ძეგლის — „უძველესი იადგარის" გამოკვლევისა და გამოსაცემად მომზადებისათვის. თბილისი, გამ. „მეცნიერება", 1980 წელი.

2. **ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილს** — ხელმძღვანელს (გარდაცვალების შემდეგ); **მიხეილ კირილეს ძე გაბაშიძეს** (გარდაცვალების შემდეგ); **კონსტანტინე ივანეს ძე კახიანს,** ეთნოგრაფს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის

უფროს მეცნიერ თანამშრ
აკაკი კონსტანტინეს ძე
აძეს, ეთნოგრაფს, ისტორი
ცნიერებათა კანდიდატს,
ინსტიტუტის უფროს მ
თანამშრომელს; **გიორგი**
დონის ძე ჩიტაიას (გარ
ლების შემდეგ); **ვახტანგ**
ლამის ძე ჯაფარიძეს (გ
ცვალების შემდეგ) — 197
წლებში გამოცემული ნაშ
ათვის: „მასალები საქართ
შინამრეწველობისა და ხე
ბის ისტორიისათვის"
(9 წიგნად); გამომცემლობა
ნიერება", თბილისი, 197
წლები.

3. **ოთარ მიხეილის ძე**
ფარიძეს, არქეოლოგს,
ველოს რესპუბლიკის მე
ბის დამსახურებულ მოღვა
ტორის მეცნიერებათა დ
პროფესორს, საქართველო
ნიერებათა აკადემიის
კოსს, თბილისის ივ. ჯავახ
ის სახ. სახელმწიფო უნ
ტეტის არქეოლოგიის კა
გამგეს — მონოგრაფი
„საქართველოს არქეოლ
თბილისის უნივერსიტეტის
მცემლობა, 1991 წელი.

II. ტექნიკის დარგ

1. **გივი ანდროს ძე**
აძეს, ხელმძღვანელს,
მეტალურგს, ტექნიკის მე
ბათა კანდიდატს, საქა
მეცნიერებათა აკადემიის
ვაძის სახ. მეტალურგიის
ტუტის ლაბორატორიის
ვანელს; **ზურაბ ვენედი**
ქაშაკაშვილს, მეტალურ
ქნიკის მეცნიერებათა დ
პროფესორს, რუსთავის მ
რგიული კომბინატის გ
დირექტორს; **ნოდარ**
ძე ღვამბერიას, ინჟინ
ლურგს, ტექნიკის მეც
კანდიდატს, რუსთავის მე
გიული კომბინატის ცენტ
ლაბორატორიის უფროს
სამან იროდის ძე
ინჟინერ-ტექნოლოგ-ქიმი
ქართველოს მეცნიერებათა
დემიის ფ. თავაძის სახ
მეტალურგიის ინსტიტუტ
ცნიერ თანამშრომელს;
ალექსანდრეს ძე
ინჟინერ-ქიმიკოს-ტექნოლ
თბილისის სამრეწველო „ალ
თველოს" რუსთავის
საამქროს უფროსს; **იუ**
ლიტეს ძე წირღვავას,
ნერ-მეტალურგს, ერთობლ
წარმო „ალუ საქართ
პრეზიდენტს — 1988-199
ბში შესრულებული ნა
თვის „ალუმინთერმული
ით საწარმოო ნარჩენების
როსილიკოალუმინის კომ
რი შენადნობის მიღების
ლადის განჟანგვის პრ
სი გამოყენების ტექნ
დანერგვა".

2. **რევაზ მეთოდეს**
ხარობლიძეს, ინჟინ
კოსს, ტექნიკის მეც
დოქტორს, პროფესორს,
თველოს სოფლის მეურ
მეცნიერებათა აკადემიის
მიკოსს, საქართველოს ს
უნივერსიტეტის მანქანა-
რთა პარკის ექსპლუატაციის
ედრის გამგეს — 1974-19
ბში გამოქვეყნებული ნ
ციკლისათვის „ტექნიკურ
ცნიერო გამოკვლევები
ლო-სამეურნეო მანქანების
მეტრების ოპტიმიზაცი
ზებ".

III. სახელმძღვანე ბისა და დამხმა სახელმძღვანელო ბისათვის

1. **ვასილ დიმიტრის**
ბუხაძეს, ექიმ-უროლ
ქართველოს რესპუბლიკის
ნიერების დამსახურებულ
ვაწეს, მედიცინის მეცნ
დოქტორს, პროფესორს,
სის სახელმწიფო სამ
უნივერსიტეტის უროლოგ
თედრის გამგეს — სახ
ნელოსათვის „უროლოგი
„განათლება", თბილისი
წელი.

2. **რომან ილიას**
რენჩხილაძეს (გარდა
შემდეგ); **თამაზ ზაქა**
კიკნაძეს (გარდაცვალ
დეგ); **დავით ბაბაშ**
ლებას, გეოგრაფს, სა
ოს რესპუბლიკის მეც
დამსახურებულ მოღვაწ
გრაფიის მეცნიერებათა
ტორს, პროფესორს, სა
ოს მეცნიერებათა აკად
ხუშტი ბაგრატიონის
გეოგრაფიის ინსტიტუტ
მეცნიერ მუშაკს; **იონ**
თის ძე ქართველიშვ
ოგრაფ-კარტოგრაფს, სა
ოს მეცნიერებათა აკადემ
ხუშტი ბაგრატიონის სა
გეოგრაფიის ინსტიტუტ
ტოგრაფიისა და აეროფ
მეთოდების განყოფილ
გეს; **შალვა იაკობის**
შიანს (გარდაცვალებ
შოთა იოსების ძე
შვილს, გეოგრაფ-კლ
ოგს, გეოგრაფიის მეც
კანდიდატს, თბილისის
ხიშვილის სახელობის
ფო უნივერსიტეტის მ
ლოგიის, კლიმატოლოგ
ოკეანოლოგიის კათედ
ფესორს — დამხმარე
ღვანელოსათვის „საქარ
სასწავლო-გეოგრაფიულ
სი", გამომცემლობა
ლება", საქართველოს
ბლიკის გეოლოგიის,
სა და კარტოგრაფიის
მენტის თბილისის კარტ
ული ფაბრიკა. 1992 წე

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური
ე. შევარდნაძე.

საქართველოს
რესპუბლიკის
პრემიერ-მინისტ
ო. ფაცაცი

თბილისი, 1994 წლის 28 მაისი.

მაისი

ქართველოს

მოუკიდებ-

ობის

დგენის

ღეა!

შოთა ნიშნიანიძე

ერობის ღამე მერაბ ბერძენიშვილის ძეგლთან „კიდევაც დაიზრდებიან“...

I

მე ვიცი ერთი სერობის ღამე —
ბილისის კართან ისმის გალობა:
— ქართველო, ხელი ხმალს იკარ!
— ამინ!

— შენ ხარ ვენახი...
შენდა წყალობა.

მოდის და მოდის ერი სამსჯავროდ,
მოდის და მოდის, მოდის უწყვეტად...
და კვარცხლბეკს ისე შემოსჯარვიან,
თითქოს საომარ კოცონს უსხედან.

ხედან მეფენი, მხედართმთავრები,
წმინდა მამანი თუ მდაბიონი,
[illegible] და დავას ვერ ამთავრებენ
და ძეგლიც მოჩანს, ვით ამბიონი.

დროშებთან დგანან ერის მგოსნებიც.
როგორც ხატობას ხევისბერები,
თითქოს სატევრებს მოაცოცებენ,
ხანჯლებზე ისე უდევთ ხელები.

— ყივის თუ არა ქართული სისხლი?
ისევ სოლომონ კითხულობს ბოლმით,
პასუხად დინჯი ხორხოცი ისმის
ჯუბაჯრიანი სამასი მოყმის..

იქვე მხლებელი ანგელოზებით
დგას ერთი ბიჭი და გულიც ერჩის.
მოჭრილი თავი (ოო, საოცრებავ!)
ბიჭს ჩაჩქანივით უჭირავს ხელში.

II

პოი ოსტატო, რა გვიანბანე,
რად ჩაგვაფიქრე მტერიც, მოყვარეც;
ცოცხლებს რა უშავთ... მამა-პაპანი
საფლავებიდან რად წამოყარე!

გვიყვის შენი სული ძლიერი,
ჯიშის, მძლეობის ვხვდებით მორწმუნე;
ეს რა გვიყავი, შე ღვთისნიერო,
რა სიამაყის ცრემლი მოგვწურე.

და მაინც შიში ვერ ჩამიჩუმე...
ნუგეში მაინც ვერ მომიტანე...
კბილს ნუ უსინჯავ მაგ მგელბიჭუნებს,
ბეწვს ნუ აუშლი ბალღობიდანვე.

ვის რაში უნდა შურისძიება,
ისეთი სიმწრით გვზრდიან დედები...

— არა, შვილებო,
— არა, ძირებო,
მაგ მახვილისთვის არ მემეტებით!..

რტერია მომავლისაკენ

მოვლენათა კვალდაკვალ

და ისევ ქართული სა-
ს გამოსავალზე იმ უმ-
პოლიტიკურ-ეკონომიკური
რომელსაც ვერა და ვერ
უკვე რამდენი წელი-

ველესი ალბათ მაინც
ული არჩევანია, გვინ-
გვინდა ჩვენ დემოკ-
გზას უნდა დავადგეთ.
ამას ითხოვს მსოფლიო
ული პროცესი. მაგრამ
ული სახელმწიფოს
ებელია (მით უმე-
მარ) თეორიული გზებით.
ა უპირველესად პრაქ-
ტიოერებისეულმა აუცი-
უნდა შევას. სწორედ
ედაც ბათუმის თავისუ-
ნომიკური ზონის გახს-
ში ერთ-ერთ გამოსავალს.
ა ბევრი ვილაპარაკოთ
არადემოკრატიულობაზე,
მათა შორის სისხლი არ
, და, რაც მთავარია,
ობა არ დაყოფილა პო-
ნიშნით. სხვანაირად
ვთ, ნაყოფის; შედეგის
რისით ყველაზე უფრო
ტიული“ მაინც საქართ-
რეგიონი აღმოჩნდა.
ობაა ეს? უწინარესად
ელმძღვანელობის აზროვ-
მეტრიკის გამო — ეკო-
პოლიტიკისაკენ და არა
როდესაც ბათუმზე ვა-
ტიანტს, სწორედ ეს სპე-
ვგაქვს უპირველესად
ობაში.
ლი აზროვნება, რომლის
ა ყველაფერში იგრძნო-
ხეროში. აზროვნების
რთანამედროვე, შეიძ-
ვას — ნელი. დრო კი
მოვლენები შეიკუმშ.
ა სივრცეში. დღეს ჩვენ
ა სწრაფი აზროვნება და
ტრია, სწრაფი ქმედება.
და მთავარი, რაშიც აზ-
ლი პარლამენტის უპერს-
ა მოსჩანს, ნელი, ტაა-
ა. შევიგრძნოთ დრო,
ვიგრძნოთ. მეოცე და
თე საუკუნეების გადა-
ა, მსოფლიო ინტეგრა-
ეზე. აჭარის უზენაესი
თავმჯდომარეს არაერთგ-
ხსნავს ტკივილი იმის
არა ერთი და ორი
ყველასი არა) განხორ-
მიუღებელ სახელმწი-
თმოქმედებითი პრო-
უაღრესად ნელი ტემპის
ვიმეორებ: ჩვენ
ოვალ მდგომარეობაში
ნდა ვიგრძნოთ. ივი-
კვეწა დროის საქმეა —
ის, რაც დღეს გვჭირ-
უმის თავისუფალი ეკ-
ზონის გახსნისათვის
საკანონმდებლო სა-
შექმნა ერთ-ერთი უპ-
მოცანად მესახება
ის ნავსადგურის ინ-
თანამედროვე სტან-
ედვით ამოქმედება
ნავსადგურის რეკონს-
პროექტი სწორედ ამას
სასიცოცხლო არტე-
გულისხმობს დღე-
საქართველოსათვის.
თუმის ნავსადგური, —
ოდ, საქართველოში ყვე-
დაპირისპირების ხასიათს
მათ შორის თავისუ-
ონომიკური ზონის იდე-
სუფალი ეკონომიკუ-
ტის თვისება-განთეს-
ელება გახლავთ. არა
ელობა, სად იქნება
ში, ფოთში თუ ქი-
ვან. მთავარია, რომ თა-
ეკონომიკური ზონა
ების სრულქმნის უზარ-
ექტივას ქმნის სხვა-
ბერში. ბათუმის საპორ-

ტო ქალაქად ჩამოყალიბების ისტორიაც ამაზე მეტყველებს. რაც შეეხება ნავსადგურის ღირსებებს, აქ უამრავი ნიუანსი არსებობს და სასურველია პროფესიონალებმა თქვან თავიანთი სიტყვა.

IV. **არანაკლებ მნიშვნელოვანია დღეს ზნეობრივი მომენტი ქართული პოლიტიკისათვის.** ზნეობრივი პოლიტიკა — ეს ცნება არაერთგზის გაჟღერდა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ინტერვიუებში. ამ წერილის ავტორი ყველაფერს მაინც რელიგიური კუთხით ხედავს და ღვთის წინაშე საქართველოს აღორძინების პერსპექტივას აჭარიდან სწორედ იმიტომ აღიქვამს, რომ აჭარის ხელმძღვანელობამ უსისხლოდ იარა. ეს არ არის უმნიშვნელო მომენტი. ძმათა შორის ნებისმიერი დაპირისპირება საქართველოს ტერიტორიაზე მტრის წისქვილზე ასხამს წყალს და მტრის მიერ არის ინსპირირებული. მაგრამ მთავარი დამნაშავე მაინც ჩვენ ვართ. მტერმა ჩვენში იპოვა ნიადაგი ბოროტი თესლისათვის. ასეთი ნიადაგის პოვნა აჭარაში ვერა და ვერ მოხერხდა — ისევ ვიმეორებ — აჭარის ხელმძღვანელობის სიბრძნის, გონიერების და, რაც მთავარია, ზნეობრივი პოლიტიკის გამო. ისტორია თავისას იტყვის და ერთსაც: აბაშიძემ შეძლო საქართველოსათვის უმძიმესი ისტორიული უღელტეხილი თავის რეგიონში უსისხლოდ გადაევლო. როდესაც ბათუმის თავისუფალი ეკონომიკური ზონის იდეაზე ვამახვილებთ ყურადღებას, როგორც პანაცეაზე, გამოსავალზე, ეს მომენტიც მაქვს მხედველობაში — არაფერი არ იკარგება და არ ქრება. ღვთის წინაშე მაინც.

V. **რელიგია** — აბაშიძემ მეჩეთი ააგო. ეს ცნობა მეხივით გავარდა საქართველოში. სინამდვილეში მუსლიმანურ სალოცავს მინარეთი დაუბრუნდა. ეს იგივეა, რაც სამრეკლო ეკლესიისათვის, და ამოქმედდა მაჰმადიან ქართველთა სალოცავი საქართველოში. რა არის ამაში ცუდი? ან ისტორიულ ძნელბედობას რატომ ვივიწყებთ, ან თანამედროვეობის სულს. აი სწორედ ასეთმა ძალისმიერმა, შუასაუკუნეობრივმა აზროვნებამ (თუმცა, მეფე გვყავდა, ამ თვალსაზრისით დემოკრატი-მეფეთ-მეფე) მიგვიყვანა ამ დღემდე. მსოფლიო ინტეგრაციული პროცესები და საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა ჩვენ გვავალებს უაღრესად ფაქიზ სახელმწიფოებრივ მიდგომას რელიგიური მომენტისადმი. ასეთი მიდგომა აჭარის ხელმძღვანელობის აზროვნებაში აშკარად ილანდება. ამიტომ, როდესაც ვლაპარაკობთ ბათუმის თავისუფალ ეკონომიკურ ზონაზე, ეს ნიუანსიც გვაქვს მხედველობაში, აზროვნების, სულის გარეშე ყოველგვარ თავისუფლებაზე ლაპარაკი ზედმეტია. ვერც თანამედროვეობას შევერწყმებით, თუ თანამედროვეობის სული არ შევიგრძენით. თავისუფალი ეკონომიური ზონა მარტო ეკონომიკას არ გულისხმობს. აზროვნებას გულისხმობს უპირველესად, ბათუმს თავისი ტრადიციები აქვს — თავისი ისტორია, ესეც გასათვალისწინებელია.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ზემოთ თქმული წყლის ნაყვა იქნება, თუ ჩვენ რეალური გზა არ დავსახეთ. რეალური მაგისტრალური ხაზი:

1. **სასურველია შეიქმნას პროფესიონალთა ჯგუფი,** რომელიც ბათუმის თავისუფალი ეკონომიკური ზონის იდეას ყველა თვალსაზრისით დაამუშავებს. ჩვენ დღეს ძალიან ბევრი კომისია გვყავს. საპარლამენტო, თუ არასაპარლამენტო. მუშა კომისია გვინდა — აზროვნების ტემპით. დროის შეგრძნებით და, რაც მთავარია, რეალობის განცდით.

2. **სასურველია უცხოელმა სპეციალისტებმაც თქვან თავიანთი სიტყვა.** აქაც რეალობის გათვალისწინებით — რა, როგორ, რა ვადებში. ესეც ყოველგვარი პოეზიის გარეშე. სხვათა შორის, დასავლური აზროვნების ერთ-ერთი მთავარი თვისება და, შეიძლება ითქვას, ღირსება, რომელიც ჩვენ გვაკლია გახლავთ რეალიზმის განცდა და სწორხაზოვნება. მათ იციან რა უნდათ და რა არა. როგორ შეიძლება გაკეთდეს და როგორ არა. ვფიქრობ, ნაყოფიერების თვალსაზრისით დასავლელი სპეციალისტების, დასავლური აზროვნების ჩართვა ბევრ რამეს მოგვცემს. ბოლოს და ბოლოს, იმას მაინც გავიგებთ, რა შეგვიძლია და რა არა.

3. **ტელევიზია** — აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, რომელსაც ეკუთვნის ბათუმის თავისუფალი ეკონომიკური ზონის იდეა, აქვს თავისი სტრატეგიული გეგმა ამ იდეის განხორციელებისა. ვფიქრობ, დგება დრო განსხვავებული კუთხით საგნებისა და მოვლენების აღქმისა, სხვა არხებიც უნდა ვეძიოთ, სხვა არტერიებიც — იქნება ეს სახელმწიფო მოწყობა, ეკონომიკური აზროვნება, დემოკრატიის გაგება თუ სხვა, პანაცეა მაინც აზროვნებაშია, გონში. აჭარის ხელმძღვანელობის აზროვნებაში აშკარად ილანდება რაღაც ახალი, განსხვავებული, ვფიქრობ სამომავლოდ აუცილებელი ინტონაცია. ამ ინტონაციას მეტი გაშუქება სჭირდება, მეტი სინათლე. ტელევიზიას შეუძლია დიდი როლი შეასრულოს.

ახლა ერთი საინტერესო ფსიქოლოგიური ნიუანსი. როდესაც აჭარის ლიდერის აზრთაწყობაზე ვამახვილებთ ყურადღებას, იგი არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ერთხელ და სამუდამოდ მოცემული მზა მოდელი. აბაშიძემ საკმაოდ დიდხანს იარა სწორხაზოვნად და თანამიმდევრულად. ამ სწორხაზოვნებამ უაღრესად სტაბილური და მყარი სააზროვნო ხაზი ჩამოაყალიბა როგორც პოლიტიკაში, ასევე ეკონომიკაში. ჩვენ ამჯერად ეკონომიკა გვაინტერესებს: თავისუფალი ეკონომიკური ზონის იდეა ბათუმში ისტორიულად შემოწმებული და აჭარის ხელმძღვანელობის აზროვნებაში ღრმად გადახარშული იდეაა. ყველა პარამეტრში და ყველა კუთხით. ამ წერილის ავტორი ამ იდეით მაშინ დაიმუხტა, როდესაც იგი აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს თან ახლდა დიდ ბრიტანეთში. ევროპულ მერიდიანზე უზარმაზარი დიაპაზონი დაილანდა აჭარის რეგიონის პოტენციაში. სამწუხაროდ, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მზერა აქეთკენ ძალიან მძიმედ და ნელ ტემპში წამოიმართა. ამას ჰქონდა თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები, მაგრამ დღეს უკვე არავითარი გამართლება აღარ აქვს: იმიტომ რომ საქართველოს აღარა აქვს სხვა გამოსავალი — უნდა ვეძიოთ არტერია მომავლისაკენ.

ლაზარე ზაქარიაძე.

საქართველოს პარლამენტის
განცხადება

საქართველოს პარლამენტი შეშფოთებას გამოთქვამს აფხაზეთის რეგიონში კონფლიქტის გადაჭრის სამშვიდობო მოლაპარაკების დროს მიღებულ ბოლოდროინდელ დოკუმენტებში დაფიქსირებული მთელი რიგი პუნქტების და გაეროს გენერალური მდივნის ბუტროს ბუტროს გალის მიერ ა. წ. 3 მაისს უშიშროების საბჭოსათვის წარდგენილ მოხსენებაში აფხაზეთის სახელმწიფოებრივი სტატუსის და საქართველოს სახელმწიფოებრივ მოწყობასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული დებულებების გამო (დანართი II). მოლაპარაკებათა პროცესის ამგვარი განვითარება და საქართველოში უკანასკნელ ხანს სოციალურ-პოლიტიკური დაძაბულობის ესკალაცია რეალურ საფრთხეს უქმნის როგორც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ისე მრავალსაუკუნოვან სახელმწიფოებრიობას. ყოველივე ეს საფრთხეს უქმნის სამშვიდობო პროცესსაც, რასაც შეიძლება საომარი მოქმედების ახალი ტალღა მოჰყვეს კავკასიის რეგიონში.

საქართველოს პარლამენტს აუცილებლად მიაჩნია კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესის გაგრძელება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით, მიესალმება ძალისხმევას კონფლიქტის რეგიონში ლტოლვილთა და ბიზანთა დასაბრუნებლად. ამასთან, საქართველოს პარლამენტი აცხადებს, რომ, ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესთა თვალსაზრისით, უმთავრესია საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიის პოლიტიკური სტატუსის საკითხი, რომლის განსაზღვრის დროს აუცილებლად უნდა გათვალისწინდეს როგორც აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის უფლება განახორციელოს ავტონომიური სახელმწიფო მმართველობის ფუნქცია, ისე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისათვის იმ აუცილებელ კომპეტენციათა დატოვების საკითხი, რომლებსაც მსოფლიოში აღიარებულ სტანდარტთა მიხედვით ემყარება არსებული სახელმწიფო ინსტიტუტები.

საქართველოს პარლამენტი აუცილებლად მიიჩნევს ერთიანი სახელმწიფოს ძირითადი ატრიბუტების, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასთან აფხაზეთის კონსტიტუციის შესაბამისობის, ერთიანი ფულადი სისტემის, საზღვრების ჯარის, საგარეო პოლიტიკის ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაში დატოვებას, ხოლო ადამიანის უფლებათა დაცვის, ეკოლოგიის და საერთო კომპეტენციაში შემავალი მთელი რიგი საკითხების მკვეთრად გამიჯვნას.

კიდევ ერთხელ გამოვთქვამთ რა აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების იმედს, საქართველოს პარლამენტი, როგორც საქართველოს მოსახლეობის ნების გამომხატველი ერთადერთი ლეგიტიმური ორგანო, აცხადებს, რომ იგი არ დაუშვებს ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლას, და რომ ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც ხელყოფს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სახელმწიფო სუვერენიტეტს სრულიად საქართველოს მოსახლეობის ნების გამოუხატავად, ჩაითვლება იურიდიული ძალის არმქონედ.

თბილისი,
1994 წლის 24 მაისი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება

აბაშის, ვანის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, მარტვილის, მესტიის, ოზურგეთის, სამტრედიის, სენაკის, ხობის, ხონის, წალენჯიხის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს რაიონებში და ქ. ფოთში საგანგებო წესების მოქმედების გაგრძელების შესახებ

1. **დასავლეთ** საქართველოს ზონაში მოქალაქეთა უშიშროების უზრუნველყოფის, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში კანონიერების განმტკიცების მიზნით „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 6 ნოემბრის კანონისა და „საგანგებო წესების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 11 დეკემბრის კანონის საფუძველზე გაგრძელდეს საგანგებო წესების მოქმედება აბაშის, ვანის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, მარტვილის, მესტიის, ოზურგეთის, სამტრედიის, სენაკის, ხობის, ხონის, წალენჯიხის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს რაიონებში და ქ. ფოთში 1994 წლის 23 მაისიდან ორი თვის ვადით.
2. ეთხოვოს საქართველოს პარლამენტს დაადასტუროს დასავლეთ საქართველოს ზონაში საგანგებო წესების მოქმედების გაგრძელება.

ე. შევარდნაძე.

დღე, რომელიც სამუდამოდ დარჩება საქართველოს ისტორიაში

(დასასრული)

სუხისმგებლობა დაადასტურა ორმოცზე მეტმა პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ. სწორედ ამიტომ, როგორც ცერემონიის გახსნისას ბრძანა ღვაწლმოსილმა მეცნიერმა ალექსანდრე ჟავახიშვილმა, ეს დღე სამუდამოდ დარჩება საქართველოს ისტორიაში არა მხოლოდ როგორც უმნიშვნელოვანესი თარიღი, არამედ როგორც მარადიული გახსენება იმისა, რომ მხოლოდ ერთიანობამ შეაძლებინა ჩვენს ერს ისტორიული ქარტეხილების დაძლევა. ყოველი ერის ცხოვრებაში დგება დღე, როცა მხოლოდ ერთიანობასა და თანადგომას შეუძლია იხსნას იგი განსაცდელისაგან. ეს დღე სწორედ 25 მაისს დადგა.

ყველას, ვინც გაიზიარა ერთიანობისა და თანხმობისაკენ მოწოდება და შეუერთდა დეკლარაციის სულისკვეთებას, მადლობის სიტყვით მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ. მათ გასაგონად კი, ვინც, იმედია, მხოლოდ ჯერჯერობით შეიკავა თავი, თქვა, რომ დეკლარაცია უნდა დარჩეს ღიად ხელმოწერებისათვის. ალბათ, სხვებისათვის დროა საჭირო, აღნიშნა მან, რომ აწონ-დაწონონ სიტუაცია. ამაში საწყენიც არაფერია. არ მინდა ისე გამოვიდეს, თითქოს შევიკრიბეთ გარკვეული ჯგუფი და ახალ კონფრონტაციას ვუყრით საფუძველს. არც ის უნდა გახდეს სადავო და მთავარი, ვისი ინიციატივით და ვის მიერ არის ეს დეკლარაცია შედგენილი. მთავარია, რომ დეკლარაციაში ჩამოყალიბებული პრინციპები გამოხატავს ყველას მისწრაფებასა და სულისკვეთებას, ვისთვისაც ძვირფასია სახელმწიფოებრიობის, ეროვნულობისა და მოქალაქეობის გრძნობა. ამდენად, იგი ჩვენი საერთო სულისკვეთების გამომხატველიც არის.

ბატონ ედუარდ შევარდნაძის აზრით, თავისთავად, მრავალპარტიულ სისტემაში საგანგაშო არაფერია. მრავალფეროვნებაში უნდა ხდებოდეს, თქვა მან, სახელმწიფოებრივი აზროვნების ფორმირება. გარდამავალ ეტაპზე ჩვეულებრივი მოვლენაა აზრთა სხვადასხვაობა, პოლიტიკური დაპირისპირება, წინააღმდეგობა პოლიტიკურ პარტიებს შორის. მთავარია ეს ყოველივე სერიოზულ კონფრონტაციაში არ გადაიზარდოს. ბზარის გაჩენას ნიჭიერება არ სჭირდება, ნიჭიერება და გონიერება იმისათვის არის საჭირო, რომ ეს ბზარი უფსკრულად არ გადაიქცეს. სადავო და საკამათო ბევრი რამ არის, მაგრამ უნდა გვეყოს ზნეობა, რომ ვიკამათოთ და ვიდავოთ ღირსეულად.

მიმართვის შემდეგ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ხელი მოაწერა დეკლარაციას.

დეკლარაციაზე ხელმოწერის შემდეგ თავიანთი პოზიციები სიტყვიერადაც დააფიქსირეს პროფკავშირთა რესპუბლიკური გაერთიანების თავმჯდომარემ ირაკლი ტუღუშმა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ გიორგი ჭანტურიამ, საქართველოს მოქალაქეთა კავშირის გენერალურმა მდივანმა ზურაბ ჟვანიამ, სახალხო ფრონტის [illegible] სხვებმა. ასე რომ, ეროვ[illegible] ერთიანობისაკენ ნაბიჯი გადადგა. დანარჩენს მომავალი გამოაჩენს. მთავარი ახლა, როგორც ქართველ ეროვნულ-დემოკრატთა ლიდერმა გიორგი ჭანტურიამ თქვა, ის არის, თუ როგორ დაიცავს და შეინარჩუნებს [illegible] თავის უკანასკნელ [illegible] დამოუკიდებლობას.

მაია ალუდაური.

ეროვნული თანხმობისა და ერთიანობის
დეკლარაცია

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ვრჩებით რა ერთგულნი 26 მაისის ღირებულებებისა და ვაცნობიერებთ რა ჩვენს უზარმაზარ პასუხისმგებლობას ქვეყნისა და მისი მომავლის წინაშე, ვაღიარებთ რა, რომ

— საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა — დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს შენება, ღია ტიპის საზოგადოებისაკენ სწრაფვა;

— სტაბილურობა და კონსოლიდაცია სახელმწიფოს მშენებლობის აუცილებელი წინაპირობაა;

— სხვადასხვა პოლიტიკურ ძალთა შორის არსებული პოზიციური განსხვავების მიუხედავად უნდა ჩამოყალიბდეს სახელმწიფოს მომავლის კონტურები, რომლებსაც ერთნაირად ხედავს საქართველოს მოქალაქეთა დიდი ნაწილი;

— ეროვნული კონსოლიდაციის საფუძველი უნდა გახდეს ერთიანი სახელმწიფოებრივი ცნობიერება, მოქალაქეობრივი პატრიოტიზმი, საერთო მიზნისაკენ სწრაფვა;

ვთანხმდებით უმთავრეს პრინციპებზე ქვეყანაში ეროვნული თანხმობისა და ერთიანობის დამყარების მიზნით.

ჩვენი ურყევი და უცვლელი პრინციპებია:

1. საქართველოს დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა;
2. დემოკრატიის იდეალებისადმი ერთგულება, სამოქალაქო საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლა, ადამიანთა უფლებების განუხრელი დაცვა;
3. ტოლერანტობა, შემწყნარებლობა, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა;
4. ეკონომიკური რეფორმების გატარება;
5. მართლწესრიგის დამყარება, კორუფციასთან, ტერორიზმთან და ნარკობიზნესთან უკომპრომისო ბრძოლა, სამართალდამცავი ორგანოების მხარდაჭერა;
6. საქართველოსათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება მსოფლიოში და კავკასიის რეგიონში;
7. სახელმწიფოს მშენებლობა და სამხედრო აღმშენებლობა;
8. ძალადობის, უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან ალიანსის, ინტრიგების, სოციალური და სხვა სახის დესტაბილიზაციის გამოუყენებლობა პოლიტიკური მიზნებით და სხვა;
9. სახელმწიფოში ყველა საკითხის გადაწყვეტა კონსტიტუციური გზით. ხელისუფლების საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ არჩევნების, აუცილებლობის შემთხვევაში, რიგგარეშე არჩევნების ჩატარების გზით.

ეროვნული კონსენსუსის მიღწევა იქნება ნათელი დემონსტრირება იმისა, რომ საქართველოში დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა ქართველი ერის ურყევი ნებაა და მას შესწევს ძალა ამის განსახორციელებლად.

ჩვენი მიზანია დამოუკიდებელი, ძლიერი, ერთიანი და დემოკრატიული საქართველო, რომელიც ყველამ უნდა ვაშენოთ ერთობით. თანხმობითა და ურთიერთპატივისცემით.

ვინც ყურები ჩამოყარა, კიდევაც დამარცხდა!

ბარე ორი წელიწადი იქნება, ამ საწარმოში აღარ ვყოფილვარ. ახლა მოვლენები სწრაფად იცვლება და აქაც ყველაფერი შეცვლილა. თანაც როგორ შეცვლილა — სახელმწიფო ფაბრიკა კერძო საწარმოდ გადაქცეულა. სახელიც გამოუცვლიათ — პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკისთვის ფირმა „კოლხეთი“ დაურქმევიათ.

სასიამოვნო სახეცვლილებაა. საწარმო იქით მიდის, საითკენაც ცხოვრება მიიწევს. ეს გარეგნულად, მაგრამ მე უფრო სიღრმისეული საკითხებით დავინტერესდი — არის თუ არა არსებითი ძვრები თვით საწარმოს, მისი კოლექტივის ცხოვრებაში? ისე ხომ არ მოხდა, რომ ფაბრიკამ მხოლოდ ფორმა იცვალა, შინაარსი კი ძველებური დარჩა?

— არა, — მეუბნება ფირმის გენერალური დირექტორი ვალერიან გეგიძე, — ჩვენ ახალ გზას მტკიცედ დავადექით და იქიდან აღარ გადავუხვევთ. ბევრი ვიფიქრეთ საკუთრების რომელი ფორმა აგვერჩია: დახურული ტიპის სააქციო საზოგადოება, ღია ტიპის სააქციო საზოგადოება თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება? ჩვენმა კოლექტივმა ეს უკანასკნელი ამჯობინა. დღეს ამ ფორმით საზღვარგარეთ უამრავი საწარმო მუშაობს და საუკეთესო შედეგებს აღწევს.

— **რადგან სააქციო საზოგადოება არა ხართ, ბუნებრივია, აქციებიც არ გექნებათ.**

— აქციები არა გვაქვს, მაგრამ საწარმოს საწესდებო ფონდიდან გამომდინარე, კოლექტივის წევრებმა თავიანთი წილი მაინც მიიღეს.

— **რა ფორმით?**

— აქციების ნაცვლად „წილები“ შემოვიღეთ და ის დავუნაწილეთ. მკერავთა 80 პროცენტს 2,5 წილი (თითო წილი 50 ათასი კუპონის ტოლია) მიეცა, ოსტატებს — 3 წილი, ტექნოლოგებს — 4 წილი და ა. შ. რა თქმა უნდა, წილების დანაწილებისას უპირატესობა მივეცით პროფესიონალებს და იმ მუშაკებს, ვინც საიჯარო თანხის გამოსყიდვაში აქტიურად მონაწილეობდა. მინდა გითხრათ, რომ კერძო ფირმად გადაკეთებამდე კოლექტივი იჯარით მუშაობდა და ორ წელიწადში საწარმო სრულიად გამოისყიდა.

— **ვიცი, თქვენთან ძირითადად ქალები მუშაობენ. იმ პერიოდში, როცა საწარმოში წილები დაიანგარიშეს, არა ერთი და ორი მოჰყვებოდა დეკრეტულ შვებულებაში.**

— მათ მთელი წილი მივეცით. და არა მარტო ეს, ამ წილიდან კუთვნილი დივიდენდიც დავურიგეთ. თითოეულმა მკერავმა დივიდენდის სახით (შარშანდელი მეოთხე კვარტალის შედეგების მიხედვით) მილიონ კუპონზე მეტი მიიღო. მალე გავცემთ წლევანდელი პირველი კვარტალის დივიდენდსაც, რომელიც წინა პერიოდისაზე ორჯერ მეტი იქნება.

— **კარგია, როცა ამდენს იღებენ, მაგრამ ისიც ვნახოთ ამ მილიონებით რას ყიდულობენ? არაფერს! თქვენთანაც და სხვაგანაც ფაქტობრივად ხალხი უხელფასოდ მუშაობს.**

— ეს მწარე რეალობაა, რომელსაც ვერ გავექცევით. თქვენც ხედავთ, კერძო სტრუქტურა ამოქმედდა, მუშაობს, დივიდენდებსაც არიგებს, მაგრამ თუ კუპონი გვღალატობს?

არ დაგიმალავთ, ამან ბევრი საწარმო დაღუპვის პირამდე მიიყვანა, კოლექტივები ფაქტობრივად დაიშალა. საზღვარგარეთელი პარტნიორები რომ არ მოგვეხმარებოდნენ, ეს საშიშროება ჩვენც გვემუქრებოდა.

— **რით მოგეხმარნენ?**

— პროდუქტებით. მე ჩემს თურქ კოლეგებს (ფირმებიდან „გრაცია“ და „თურჯალირა“) პირდაპირ ვუთხარი: თუ გინდათ რომ არ დაგაღალატოთ, ჩვენს შორის დადებული კონტრაქტი შესრულდეს, კოლექტივი შიმშილისგან უნდა ვიხსნათ. მათ გამიგეს. წლეულს თითოეულ მუშაკს უკვე ორჯერ დავურიგეთ უფასოდ ორკილოგრამიანი ერბოს ქილა, ორლიტრიანი ზეთის ბოთლი, 2,5 კილოგრამი მაკარონი. გრძელდება მუშაობა ცხიმის, შაქრის, საპნისა და სხვა პროდუქტების შემოსატანად. შეიძლება ფირმამ ერთ ნაწილში ფულიც გადაიხადოს, მაგრამ მუშაკებს უფასოდ დავურიგებთ.

გამოდის, თავს რომ ვირჩენთ და სიმძლავრეებსაც დატვირთვით ვიყენებთ, ამას კერძო სტრუქტურას უნდა ვუმადლოდეთ. ადრე მუშისთვის რომ პრემია მიგვეცა, ისიც სამინისტროსთვის უნდა შეგვეთანხმებინა. ახლა ყველაფერს კოლექტივი წყვეტს, ჩვენ თვითონ ვირჩევთ ნედლეულს, პროდუქციას, გასაღების ბაზარს, ფასების დამდგენებიც თავად ვართ და შემოსული თანხების განმკარგავიც. მაკონტროლებელი ორგანოებიც უფრო ნაკლებად ერევიან ჩვენს საქმიანობაში.

თავისუფლებამ საწარმოს ფრთები შეასხა. მკერავები ყველაფერს გულდასმით ანგარიშობენ. წინასწარ იციან რა მომგებიანია, რა — წამგებიანი და ამის მიხედვით მიდიან უცხოურ ფირმებთან გარიგებაზე. დღევანდელ ექსტრემალურ პირობებში, როცა ქვეყანაში საწვავისა და ტრანსპორტის დეფიციტია, როცა გაგზავნილ ტვირთებს ყაჩაღები იტაცებენ, ძნელია პარტნიორთან პროდუქციის მიწოდებისათვის პასუხისმგებლობა იკისრო. და აი ჩვენებმა სარფიანი გზა გამონახეს. „გრაციას“ და „თურჯალირას“ თავიანთი ტრანსპორტით თურქეთიდან თბილისში ჩამოაქვთ ნახევარფაბრიკატები, რომლისგანაც შარვლებს, ქურთუკებს, ჟილეტებს, ბლუზებს, სხვა პროდუქციას ამზადებენ. მაგრამ ეს ისეთი პროდუქციაა, რომელსაც დასრულებული სახე არა აქვს. ამიტომაც ის კვლავ თურქეთში იგზავნება, იღებება, იფუთება და ისე გადის მსოფლიო ბაზარზე.

გარიგების ასეთი ფორმა ორივე მხარისთვის სარგებლიანია. იქიდან რომ გამოუჭრელი ქსოვილები შემოდიოდეს ან აქედან სრულყოფილი პროდუქცია იგზავნებოდეს, ტვირთი დატაცებას ვერ გადაურჩებოდა. ბიზნესმა ყაჩაღებს გზა მოუჭრა და თანაც რა მოხერხებულად!

რაც შეეხება თურქეთიდან მზა პროდუქციის ბაზარზე გატანას, ეს უკვე პრობლემა აღარ გახლავთ. ამერიკელი და ევროპელი ბიზნესმენები თბილისელთა ნახელავს სიამოვნებით იძენენ, რადგან იციან, რომ პროდუქცია კონკურენტუნარიანია, მთლიანად აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებს. ქართულ-თურქული პროდუქცია იმდენად პრესტიჟული გახდა, რომ ბოლო დროს ამერიკამ მასზე ექსპერტიც კი მოხსნა.

ეს უკვე ნაღდი ბიზნესია (ზოგს ბიზნესი მხოლოდ საქონლის ყიდვა-გაყიდვა ჰგონია), მწარმოებლური ბიზნესი, ბატონი ვალერიან გეგიძე კი ერთ-ერთი პირველი ქართველი ბიზნესმენი, რომელმაც ქართული პროდუქცია საზღვარგარეთის ბაზარზე გაიტანა. და არა მარტო გაიტანა, ავტორიტეტიც მოუპოვა.

რუბრიკის პრემიერა:
ქვეყანა მე უნდა გადავარჩინო!

ახლა ბიზნესმენ გეგიძეს (როცა უცხოელები ასე მიმართავენ, ეღიმება, ეტყობა, არა სჯერა, რომ ბიზნესმენია) მარტო თურქეთში კი არა, ამერიკაშიც იცნობენ, ენდობიან. აკი ამას წინათ იქ ბიზნესმენებთაც მიიწვიეს. ბატონი ვალერიანი კმაყოფილია ამერიკელი პარტნიორებით, თუმცა, ერთი არ მოეწონა — თურქებისგან განსხვავებით, მათ ქართული პროდუქცია „მშრალად“ მოითხოვეს. ნედლეულს ჩვენ ვერ მოგცემთ, პროდუქციას კი რამდენიც უნდა გამოგვიგზავნოთ, მთლიანად შევისყიდითო. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ნედლეული რომ არ იშოვება, რა მოუხერხოს? მაინც დატრიალდა, მაუდ-კამვოლის კომბინატის, უქსოვადი ქსოვილების ფაბრიკის, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ქსოვილებისაგან დამზადებული სამოსის რამდენიმე ნიმუში გაუგზავნა. თუ მოეწონათ, საკუთარ ტყავში უნდა გაძვრეს და ამერიკელებს არ დაალალატოს, თორემ ვინ იცის ასეთი შემთხვევა კიდევ როდის მიეცემა საქართველოს.

ამ საქმეში საწარმოს თავკაცს მრეწველობის მინისტრის ვლადიმერ კერესელიძის დიდი იმედი აქვს. ამერიკაში გეგიძესთან ერთად ბატონმა მინისტრმაც იმოგზაურა და ბევრი პრობლემის მოგვარება პირადად ითავა.

ვნახოთ.

თუმცა, ნედლეული რატომ უნდა იყოს გადაულახავი პრობლემა? თუ რუსეთთან ტრადიციული სამეურნეო კავშირები აღდგა, რატომ არ შეიძლება იქიდან კვლავაც შემოვიტანოთ ქსოვილები?

არა, რუსეთის იმედად ველარ ვიქნებითო, მითხრა ბატონმა ვალერიანმა. განა იმიტომ, რომ რუსეთს არ სურს მოგვცეს ნედლეული. უბრალოდ, თვითონაც არა აქვს და ჩვენ რას გვიწილადებს? დღეს ივანოვოც კი, ფეიქართა ეს უდიდესი ქალაქი, უნედლეულოდ გაჩერებულია. შუა აზიის რესპუბლიკებმა რუსეთი, რომ იტყვიან, დააჩოქეს. ისინი ყოფილ იმპერიას აღარაფერს აძლევენ და ბამბეულს მთლიანად ვალუტაზე ყიდიან.

ასეთ ვაკუუმსა და იზოლაციაში კი შეძლო ვალერიან გეგიძემ საწარმო არ გაეჩერებინა. კოლექტივმა თავიც ირჩინა და მისი წილი თანხა სახელმწიფო ხაზინაშიც შეიტანა. ბატონ ვალერიანს მიაჩნია, რომ როცა თავკაცობა გაბარია, ყურები არ უნდა ჩამოყარო, უნდა მიდგე-მოდგე, გაძვრე-გამოძვრე და საწარმო სამშვიდობოზე გაიყვანო. აკი ასეც მოიქცა, საზღვარგარეთელ ბიზნესმენებთან პირადი კონტაქტები და მეგობრული დამოკიდებულება საწარმოს საკეთილდღეოდ გამოიყენა. შარშან იმდენი შეკვეთა ჩამოიტანა, რომ მარტო „კოლხეთი“ კი არა, გარკვეული პერიოდით სამკერვალო ფაბრიკები „ამირანი“ და „ნინოც“ გამოკვება.

აი რა სცოდნია ფხიანობას, გერგილიანობას, მოხერხებას, საქმის ცოდნას. არადა, ვინც გაჩერდა, ყურები ჩამოყარა, აკი კიდევაც დამარცხდა.

ჩემი და საწარმოს თავკაცის შეხვედრა თირმის სადღეისო პრობლემებით დაიწყო და ამჟამად დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით თანაბრად გაუფასურებული კუპონისა და პარლამენტის შესახებ საუბრით დამთავრდა.

— ნურავინ იფიქრებს, — მითხრა ბატონმა ვალერიანმა, — რომ რაღაც ახალი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებით წაქცეულ კუპონს ფეხზე წამოაყენებს. ყველაზე ეფექტიანი ღონისძიება იქნება საიქიოსკენ მიმავალი წარმოება ჩვენსკენ შემოვაბრუნოთ, გამოვაცოცხლოთ, სააქაო სული შთავბეროთ და ავამოქმედოთ. მერწმუნეთ, ვერც ერთ ქვეყანაში ვერ იხეირებს ეროვნული ვალუტა, თუ ის ეროვნული პროდუქციით არ დასაქონლდა. საქართველო, მისი ეკონომიკა მეწარმემ უნდა გადაარჩინოს.

ეს არ გახლავთ ვარაუდი, ეს პრაქტიკით დადასტურებული ჭეშმარიტებაა. ამის მიუხედავად, აბა, თუ გაიხსენებთ, ჩვენი პარლამენტარები, რომლებიც ყველა წვრილმანზე გაუთავებლად კინკლაობენ, როდისმე წარმოების აღორძინებით დაინტერესებულიყვნენ. აღარაფერს ვამბობ მათ პრაქტიკულ მოღვაწეობაზე, ცალკეული საწარმოებისა და მეწარმეების ბედით დაინტერესებაზე.

აქ მე უნებლიედ გამახსენდა ამ ერთი წლის წინათ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისნის“ ვეტერანი მუშის წერილი. იგი ცნობილ ქართველ პარლამენტარს, ბატონ ნოდარ ნათაძეს მიმართავდა: თქვე დალოცვილო, სულ ერთავად რუსეთს რომ უკირკიტებთ, იქნებ ერთხელ ჩვენს საწარმოში შემოიხედოთ, ნახოთ იზოლაციაში მოქცეულები სულს როგორ ვლაფავთ და პოლიტიკა ოდნავ მაინც შეცვალოთო. იმ წერილს (რც მეორეს, რომელიც იმავე თემაზე დაისტამბა) მაშინ არავინ გამოხმაურებია, არც საწარმოში მისულა ვინმე.

არც გაგვკვირვებია, როცა პარლამენტში ასეთი გაწევ-გამოწევაა, საწარმოსთვის ვინ მოიცლიდა?

ამასთან დაკავშირებით მეორე ფაქტიც გამახსენდა. ამ დღეებში რომელიღაც გაზეთში ამოვიკითხე: გერმანიაში ვიზიტად ჩასულ ბორის ელცინს როცა აცნეს, რომ რუსეთის ჯარებს იქიდან საზეიმოდ გამოაცილებენ, ერთ-ერთ მოედანზე საპატიო სტუმარს თურმე ტრანსპარანტიც — „დიდება დიდ რუს ხალხს“ — შეაგებეს.

ასე იქცევიან გერმანელები, ჩვენზე უთვალავად მრავალნი და ეკონომიკურად ჩვენზე შეუდარებლად ძლიერნი.

ჩვენ კი რას ვაკეთებთ? ოპოზიციონერი პარლამენტარების ერთი ნაწილი სახელმწიფოს მეთაურს პრორუსულ პოლიტიკასა და რუსეთის იმპერიაში საქართველოს შეყვანას, მეორე ნაწილი — ესენგეში საქართველოს დაგვიანებით შესვლას აბრალებს.

[illegible] ამასაც არ სჯერდება და პარლამენტის თავმჯდომარეს რჩევებით (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) აწვებიან — გადადექიო. რადგან შეცდომები დაუშვი (აფხაზეთში ომი წააგე, დამოუკიდებლობა დაგვაკარგვინე, ეკონომიკურად დაგვაუძლურე), კეთილი ინებე (ანამუსებენ) და გადადექიო.

— არავინ დაიჯეროს, — მითხრეს საწარმოს მშრომელებმა, — ვერ ვხედავდეთ ვინ შრომობს, ვინ ქვეყნის საზრუნავში ათენ-ალამებს და ვინ კიდევ — უბედობაში. ქვეყანა ედუარდ შევარდნაძის შეცდომებმა (უშეცდომო არავინ არის) კი არა, „უშეცდომო“ უბედობამ დაღუპეს!

მერე ისიც დაუმატეს, მარტო ერთი შევარდნაძე, ცეცხლიც რომ იყოს, ვერაფერს გვიშველის, თუ ჩვენც გვერდში არ ამოვუდექით. გადავწყვიტეთ ვიმუშაოთ დევიზით: ქვეყანა მე უნდა გადავარჩინო! დარწმუნებული ვართ, თუ ყველა თვითონ იკისრებს პასუხისმგებლობას, კეთილსინდისიერად გააკეთებს იმას, რაც მას შეუძლია, ქვეყანა მართლაც გადარჩება.

როგორ მოგწონთ?

თქვენი არ ვიცი და, თბილისელ მკერავთა გადაწყვეტილებით მე პირადად დიდად ნასიამოვნები დავრჩი. მართლაც, ვის რაში სჭირდება გაცვეთილი პატრიოტული ლოზუნგები, გმირობას მოწყურებული „მოკამათეები“. დღეს ქვეყნის მომავალს ის ჭედავს, ვინც მეცნიერებას ანვითარებს, დაზგასთან დგას, მაღალპროფესიულად შრომობს. აი, საქართველოს მხარში დგომა თუ გინდა, ეს არის.

თავი მომჭერით, თუ ერთი უბრალო მკერავი ქვეყნისა და ხალხისათვის ასჯერ მეტ საქმეს არ აკეთებდეს, ვიდრე ზოგიერთი ცრუპატრიოტი, ბაქიბუქა, ლოზუნგსროლია დეპუტატი!

ოთარ ხუციშვილი.

ისტორია და თანამედროვეობა

ჟამი ზეიმისა და ჟამი დაფიქრებისა

დადგა კიდევ ერთი, სამოცდამეთექვსმეტე წლისთავი 26 მაისისა. ეს არის ჟამი ზეიმისა და ამავე დროს, ბოლოს და ბოლოს, ჟამი დაფიქრებისაც, — რანი ვართ, რა გვინდა, საით მივდივართ, ან უფრო სწორედ, საით მივექანებით?

როცა ხალხი, ქვეყანა თავისი ყველაზე ღირსსახსოვარი თარიღის აღსანიშნავად ემზადება, კანონზომიერია, რომ მოარული იყოს ისეთი სიტყვიერი ატრიბუტიკა, როგორიც არის ალლუმი, სახალხო მსვლელობა (სიტყვა „დემონსტრაცია" ბევრ ჩვენს თანამემამულეში უსიამო მოგონებებს აღძრავს უთუოდ), ფეიერვერკები, მილოცვები, დაბოლოს, ჩვენი დალოცვილი ქართული პურმარილი. ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც განუყრელია ზეიმთან. ჩვენც, იმის მიუხედავად, რომ გვიჭირს ისე, რომ ჯერ ბოლომდე არც გვაქვს, ალბათ, გათვითცნობიერებული თუ რა მასშტაბისაა ეს გასაჭირი, მაინც ნუ დავარღვევთ ამ ტრადიციას და შეძლებისდაგვარად ვიზეიმოთ 26 მაისი, ოღონდ იყოს ეს ჟამი ზეიმისა და ჟამი დაფიქრებისაც...

26 მაისზე, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხანმოკლე არსებობაზე, საბჭოთა რუსეთის მიერ მის ფაქტობრივ ანექსიაზე (ამ სტრიქონების ავტორი ერთ-ერთი მონაწილეა იმ დოკუმენტის შედგენისა, რომელიც ამ ანექსიას შეეხება და რომელიც მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბოლო სესიამ) ბევრი ითქვა და დაიწერა. მომავალში, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მეტი ითქმება და დაიწერება — უფრო დინჯად, მეტი სიღრმით და ამომწურავად.

ამიტომ არ შევეხები ქართველი ერის ცხოვრებაში ამ სრულიად განსაკუთრებული მოვლენის მნიშვნელობასა და ისტორიულ პერიპეტიებს.

მინდა მკითხველის გულისყური მივაპყრო იმ ისტორიულ გაკვეთილებს, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობს ამ თარიღიდან.

ათას რვაას პირველში გაუქმდა საქართველოს, უფრო ზუსტად, ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრიობა, ამ ეროვნული ტრაგედიის პრელუდია იყო ათას შვიდას ოთხმოცდასამის საქართველო-რუსეთის ცნობილი ხელშეკრულება, „გეორგიევსკის ტრაქტატის" სახელწოდებით რომ შევიდა ისტორიაში. მას წინ უძღოდა ოდესღაც მძლავრი, მრავალრიცხოვანი, ეკონომიკურად და კულტურულად მაღალგანვითარებული ერის ხანგრძლივი, თავგანწირული ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ხოლო შემდეგ, როგორც ბატონი პავლე ინგოროყვა ბრძანებდა, დიდი, ამოწყვეტილი ერის ნაშთის საზარელი აგონია.

ამგვარად, ქართული სახელმწიფოებრიობის მოშლა და გაუქმება არ იყო რაღაც **ერთდროული აქტი, არამედ თუ მრავალსაუკუნოვანი არა, ყოველ შემთხვევაში, ხანგრძლივი ისტორიული პროცესი.**

ქართველი ერის ისტორიის გარკვეულ ეტაპზე, განსაკუთრებით თემურლენგის მრავალრიცხოვანი გამანადგურებელი შემოსევების შემდეგ და უფრო გვიან, როცა ჩვენი ქვეყანა მტრული სახელმწიფოების მარწუხებში მოექცა, ცნება „საქართველო" ფაქტობრივად მოიცავდა ქართულ, მაგრამ დანაწევრებულ სამეფოთა, სამთავროთა და ა. შ. ჯამს (სხვათა შორის, საქართველოს ტელევიზია ჩვენი ერის არა შელამაზებული, არამედ რეალური ისტორიის პროპაგანდას უნარიანად ეწევა. მხედველობაში მაქვს, სხვა გადაცემებთან ერთად, რა თქმა უნდა, აკადემიკოს ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძის ძალზე საინტერესო და გულახდილი ლექცია-საუბრები).

გარეშე ფაქტორების გარდა, არ შეიძლება, და ამას დღესდღეობით უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ხაზი არ გავუსვათ იმ გარემოებას, **რომ ქართული სახელმწიფოებრიობის მოშლის პროცესი დიდად იყო განპირობებული საბედისწერო ფეოდალური პარტიკულარიზმით,** რომელიც შემდგომში, სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ კუთხურობაში და პროვინციულ კარჩაკეტილობაში გადაიზარდა. ამბობენ, და სწორად ამბობენ, რომ ეს ფეოდალური პარტიკულარიზმიც გარეშე ფაქტორმა განაპირობაო. ეს, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტებაა. მაგრამ განა საქართველოს ისტორიის იმ მონაკვეთზე, როცა ჩვენი ქვეყანა მკაცრად ცენტრალიზებულ, სამხედრო თვალსაზრისით მძლავრ სახელმწიფოს წარმოადგენდა (დავითისა და თამარის ეპოქები), განა არ არსებობდა ფეოდალური პარტიკულარიზმი, ცენტრიდანული ძალების აქტივობა, რომელსაც ხშირად ცეცხლითა და მახვილით აღმოფხვრიდნენ ხოლმე, მაგრამ ბოლომდე ვერ აღმოფხვრეს.

კუთხურობა და პროვინციული კარჩაკეტილობა მემკვიდრეობად საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ და საბჭოთა საქართველომაც მიიღო. დასძლევდა მას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა? ამ შემთხვევაში რაიმეს რეალური მტკიცება გამიძნელდება. საბჭოთა ხელისუფლებამ კი რომ ვერ გაართვა თავი ამ ამოცანას, ამის მომსწრე და მოწმე გახლავართ. კუთხურობის უკიდურესი გამოვლინებები იგმობოდა, მაგრამ ქართველი ერის სასურველი კონსოლიდაცია ვერ მოხერხდა. უფრო მეტიც, ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან განსაკუთრებით გააქტიურდა და საქართველოს ერთიანობისთვის საშიში ფორმები მიიღო აფხაზურმა და ოსურმა სეპარატიზმმა. ეს სეპარატიზმი აღმავლობის გზით ვითარდებოდა და დათმობების სისტემამ, შემწყნარებლურმა ტაქტიკამ სასურველი შედეგი არ მოგვცა. იცოდა თუ არა საქართველოს მაშინდელმა ხელმძღვანელობამ, რომ სეპარატისტებს მხარს უჭერდნენ გარეშე ძალები (არა რაიმე **ერთი** ძალა, არამედ **რამდენიმე** ძალა)? რა თქმა უნდა, იცოდა და სწორედ ამიტომ ერიდებოდა მწვავე გართულებებს, ცდილობდა როგორმე მოეგო დრო, ეკონომიკურ და კულტურულ ღონისძიებათა განხორციელების ფონზე გაეთიშა აფხაზები და ოსები თავიანთ სეპარატისტ ლიდერებისაგან, რომლებიც სარგებლობდნენ რა ე. წ. „ოტტეპელით", გადავიდნენ აშკარა ანტიქართულ პოლიტიკასა და საქმიანობაზე, ხელი აღმართეს საქართველოს სახელმწიფოს ერთიანობაზე. მის ტერიტორიულ მთლიანობაზე.

იმძლავრა კუთხურობამ და პროვინციალიზმმა თვით ქართულ მოსახლეობაში. ამ მოვლენის მიზეზები და შედეგები საყოველთაოდ ცნობილია და მკითხველის ყურადღებას ამ პრობლემაზე აღარ შევაჩერებ. კუთხურობამ კი სხვა მიზეზებთან ერთად პროვინციულ ფაშიზმამდე რომ მიგვიყვანა, ესეც ვნახეთ.

სეპარატიზმის ყოველგვარი გამოვლენის დაუნდობელი აღმოფხვრა, კუთხურობის ნებისმიერი ფორმის დაძლევა, — აი, ის დასკვნა, რომელიც უნდა გამოვიტანოთ ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან, საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოშლისა და გაუქმების ტრაგიკული გაკვეთილიდან.

ოცდაერთი წლის თებერვალში მოხდა საქართველოს ფაქტობრივი ანექსია საბჭოთა რუსეთის მიერ. ეს იყო გადამწყვეტი გარეშე ფაქტორი ქართული სახელმწიფოებრიობის ხელახალი გაუქმებისა, თუმცა ამ სახელმწიფოებრიობის ფორმალური ატრიბუტიკა დარჩა.

მაგრამ ამ შემთხვევაშიც არსებობდა, წარსულისამებრ, ასე ვთქვათ, შინაური ფაქტორიც. ეს იყო უკვე არა ფეოდალური, არამედ პარტიული პარტიკულარიზმი — ფეოდალური პარტიკულარიზმის, კუთხურობისა და პროვინციალიზმის ღირსეული მემკვიდრე.

ვფიქრობ, მკითხველს კარგად მოეხსენება პარტიულმა დანაწევრებამ, ძიძგილაობამ, საზოგადოების გათიშვა რომ მოჰყვა შედეგად, რა პირობები შექმნა იმისათვის, რომ გაადვილებულიყო ჩვენი სახელმწიფოებრიობის ხელყოფა.

გაკეთდა ამ, ასევე ტრაგიკული დაპირისპირებისაგან და მისი შედეგებისაგან, სათანადო გაკვეთილი? ვაი, რომ არა. უფრო მეტიც. სამწუხაროდ, დღეს პარტიული პარტიკულარიზმი გაცილებით მასშტაბურია, ვიდრე ეს იყო 1918-1921 წლების საქართველოში. ამ სტრიქონების ავტორი უდიდესი გაგებითა და თანაგრძნობით ეკიდება ჩვენში დღეს არსებული პარტიების უმეტეს ნაწილს, მათ პროგრამებს, სადაც ნათლად არის ჩამოყალიბებული ეროვნული სუვერენიტეტისა და განვითარების პრიმატი სხვა დანარჩენ ფაქტორებზე, მაგრამ ნუთუ ამ პარტიების წინამძღოლებს არ შეუძლიათ **დღეს, როცა მართლაც წყდება საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი,** არა ფორმალურად, არამედ არსებითად, შეკავშირდნენ სამშობლოს გადასარჩენად?

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების დაპირისპირებამ იმ საშიშ ზღვარს მიაღწია, რომლის მიღმა სამოქალაქო ომის საზარელი ლანდი აღიმართება.

დამოუკიდებელი საქართველოს ორიენტაციის პრობლემა აკადემიური დავის ფარგლებს სცილდება, მას აქვს სადღეისო პრაქტიკული მნიშვნელობა, კერძოდ, ეგრეთწოდებულ „რუსეთის ფაქტორს". ამ შემთხვევაში ქართველ ხალხს სჭირდება არა ემოციური ამოფრქვევები, არამედ ღრმა, მეცნიერულად ზუსტი და დასაბუთებული ისტორიული, ეკონომიკური და პოლიტიკური ექსპერტიზა იმ გამოცდილების ბაზაზე, რომელიც საქართველოს ძველ, ახალ და უახლეს ისტორიას აქვს. მაგრამ **პარტიული პარტიკულარიზმის უკიდურესი გაღვივების, საკანონმდებლო და აღმასრულებელი სტრუქტურების სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირების პირობებში ასეთი არჩევანის შეუცდომლად გაკეთება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია.** ესეც მეორე, არანაკლებ ტრაგიკული გაკვეთილი.

კიდევ ერთი მომენტი. როგორც ჩვენი სახელმწიფოებრიობის მოშლა იყო ხანგრძლივი პროცესი, ასევე ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის მოპოვება არ გახლავთ ერთდროული აქცია, დეკლარაციის კატეგორია. ისიც ხანგრძლივი, რთული და მძიმე პროცესია. ეს კარგად უნდა შევიგნოთ.

და კიდევ ერთი მომენტი დამოუკიდებლობის ცნებასთან დაკავშირებით. ნებისმიერი თანამედროვე მოწინავე ქვეყანა ეკონომიკურად და კულტურულად ინტეგრირებულია, პრაქტიკულად მთელს ცივილიზებულ და განვითარებულ სამყაროსთან. ეს ობიექტური რეალობაა. ყალბად გაგებულ დამოუკიდებლობას იზოლაციონიზმისკენ მივყავართ. ამან რა სიკეთე მოგვიტანა, უკვე ვიწვნიეთ. სამწუხაროდ, ახლაც არც თუ იშვიათად, გაისმის კვაზიპატრიოტული ფრაზების ჭრელ მოსასხამში გახვეული მოწოდებები, რომლებსაც, თუ, ღმერთმა ნუ ქნას, ავყევით, საბოლოო ჯამში იმ ცნობილ ავსტრალიელ ჯუჯათა ტომს დაველამსგავსებით, რომელიც დიახაც რომ „დამოუკიდებელია" მთელს გარე სამყაროსთან.

ზუსტად ხუთი წლის წინათ გაზეთ „ზარია ვოსტოკაში" დაისტამბა პროფესორ ლევან თოიძისა და ამ სტრიქონების ავტორის ერთობლივი წერილი «Дата возрожденная перестройкой». ვიცი, უხერხულია საკუთარი (თუნდაც ერთობლივი) სტატიის ციტირება, მაგრამ შემინდოს მკითხველმა, ამას პირველად და უკანასკნელად ვაკეთებ.

„დღეს, — ნათქვამია იმ წერილში, — არა თუ ცალკეულმა ჯგუფებმა და მიმართულებებმა, არამედ მთელმა ქართველმა ხალხმა უნდა გამართოს კონსტრუქციული, ნაყოფიერი დიალოგი... მოილაპარაკოს, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ და ვიმუშაოთ შემდგომში, რომ საქართველო გახდეს ღირსეული წევრი მსოფლიოს ქვეყნების თანამეგობრობისა.

არ არსებობს სამშობლოს ბედნიერებასა და აყვავებაზე უფრო მაღალი მიზანი და ამ წმინდა მეცადინეობაში ვერაფერს მიაღწევს დამარტოხელებული. გავიხსენოთ მომაკვდინებელი ირონიით, მაგრამ უმაღლესი მოქალაქეობრივი პათოსით გამსჭვალული ილია ჭავჭავაძის ლექსი „ბედნიერი ერი". ჩვენ უნდა გავხდეთ ბედნიერი ერი უბრჭყალებოდ, უკუვაგდოთ ყველაფერი, რაც დაგმო უკვდავმა ილიამ, და კიდევ ერთი რამ: „მოდით, გადავდოთ პირადი ამბიციები და გაუტანლობა განუსაზღვრელი დროით, ნუ გავახარებთ იმათ, ვისაც სურს გვიხილოს გათიშულები, უმწეონი, სახაცილონი" (გაზ. „ზარია ვოსტოკა" 24 მაისი, 1989 წელი).

• • •

ვფიქრობ, უკვე დადგა ჟამი შობისა, ჟამი შენებისა, ჟამი პოვნისა, ჟამი სიყვარულისა და ჟამი მშვიდობისა. ყოველმა ქართველმა, საქართველოს ყოველმა შვილმა უნდა გაითავისოს ეს იმედიანი სიტყვები, რომ შემდგომში არ თქვან ჩვენს თაობაზე — მან ვერ შეძლო საქართველოს გადარჩენა.

დევი სტურუა.



საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

ამ გვერდის მასალები მოამზადეს საქართველოს პარლამენტის დემოკრატიული აღმშენებლობისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა.

აღსდგა. აღს

საქართველოს დემოკრატიული ინტელიგენცია დიდი ენთუზიაზმით შეხვდა 1918 წლის 26 მაისს — საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების დღეს. მის ერთ-ერთი მკაფიო დადასტურებაა გამოჩენილი ქართველი მწერლის, რედაქტორ-გამომცემლისა და საზოგადო მოღვაწის იოსებ იმედაშვილის დამოკიდებულება ამ თარიღისადმი. მან თავის ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება" (1918 წლის 2 ივნისი, № 8), გამოაქვეყნა 26 მაისისადმი მიძღვნილი ორი წერილი და დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი!".

მკითხველს ვთავაზობთ ერთ-ერთს — „აღსდგა, აღსდგა!"

„აღსდგა, აღსდგა! თავისუფალ საქართველოს თავისუფალო შვილნო! წელში გაიმართენით. თავი მაღლა აიღეთ, მზეს თვალები გაუსწორეთ: დღეიდან თქვენ მონები აღარა ხართ! დღეიდან თქვენ სრულუფლებიანი მოქალაქენი შეიქენით ჩვენი საყვარელი მიწა-წყლის, კეკლუც-სამშობლო საქართველოსი.

ჩვენ მრავალწამებულ სამშობლოს გმირთა სულმა კიდევ ერთხელ გაშალა ფრთები და დროთა უკულმართობის ცოდვაში დამწვარ-ჩაფერფლილი კვლავ აღსდგა, განახლდა.

განახლდა ფენიქსებრ.

საერთაშორისო ძმობა-ერთობის ქურაზე გამოწრთობილი სული ქართველი ერის საუკეთესო შვილთა მშობლის მკერდს დაუბრუნდა: შვილმა მშობელს მიაგნო, მშობელმა შვილი ჩაიხუტა, სულმა-სული იცნო და (1918 წლის მაისის 26-ს) ერთხმად შესძახა: საქართველო აღსდგა მკვდრეთით.

უცხო დამპყრობთა ფეხქვეშ გაქელილი ჩვენი ზურმუხტოვანი სამშობლოს მთა-ველები, ვითომ

არქივიდან

ჩვენი მეგობრების მიერ სულიერად დამოწმებული და ნივთიერად გალატაკებული ჩვენი მშრომელი ხალხი ამიერიდან თავისუფალია, თავისი თავის პატრონი, თავისი ბედის თითონ გამომჭედი.

ამიერიდან არის მხოლოდ დამოუკიდებელი თავისუფალი საქართველო, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, რომელსაც ჰმართავს გაერთიანებული ქართველი ხალხი-დემოკრატია.

განიხარე სულო ქართლოსისაო, მარჯვენავ სოფლის მშრომელისაო, გულო ყოველი ქართველისაო, საქართველოს ყოველ ერთგულ შვილისაო, ამიერიდან შენი მზეც ბრწყინავს.

გმადლობ ზენაარო, გმადლობ

საქართველოს დემო
წრთობ-ნაგვემო სუ
ვენავ, რომ მთელ
დევნილ სიცოცხლე
დნიერი წუთი მაინ
ვინე — სამშობლოს
ფლება მაჩვენე. გმ
ლო ჩემო, რამ
ჩემთა იხილეს მაც
ნი ან განმიტევე მ
— ᲘᲝᲡᲔᲑ ᲘᲛᲔᲓᲐᲨ

მეორე წერილში
დემოკრატიული
ავტორი განმარტავ
შიავდა დემოკრატ
ლიკა, დამოუკიდებ
სუფალი საქართველ
ტია და აქვე უპასუ
„როდის გაიმარჯვებ
მობლოს თავის
„როდესაც ყველა
ლეობას სამშობლოს
ნათლად შეასრულებ
დეს ისეთი დიდი მ
გვლგომია თავს, რ
დღემდის თუ სხვებ
ნენ" ჩვენზე, დღეს
უნდა ვიზრუნოთ ჩ
ბის ლასაწინაურებ
თავის დარგში".

ეს ამოცანა, დღეს
საჭიროება დღეს სა

ვახტანგ

საქართველ

საქართველოს ეროვნული საბჭოს პირველი სხდომა

1918 წლის 26 მაისი, კვირა, თბილისის სასახლე

კრებას დაესწრო 42 წევრი და 36 კანდიდატი. თავმჯდომარეობს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია. პრეზიდიუმში არიან: გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ ვეშაპელი, პავლე საყვარელიძე. მდივნად არის ილია ზურაბიშვილი.

კრება 4 საათსა და 59 წუთზე იწყება, თავმჯდომარემ საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სიტყვას ამბობს **ნოე ჟორდანია:**

საქართველოს ახალი სახელმწიფო, რომელიც დღეს არსდება, არ იქნება მიმართული არც ერთი ხალხის, არც ერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ. მისი მიზანია დღევანდელ ისტორიულ ქარტეხილისაგან დაიფაროს თავისი თავი. და როცა ამას მოახერხებს, იგი დაეხმარება სხვებსაც. საქართველო ჩვეული იყო ბრძოლას თავისი არსებობის დასაცავად. ის საუკუნეობით იბრძოდა, რათა თავისი სულიერი ვინაობა, ნაციონალური ორგანიზმი და ტერიტორია შეენარჩუნებინა. მაგრამ იგი იბრძოდა მხოლოდ თავის დასაცავად და არ ებრძოდა სხვის არსებობას. ამასთანავე, იგი იბრძოდა არა მარტო ქართველთათვის, არამედ იმ ერებისთვისაც, რომელნიც მოსახლეობდნენ მის სახელმწიფოებრივ ფარგლებში, მეტსაც ვიტყვი, ის იბრძოდა თავისი ფარგლების გარეთაც, აგრეთვე სხვების დასაცავად...

ჩვენ გვსურს ვიქონიოთ მეგობრული ურთიერთობა ჩვენს გარეშე და ჩვენს შორის მყოფ ერებთან. ეროვნული უმცირესობანი იქნებიან ისევე უფლებამოსილი, როგორც იქნება ჩვენი სახელმწიფოს ეროვნული უმრავლესობა — ქართველობა.

ეხლა მომეცით ნება გადავიდეთ იმ საგანზე, რომლისთვისაც ჩვენ აქ შევიკრიბენით. ჩვენ უკვე გვაქვს შემუშავებული აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა, რომელიც ახლა იქნება წაკითხული.

ნოე ჟორდანია კითხულობს საქართველოს **დამოუკიდებლობის აქტს...**

კრების დარბაზში თავმჯდომარის წინადადებით გრიგოლ ვეშაპელი კითხულობს აქტის რუსულ თარგმანს. რასაც მოჰყვება იგივე ტაში და ოვაციები.

თავმჯდომარე: თანახმა ხართ მიიღოთ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი თუ არა? გთხოვთ ასწიოთ ხელი. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. თავი ვინ შეიკავა? არავინ. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ერთხმად იქნა მიღებული. (ხანგრძლივი ტაში. ისმის ხმები: გაუმარჯოს საქართველოს!).

ვთხოვ საბჭოს ყველა წევრს, რომ კრების შემდეგ მოვიდნენ აქ და აქტს ხელი მოაწერონ.

თავმჯდომარის წინადადებით ეროვნული საბჭოს მდივანი ილია ზურაბიშვილი სასახლის აივანზე გადის და იქიდან უკითხავს თავმოყრილ ხალხს დამოუკიდებლობის აქტს. აქტის თითოეული დებულება ხალხში დიდ ენთუზიაზმს იწვევს. (ვაშას ძახილი, ტაში და ოვაციები განუწყვეტელია).

თავმჯდომარე: ეხლა ნება მიბოძეთ გამოვაცხადო ჩვენი დროებითი მთავრობის შემადგენლობა, რომელიც შედგენილია აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ფრაქციების წარმომადგენლებთან შეთანხმებით: 1. მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი. 2. საგარეო საქმეთა მინისტრი აკაკი ჩხენკელი. 3. სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე. 4. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი გიორგი ჟურული. 5. განათლების მინისტრი გიორგი ლასხიშვილი. 6. მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი ნოე ხომერიკი. 7. იუსტიციის მინისტრი შალვა მესხიშვილი. 8. გზათა მინისტრი ივანე ლორთქიფანიძე.

(ყველა ზემოთ აღნიშნულ პირთ კრება და დამსწრე საზოგადოება ტაშით და ოვაციებით ეგებება გარდა აკაკი ჩხენკელისა, რომელიც საზავო დელეგაციაში იმყოფება. მინისტრები მთავრობის ადგილს იჭერენ).

თავმჯდომარის შეკითხვაზე კრება ერთხმად ამტკიცებს ზემოდ დასახელებულ პირთა მთავრობაში არჩევას.

თავმჯდომარე: ახლა საჭიროა, ვიდრე შევუდგებით კანონების გამოცემის მუშაობას, ძალაში დარჩეს ყველა ის კანონი, რომელიც დღემდე არსებობს და საქართველოში მოქმედებს. (კრება ერთხმად იღებს ამ წინადადებას).

ამის გარდა, ჩვენ უნდა მივიღოთ წინადადება ფინანსების შესახებ. ვინაიდან საფინანსო საქმე მეტისმეტად რთულია, საჭიროა დროებით დარჩეს ძველი წესი ფულის ბეჭდვისა, სანამ ჩვენი საკუთარი ფულის სისტემა შემუშავდება. (კრება ერთხმად იღებს თავმჯდომარის წინადადებას).

საჭიროა ჩვენს შემდეგ კრებას კანონიერი ხასიათი მივცეთ. გამოვარკვიოთ ვინ არის წევრი და ვინ კანდიდატი. ამისათვის უნდა ავირჩიოთ სამანდატო კომისია, რომელიც შემდეგ სხდომისათვის წარმოგვიდგენს მოხსენებას. გთხოვთ დაასახელოთ. ასახელებენ: 1. თევდორე კიკვაძეს, 2. რაჟდენ არსენიძეს, 3. შალვა მიქელაძეს. 4. იასონ ლორთქიფანიძეს, 5. გიზო ანჯაფარიძეს, 6. კალენიკ ქავთარაძეს. 7. გიორგი გვაზავას. კრება ერთხმად ამტკიცებს ამ შემადგენლობას.

თავმჯდომარე: დღევანდელი წესრიგი დასრულებულია. ამ დღეებში ჩვენი მთავრობა წარმოუდგენს საბჭოს დეკლარაციას. ეხლა ჩვენ უნდა გადავიდეთ კრების საგნის მეორე მხარეზე. აქ იმყოფებიან ერთა წარმომადგენლები, რომელთაც განაცხადეს სურვილი, მიესალმონ საბჭოს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო.

მაჰმადიანთა წარმომადგენელი **ფათალი-ხან ხოილი:** მაჰმადიანთა ცენტრალური კომიტეტის სახელით მოგილოცავთ, დამოუკიდებელ საქართველოს მოქალაქენო, თქვენს დღევანდელ ბედნიერებას. 100 წელიწადზე მეტია, რაც საქართველო იბრძოდა თავისი დამოუკიდებლობისათვის და აი დღეს აგისრულდათ ის ნატვრა, რომელიც ჩამარხული იყო ყოველ ქართველ მამულიშვილის გულში. ამიერკავკასიის ერები ცდილობდნენ, რომ შეექმნათ ერთი მთლიანი სახელმწიფო, მაგრამ დღევანდელ პირობებში ჩვენ ეს ვერ შევძელით: ეხლა ჩვენ ვშორდებით ერთმანეთს, რომ შემდეგში უფრო მტკიცეთ შევკავშირდეთ. ჩვენი განშორება არ იქნება ხანგრძლივი. უკვე ახლოა ის დღე, როდესაც ჩვენ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას ერთი მიმდინარეობა მიეცემა.

ჩვენ ვგრძნობდით განშორების აუცილებლობას, მაგრამ ისიც გვწამს, რომ მალე ისევ შევკავშირდებით.

ნება მომეცით ერთხელ კიდევ მოგილოცოთ ამიერკავკასიის ყველა მაჰმადიანის სახელით: გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! (ტაში).

ადგილობრივ **პოლონელთა წარმომადგენელი:** ჩვენ
თის შვილები მივესა
ბრძოლა საქართველოს
ფალ შვილებს და
ყოველივე სიკეთეს
საქართველოს!

**ოსების წარმომადგე
რგი გაგლოევი:**
მოქალაქენო! ამ
განიცდი იმავე გრ
მელსაც განიცდით
საგებიც არის. მე
დგენელი არა მარტ
არამედ საქართველო
ლი საბჭოს წევრი
ფაქტი ამტკიცებს,
ერს შორის არის
ვშირი, რომელიც
ჩვენ გვწამს, რომ
დემოკრატია თავის
ბლა არ დაუშვებს.
დემოკრატიასთან ერ
შის ქვეშ ილის ჩ
რატიაც. ამ იმედებით
მივესალმები ამ კრ
საქართველო აიღ
ცდელს, რომელიც
გარეშე მტრისაგან.

**ქართველ მაჰმადი
მადგენელი ჰაიდარ-ბ**
ძვირფასო ძმებო!
ნი მომმე ქართველ
ბი გილოცავთ საქარ
ნთავისუფლებას,
ვალტანჯულ საქართ
მოუკიდებლობას!
ნაღვლით ივსება,
დიანი საქართველო
არის. მაგრამ მე
რომ სამაჰმადიანო
დღეს თუ არა, ხვალ
ლხინშიც თქვენთან
მაშ გაუმარჯოს
ქართველოს, შემდეგ
ტერიტორიალურად
ბულ საქართველოს!

**გერმანიის რწმუნ
რი:** თუმცა ჩემი
არა მაქვს ოფიცი
ლება, მაგრამ მე
ლოცავთ დამოუკიდ
მყარებას და ვუსუ
დარსებულ სახელმ
ლივე სიკეთეს და

**ამიერ-კავკასიის
წარმომადგენელი**
ცავს კრებას საქარ
მოუკიდებლობის გა
გამოთქვამს სურვილ
ქართველო აღსდგა
დან, განახლდეს,
ქსი (ფასკუნჯი) და
ტაძარში გამოსვლ
დი.

თავმჯდომარე:
ლით მადლობას
ვინც ჩვენ მოგვილ
ბას ვხურავთ.

კრება საღამოს 5
წუთზე იხურება.

სულიკო

26 მაისის პარადოქსები

საქართველოს პირველი დამოუკიდებლობა ამ საუკუნის დასაწყისში და მეორე დამოუკიდებლობა ამავე საუკუნის დასასრულს ტყუპებივით ჰგვანან ერთიმეორეს ძირითადად ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის პირობების გაჩენის მოულოდნელობით და, ამავე დროს, დამოუკიდებელი, ეროვნული სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების კრედოს უქონლობით. დასაწყისის მსგავსება არ გამორიცხავს, პირიქით, შესაძლებელს ხდის დასასრულიც ერთნაირი იყოს. საერთოდ კი, ერთგვაროვანი მოვლენების წარმოქმნის ისტორიული პროცესები მთლიანობაში ერთიმეორეს ემთხვევა, თუ არ გავითვალისწინებთ იმ გაკვეთილებს, რომლებსაც რეალური სინამდვილე გვიკარნახებს.

ობიექტურ სინამდვილეს ნაკლებად აფასებდნენ და მის გათვალისწინებას ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები, როცა მათ ხელისუფლებისთვის პასუხისმგებლობა იკისრეს. მათ სუსტი წარმოდგენა ჰქონდათ საერთოდ ისტორიის ამომრავებელ ძალებზე და კერძოდ კი იმ ძალებზე, რომლებსაც საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა დაეფუძნებოდა. აქედან გამომდინარეობდა მათი მაქსიმალიზმი — სურვილების აყოლა შესაძლებლობების გაუთვალისწინებლად. ისინი არ უყურებდნენ ეკონომიკური განვითარების პროცესს საქართველოში, არად აგდებდნენ იმას, რომ ქვეყანა ის-ის იყო გადადიოდა ბურჟუაზიული განვითარების ყაიდაზე და ისე იქცეოდნენ, თითქოს ეს სტადია განვითარებისა უკვე განვლილი იყო და საჭირო იყო სოციალიზმის შემოღება. არა სოციალიზმზე გადასვლა თანდათანობით, არამედ სწორედ რომ შემოღება, ეს მაქსიმალიზმი ქართველ სოციალ-დემოკრატებს ბოლშევიკებიდან ჰქონდათ შესისხლხორცებული. ამის გამო საქართველოს რუსეთის მიერ დაპყრობა, ანექსია და ოკუპაციაც რომ არ ყოფილიყო, შესაძლებელია სოციალური სახელმწიფო მაინც ვერ აშენებულიყო იმ მოდელით, რომლის განხორციელება მიზნად ჰქონდათ ქართველ სოციალ-დემოკრატებს. მოვლენათა ასეთი დაჩქარების სურვილი ძალიან ჰგავს ერთ ჩინურ იგავში აღწერილ ამბავს: იყო ორი ძმა, რომლებსაც ბრინჯის ყანები ჰქონდათ. ერთი ძმა ჩვეულებრივად, ტრადიციულად უვლიდა ყანას, მეორე კი გამომგონებლობდა, ჩქარობდა, „ეხმარებოდა" ბუნებას და ყანა სწრაფად, რომ გაზრდილიყო, ყოველდღე, სათითაოდ ხელით ზემოთ ეწეოდა ბრინჯის ღეროებს. ყანა ცხადია, საბოლოოდ გახმა...

არასწორად ესმოდათ მაშინდელ სოციალ-დემოკრატებს პროლეტარიატის როლი და მნიშვნელობა სახელმწიფოს მშენებლობაში. პროლეტარიატი არც მაშინ იყო და არც შემდეგ გამხდარა ის ძალა, სახელმწიფოს მშენებლობის საფუძველი რომ დაემყარებოდა. ძალდატანებამ და თუნდაც ისეთმა ძალდატანებამ, რომელმაც პროლეტარიატის დიქტატურამდე მიგვიყვანა, მაინც ვერ აქცია იგი სახელმწიფოს ძირითად მამოძრავებელ ძალად, ამიტომ, როგორც კი ეს ძალდატანება — დიქტატურა მოიხსნა, პროლეტარიატი თავის ბუნებრივ კალაპოტს დაუბრუნდა, ხოლო სახელმწიფო დაინგრა.

განა თავისი ნეგატიური როლი არ შეასრულა ისტორიულმა პარადოქსმაც, იმან რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები გაცხარებით უარყოფდნენ საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის საჭიროებას და მხოლოდ კულტურული „დამოუკიდებლობის" ატრიბუტებით კმაყოფილდებოდნენ, სახელმწიფოს აღდგენა კი რეაქციონერებისა და თავადაზნაურობის საქმედ იყო მონათლული, და უცებ აღმოჩნდა, რომ დემოკრატიული და დამოუკიდებელი საქართველო ამ „იდეოლოგებს" უნდა აეშენებინათ?

მთელი მათი თეორიული არსენალი გამოჩნდა უაზრო დავაში იმის თაობაზე, რომ რუსეთი ისტორიულად შემოვიდა საქართველოში თუ შემოიყვანეს, თითქოს ორივე ამ გარემოებამ ერთიდაიგივე შედეგებამდე არ მიგვიყვანა, თითქოს პოლიტიკურად სხვადასხვა ფასი ჰქონდა „შემოსვლას" და „შემოყვანას". „შემოსვლა" თითქოს ქართველი ერის მოთხოვნა იყო, „შემოყვანა"— ძალდატანება. რუსეთის „შემოსვლის" იდეოლოგი ნოე ჟორდანია წერდა, რომ ქართველი ხალხი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა რუსეთის შემოსვლას საქართველოში და ამის თაობაზე ცხარედ ეკამათებოდა არჩილ ჯორჯაძეს, რომელიც ფაქტებით ამტკიცებდა ჟორდანიას აღფრთოვანების სიყალბეს. ქართველი სოციალ-დემოკრატების აზრით რუსეთს საქართველოსათვის მოჰქონდა დიდი კულტურა და ტერიტორიული მთლიანობა, ხოლო ქართული ეროვნული სულის ოდნავი გამონათებაც კი მაშინ პროვინციულ ეგოიზმად იყო მიჩნეული. (ეს ტერმინი ნახმარია მაშინდელ პრესაში, კერძოდ კი გაზეთ „ტრიბუნაში", 1922, № 241).

ნოე ჟორდანია დაბნეულობის ბურუსიდან ვერც ემიგრაციაში გამოერკვა და სოციალიზმის კაპიტალიზმზე დამყნობას ცდილობდა ისეთ ვითარებაში, როცა არც კაპიტალიზმი იყო განვითარებული საქართველოში, ხოლო სოციალიზმი ხომ არ არსებობდა და არ არსებობდა. ჰაერში გამოკიდებული და უტოპიური აღმოჩნდა მისი კრედო: ნაკლები კანონი, ნაკლები მოხელე, ნაკლები გადასახადი, ანუ ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც იძლევა მრეწველთა საქმიანობისათვის თავისუფალ მოედანს, თავისუფალ დამოკიდებულებას შრომასა და კაპიტალს შორის.

ისტორიას უყვარს პარადოქსები, მაგრამ პარადოქსი იმიტომ არის პარადოქსი, რომ მასზე სერიოზული პოლიტიკური თეორიის და, მით უმეტეს, სახელმწიფოს დაფუძნება არ შეიძლება.

მეორე პარადოქსი დამოუკიდებელი საქართველოს დამხობისთანავე აღმოჩნდა და იგი მემარცხენე სოციალ-ფედერალისტმა თედო ღლონტმა ამგვარად გამოხატა: დღეს ჩვენს წინაშე სხვა რუსეთია — რუსეთი პროლეტარიატის და მისი [illegible] ლენინის, ვის ხელშიც შეიძლება შევხედოთ რუსეთს მეგობრულის გრძნობებით. შავრაზმელები კი ამბობენ, თითქოს ლენინის რუსეთი იმპერიალისტური რუსეთი იყოს! არა, ჩვენ უფრო მეტად უნდა ვენდოთ ლენინის რუსეთს. მართალია, რუსული ენა მოეძალა საქართველოს დაწესებულებებს, მაგრამ რუსული ენის ხმარება ჩვენს ეროვნულ კულტურას ვერ შეაფერხებს, ჩვენი გარუსება საუკუნეების შედეგია. ყოველივე ეს არის ფაქტი და რა ჰქნას ლენინმა, თუ მას არავითარი საშუალება არ აქვს ყოველივე ჩვენგანიდან ამოგლიჯოს რუსი, რომელიც მთელი საუკუნეების განმავლობაში მოკალათებულა ჩვენს არსებაში (იხ. თედო ღლონტის მეთაური წერილი „ისტორიული სინამდვილე", გაზეთი „ტრიბუნა" 1922 წ. № 158).

რაც შეეხება სურვილების რეალობად გაცხადებას, — ეკონომიკის ძველი სტრუქტურების გარდაუვალ მოშლას, თვისებრივად განსხვავებული ეკონომიკის საფუძვლიდან და არა „სახურავიდან" გარდაუვალი აშენების საჭიროებას, ქართული დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს დაფუძნების გზების დაუძლევლობას, საერთოდ კი ობიექტური რეალიზმის წინაშე თვალის დახუჭვას, ჩვენ, სამწუხაროდ, დღესაც იმავე საფეხურზე ვიმყოფებით, როგორშიც ოციანი წლების დამოუკიდებელი საქართველო იყო.

გივი მარუაშვილი.

შეღავათიან ფას
იყიდება
კამერა-მაცივარი „კხნ-2-60" მ
ელექტრო სამწვადე — 50 შამფურ
ხორცის საკეპი ელექტრომანქანა
ოფისისათვის 10 ცალი
2 ტუმბოიანი საწერი მაგიდა;
4 ცალი წიგნის კარადა და
10 ცალი წიგნის თარო.
ტელეფონი: 98-87-26,
11 საათიდან 19 საათამდ

ყურადღება
ცხადდება კონკურსი კანადის ქალაქ კინგსტონის (ონტა
ნაპირო) სამეფო უნივერსიტეტში ინგლისური ენის შესწავლ
თა შესარჩევად. სწავლების ღირებულება, რომელშიც შედ
მოსკოვი-მონრეალი-მოსკოვი, ცხოვრება ერთადგილიან ნომ
ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, შეადგენს: 2 თვით — 300
4900, 6 თვით — 6700 დოლარს. ასაკი — 18-45 წელი.
მიმღები მხარე საპატიო მოვალეობად მიიჩნევს დიპლომ
ლოდან წარგზავნილებს აშშ და კანადის უნივერსიტეტების
მისაღები გამოცდების ჩაბარებაში.
მოგვმართეთ 27 მაისამდე.
ტელ: 93-56-65, 39-32-32, 22-4

ეროვნული ბიბლიოთეკა



„იდგა ღვთის წინ და პირჯვარს იწერდა"...

26 მაისი მერაბ კოსტავას დაბადების დღეა

ადამიანმა დაახლოებით იცის თავისი სიცოცხლის ლივობის შესაძლო ფარგ- ან სჯერა სულის უკვდა- , ან ჰგონია, ერთიანად მი- მიწადვე იქცევა და ამის ვით იჯერს თადარიგს. ერ- ცოცხლის ხანგრძლივობის ებზე კი ვინ მიგვითითოს? დასჭირდა, სად ვიპოვოთ მისთა განკურნების წამა- — წერს მერაბ კოსტავა თა- ფილოსოფიურ ნაშრომში ები საქართველოს მისია-

ს თავისუფლებისთვის ტან- ყველასაგან გამორჩეული ი მერაბ კოსტავა როცა სა- ელოს ბედზე ფიქრობდა, ს მრავალუცნობიან გან- ბას ხსნიდა: „გგონია, აჰა, და ერი, არწივივით მოედო ს კაბადონს, მოიხილა მი- ედგეთა ასხმა წარსულიდან მდე, აწმყოსაც გასცდა და ა გაურკვევლობით მოცუ- ვალსაწიერი მომავლისა. სი- ილეში კი, მატლივით უც- იქ, სადაც საქმე მყობადს წარსულის ანალოგიები ალს აღარ გამოადგება, ფა- ა და ოცნება სინამდვილე- ვერია და ვერ მიუმხვდარ- რომ ბედი ერისა კიდევ ბნელითაა მოცული, ვიდ- ალკეული ადამიანის ბედი". წარსულის ანალოგიები მო- აღარ გამოადგება... ფანტაზია და ოცნება სინა- ლეში აგვერია... სად ვიპოვოთ ერის სენთა ების წამალი?..

ანი წლების ბოლოს ერთ- გაზეთის კორესპონდენტთან რისას მერაბ კოსტავა ხაზგა- ამბობდა: დროა მივეჩვიოთ ავებული აზრების მოთმი- მოსმენას...

ც მერაბ კოსტავას ამ სიტ- ჩაუფიქრდება, ვინც მის ევს ღრმად ჩასწვდება, ალ- აღარ გაუკვირდება, თუ რა- წუხდნენ მისი მეგობრები ელთა საბედისწერო, კოშ- ლი დაპირისპირების დროს: **კოსტავა ცოცხალი რომ , ალბათ, საქმე აქამდე არ ოდა!**

იყო უდიდესი მისია, რომე- სიკვდილის შემდეგაც ეკას- ოდა მის სულს. სამწუხაროდ, ო სულმა, უმერაბოდ ეს ვერ ლო!

რატომ ეიმედებოდათ ალიან? — ალბათ, იმიტომ,

რაბ კოსტავა განსაკუთრებუ- სულიერი სიმტკიცის, პიროვ- ად მთლიანი ადამიანი იყო; რაბ კოსტავა საქართველოს ადასაკაცობრიო მისიას გაცი- ით უფრო რეალურად ხედა- ვიდრე ეროვნულ-გამათავი- ლებელი მოძრაობის ლაშქრის ოთა უმრავლესობა. მერაბ კო- ავას სიკვდილით, თითქოს, ისუფლების ზოგადსაკაცობ- გააზრებიდან, ერთბაშად გა- ევით ძმათა შორის სამარცხ- ანგარიშსწორების მორევში. კვდა ეროვნული სულის სი- ის სიმბოლო, მოკვდა და- ის, შერიგების, ურთიერთ- ულის მცირე ეპოქაც!.. რაბ კოსტავასთვის უცხო იყო ოლი, ცინიზმი, სკეპსისი, შუ- ოროტება, ანგარება. მისთ- უმაღლეს ჭეშმარიტებას მხო- სამშობლო წარმოადგენდა: **უყვარდა ეროვნული საქმე არა თავისი თავი ამ საქმეში.** ის თვისებაა, რომლის მატა- ელი ადამიანი მთელ საქართ- ოში, საუკუნეების მანძილზე, წუხაროდ, სანთლით საძება- !..

ერაბ კოსტავას საკუთარ კე- ლდღეობაზე არასოდეს უფიქ- , მისი კეთილდღეობა საქარ- ლოს კეთილდღეობას ნიშნავ- ...

რადგანაც ნებისმიერი ქართვე- მუდამ იყო (და არის!) „მებ- ოლი შავის ბედისა", მერაბ კოსტავაც ხშირად ინუგეშებდა თავს ამ შავ ბედთან ბრძოლის „მარადიულობით".

მერაბ კოსტავა ჭეშმარიტი მორწმუნე იყო და ქრისტიანული კაცთმოყვარეობით გამოირჩეოდა. ქრისტიანულად მიმტევებელსა და მომთმენს არაერთგზის შეურიგებია ერთმანეთთან დაპირისპირებული ადამიანები. სწორედ ამიტომაც მისტიროდნენ მას (და მისტირით დღესაც), რადგან დასასრული არ უჩანს მთავარი იდეის დამთრგუნველ „პოზიცია-ოპოზიციის" დაპირისპირებას!

რამდენი სიმწარე, ტკივილი, სულისშემძვრელი ელდა განიცადა მერაბ კოსტავამ (მარტო შვილის, პოეტ ირაკლი კოსტავას თვითმკვლელობა როგორი გადასატანი იყო!), მაგრამ არ გაბოროტებულა, ზნეობრივად არ დაცემულა, არ წამხდარა, პირიქით, — უფრო მიმტევებელი და ღვთისნიერი გახდა. გარეგნულადაც როგორ გამოიყურებოდა: ანტიკური იერით, მთლიანად გაჭაღარავებული, სანთელივით წმინდა, ბრგე, მიმზიდველი, დამაჯერებელი საუბრითა და ფოლადივით მტკიცე, ხავერდოვანი ხმით...

სამართლიანი, უკომპრომისო, მიმტევებელი... ამიტომაც აღიარა ხალხმა მისი სახელი და ჭეშმარიტ ეროვნულ გმირად შერაცხა.

დედა — ოლღა დემურია-კოსტავა:

— მერაბს თანამდებობაზე არასოდეს უოცნებია. ხშირად იტყოდა, „მე პრეზიდენტი არასოდეს გავხდები, ჩემს ხალხს უნდა ვემსახურო, ადამიანთა უფლებები დავიცვაო", იგი არასოდეს ფიქრობდა პირად კეთილდღეობაზე. ცხოვრებისეული სიძნელეები მისი ცხოვრების თანამგზავრი იყო...

აკი წერდა კიდეც მერაბ კოსტავა თავის „პატიმრის ჩანაწერებში": „თუკი ქადაგებ ქვეყნად ჰუმანიზმს, კიდევაც შესძელ ტანჯვის ატანა, შესძელ ალაგმო შენში გურმანი, გაავებული, როგორც სატანა"...

ან კიდევ: „მხოლოდ ძლიერთა ძალუძთ ალაგმონ სულმდაბლობა და ძაბუნი შიში, გარემოცვისას ბევრმა ქალაქმა მონის ბორკილი არჩია შიმშილს. რადგან ქალაქი, ვით პიროვნება, თვითაა თავის ბედის მჭედელი, საკუთარ ხალხის და ეროვნების სინდისისაგან მოუკვეთელი..."

როგორც ცნობილია, მერაბ კოსტავამ პატიმრობაში ერთ წელიწადზე მეტ ხანს იშიმშილა. ციხის ადმინისტრაცია მას ხელოვნურად კვებავდა. პატიმარმა სული მაინც შეინარჩუნა და შთამბეჭდავი ჩანაწერებიც დაგვიტოვა... ეტყობა, მერაბ კოსტავა მართლაც ზღაპრული გამძლეობისთვის გააჩინა განგებამ, რადგან ასეთი ხვედრის მიუხედავად, არასოდეს მოსწყდარა მიწიერ, ადამიანურ ფიქრებს. „მძიმე ქვაპანი თუ გსურს გასწიო, საფუძვლად საქმე დაუდო სიტყვას, სასურველ შედეგს რომ მიაღწიო, მიწაზე უნდა იცხოვრო დიდხანს". — ესეც პატიმრის ჩანაწერებიდან გახლავთ.

სიცოცხლის ბოლო წლებში მერაბ კოსტავამ საქართველოს სააღგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდი შექმნა. ამით მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, მყარად დგას მიწაზე და ყოველდღიური პრობლემების გადაწყვეტისათვის ფიქრობს. აი, რას წერდა მერაბ კოსტავა ზუსტად ხუთი წლის წინათ: „...ფონდი გათვალისწინებულია იმავე მიზნების აღსასრულებლად, რაიც თავს იდვა XIX საუკუნის მეორე ნახევარში დიდი ილიას მიერ დაარსებულმა სათავადაზნაურო ბანკმა. როგორც ერთი, ისე მეორე ორგანიზაციის მიზანი იყო და არის — ქვეყნის მძიმე დემოგრაფიული და ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანა, ქრისტიანულ-საქველმოქმედო საქმეთა განხორციელება, ქვრივთა, ობოლთა, უპოვართა, ხეიბართა და მარტოხელა მოხუცთა მოკითხვა და მოვლა-პატრონობა ეროვნული ნიშნის მიუხედავად, ვინაიდან გაჭირვება და სიკვდილთან მიახლოვება ნებისმიერი ტომის შვილს ათანასწორებს"...

და შემდეგ, მერაბ კოსტავა სხარტად, ლაკონურად წერს მის შესახებ, რაც მთელი 70 წლის მანძილზე გვაწუხებდა და კიდევ უფრო მოჭარბებულად გვაწუხებს დღეს: „თავის დროზე ფრანგმა უტოპისტმა სენ-სიმონმა შენიშნა, როგორც პიროვნებას, ასევე სახელმწიფოს შეუძლია არსებობა პროდუქციის წარმოების ან კორუფციის გზით. სსრ კავშირი დაადგა არა პროდუქციის წარმოების, არამედ სხვადასხვა ფორმით კორუფციის გზით არსებობას. მოქალაქეთა ხელფასები და პენსიები არ შეესაბამება საარსებო მინიმუმს, რაც სტიმულს არ აძლევს საზოგადოების განვითარებას. ახლად დაარსებული ფონდის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია შრომის სტიმულირების გზით საქართველო აქციოს პროდუქციის მწარმოებელ ქვეყნად, ხელი შეუწყოს ერის ეთიკურ-ზნეობრივ გაჯანსაღებას"...

...რას წარმოიდგენდა სულმნათი მერაბ კოსტავა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ, სულ მოკლე ხანში, საქართველოში ისე „აირეოდა მონასტერი", საბჭოური პერიოდის კორუფცია და უზნეობა მონაგონი გახდებოდა!.. საერთო ქაოსსა და განუკითხაობაში ჯერ გაფერმკრთალდა, შემდეგ კი თითქმის სულ „დაგვეკარგა" მერაბ კოსტავას ფონდის ასავალ-დასავალი! არადა, ამ წმიდა კაცის სახელობის ფონდისადმი გულგრილობა და უყურადღებობა არცერთ ქართველს არ გვეპატიება!

მერაბ კოსტავას ლექსები, პუბლიცისტური წერილები, ფილოსოფიური ნარკვევები ძირითადად მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა. სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, უკვდავებისათვის ესეც ეყოფოდა, რადგან მათი ავტორი უაღრესად სადა, დახვეწილი, გულანთებული პოეტი და პუბლიცისტია...

მედეა ჯაფარიძე: „მერაბ, ჩემო ანთებულო ჩირაღდანო, ანთებულო საქართველოს სიყვარულით, ადამიანების სიყვარულით, როგორი კაცთმოყვარე მყავდი, როგორ იცოდი ადამიანების დაცვა, მათი შეცდომების მიტევება... გულით გიგრძნო ხალხმა და ამ გრძნობით, სიყვარულით, პატივისცემით დაბადებულმა ტალღამ მსუბუქად აგიყვანა კიდეც მთაწმინდაზე". (კრებულიდან — „შავლეგო").

მორის ფოცხიშვილი: „ლევილის მწუხრში დავრჩით მარტონი, ხილვა იყო თუ გამოღვიძება, — ქრისტეს პერანგში მერაბ ბატონი, იდგა ღვთის წინ და პირჯვარს იწერდა... გუნდი გალობდა — „შენ ხარ ვენახი!" და იყო რაღაც ენით ართქმული... და მთაწმინდიდან მამის შეძახილის ექოდ ერწყმოდა გენი ქართული. მზე ჩადიოდა, ვწუხდით მარტონი, მაგრამ კვლავ დუღდა სისხლი იბერთა, — ქრისტეს პერანგში მერაბ ბატონი იდგა ღვთის წინ და პირჯვარს იწერდა..." (ლექსიდან — „ლევილის მწუხრში").

დღეს შენი დაბადების დღეა მერაბ, 55 წლისა გახდებოდი! დღეს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა, მერაბ! — გაწამებული, დამარცხებული, შინაშლილობით დაკნინებული, მაგრამ გაუტეხელი საქართველო მაინც ცდილობს გამორჩეულად იდღესასწაულოს, შერიგებისა და მიტევების სიმბოლოდ აქციოს ეს დღე!

გჯერა, რომ შენც ასე მოიქცეოდი, მერაბ!..

სპარტაკ ქობულია.

• • •

სიმონ კილაძის ფოტო.

მერაბ კოსტავა

ქართული საგალობელი

არ ამოვიკვეთავ პირს ვინაიდან
წილად გვარგუნე ღმერთების ენა,
გიგალობთ, რადგან დასაბამიდან
ყოველი არსი გიგალობს შენა.

სიმღერის მადლი მოგვდგამს მას იქით,
როგორც გულის ხმა დაუძლეველი,
ყველა ქართველში შენი მუსიკის
ანთია წმინდა საკურთხეველი.

შემაძლებინე, მაღალო ღმერთო,
მოყვასთა ჩემთა მუხლი ვუყვარო,
მოძმე მკერდიდან არ მომიკვეთო.
ტრფიალი მისი არ განმიქარვო.

მის გულისტკივილს ვგრძნობდე უსიტყვოდ,
გავუადვილო წუთისოფელი.
აი, ყველაზე ნაღდი მუსიკა,
აი — ქართული საგალობელი.

უნდა ევნო მისი გულისთვის,
უნდა იწვოდე მისი სახმილით,
აჰა, მამულო შენი გულისთქმა
შენი სიმღერა და მოძახილი.

გმირები

ვაჩე

პორტრეტი პორტრეტის ფონზე

სურათს, რომლის ფონზეც ახლა ჩემეულ პორტრეტს ვხატავ და რომელზეც ახალგაზრდა კაცია გამოსახული თავისი ლანდითურთ, უკანასტარზე აწერია: „მე და ჩემი მე"...

მალხაზი ერქვა, მაგრამ ნაცნობ-მეგობრებმა ვაჩედ მონათლეს მალხაზ ვაჩეიშვილი — ცოტა უცნაური, ცოტა ახირებული, მაგრამ მეტად გულიანი ქართველი ჭაბუკი, რომელიც ისე დავაჟკაცდა, თოფს არ გათამაშებია.

მისი ანკეტა რომ გადაიკითხოს კაცმა, თითქოს სხვა თანამებრძოლისგან არც განირჩევა — დიახ, დიდძალი ანკეტური მონაცემებია დაგროვილი ჩვენს პარლამენტში იმათზე, ვინც სიცოცხლე შესწირა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, ანუ სამაჩაბლოსა და აფხაზეთისათვის ვინც ისევე შეუპოვრად იბრძოდა, როგორც ზღაპრული მზეჭაბუკები ცხრათავიანი დევების წინააღმდეგ.

მაგრამ თუ თოფი არ ჰქონია?

სხვა რა გზა იყო, — მოსისხლედ ქცეულმა მოძმემ და გადამთიელმა მომხვდურმა პირი შეკრეს და მტრად მოეკიდნენ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას, რომლისთვისაც ისევე, როგორც წინაპრები, დღეში შვიდგზის ლოცულობდა მალხაზ ვაჩეიშვილი.

მისეული ჯიბის ფსალმუნნი მაჩუქა დედამისმა — დარდისგან გალეულმა, ისედაც ტანმორჩილმა, სათნო ადამიანმა — რამდენიმე დატოვაო, ავტოგრაფით, გასასაჩუქებლად. — თვითონაც წაუღია სულის საოხად.

ქალბატონი ლამარა „ახალ აღთქმას" ეფერება, მასზე დედისეული ვაჟის წარწერაა:

„მალხაზისგან საყვარელ დედიკოს.

1992 წ. 24.IV".

ეს იყო თურმე მისი უკანასკნელი გაზაფხული, უკანასკნელი აპრილი და აღდგომა... ზაფხულიც უკანასკნელად გაატარა მთაში მთასვლელობის ტრფიალმა. მაგრამ ბარში, ზღვისპირეთში დატრიალებულმა ომის ქარცეცხლმა სული აუწვა და წიფობისთვის დასაწყისში აფხაზეთში წავიდა.

წავიდა უეცრად... მოგვიანებით ნახა დედამ დავითის ფსალმუნზე ნაუცბათევად მიწერილი სანუგეშო სიტყვები:

„დედი, მამი, წავედი,
ღმერთია ჩვენთან,
ამინ!"

6. X.92.

და იქვე: **„დედა, ილოცე საქართველოსთვის. თაფლის სანთელი იოანე ნათლისმცემელში ამინთე, სადაც მოვინათლე.**

მალხაზი."

— ასეთი მორწმუნე იყო?

— ძალიან... 1980 წელს ალპინისტურ ექსპედიციაში ყოფნისას შვიდი მთასვლელი დაიღუპა. მისი სიცოცხლეც ბეწვზე ეკიდა თურმე და რაღაც უხილავმა ძალამ გადაარჩინა. მას მერე ირწმუნა ღმერთი...

6 ოქტომბერს გაეშურა აფხაზეთისაკენ მხედრიონელი მალხაზ დავითის ძე ვაჩეიშვილი, თბილისის სადაზვერვო ჯგუფის მეთაური, დაბადებული 1953 წელს, უნივერსიტეტში განსწავლული და მუზებთან ღამენათევი ვაჟკაცი, გიორგობისთვის მიწურულში კი ოჩამჩირის ახლოს ქეთევანასთან დაიჭრა და...

...ბიჭებო, ვაჩე დაიჭრაო. — შეიცხადა თურმე მისმა ერთგულმა თანამებრძოლმა სულხან კერესელიძემ... მშობლებს ეს ამბავი უმალ აცნობა სოსო სოსელიამ, 28-ში, საღამოხანს — ამაღამ სოხუმის თვითმფრინავს დახვდით, სასწრაფო დახმარების მანქანაც იგულეთო, იქნებ....

გაქანდა გაოგნებული მამა, მაგრამ მალხაზი არც იმ თვითმფრინავში აღმოჩნდა, არც შემდეგში...

— აღარ ვიცოდით, რა გვეფიქრა, რა გვეღონა... მოდიოდნენ ნათესავები და მეგობრები, გვამშვიდებდნენ, გივი თოიძის ვაჟიც მასთან იბრძოდა (მე და გივი ერთად ვსწავლობდით იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში და ჩვენი შვილებიც მეგობრობდნენ), სულ მალხაზის ქებაში იყო, — ვაჩეს სიტყვა ჩვენთვის კანონი იყოო, ვაჩე ვეფხვივით იბრძოდა, ყველას მისი სახელი ეკერა პირზეო...

ბრძოლები ტამიშთან, მერკულასთან, ბესლახუბასთან.

...მაგრამ არავინ იცის ზუსტად მისი დაღუპვის თარიღი. ანკეტაში ერთი წერია, 1992 წლის 28 ნოემბერი, წიგნზე კი, რომელსაც პირმშოსავით ელოდა და ახლახან გამოსცა კორპორაცია „მალულამ", მეორე: 1992 წლის 19 დეკემბერი... აქვე, საკუთარ მიწა-წყალზე კი დაიღუპა!.

...დედა, ილოცე საქართველოსთვის, — ძილში თუ ცხადში ესმის მისი ხმა შვილმკვდარ ქალს, რომელმაც ყველა სალოცავი მოილოცა, ყველა ქართულ ეკლესია-მონასტრებს შესწირა თავისი ხელგარჯილობის, რწმენის შედეგად შექმნილი ხატები, სადიაკვნო კაბები, ოლარები თუ წმინდა გიორგისა და ნინოს სახელზე ნაქარი დროშები.

...თეთრი აბრეშუმის ცისფერჯვრიანი დროშაკი გამიშალა — ვაჩეს ესკიზის მიხედვით არის შექმნილიო, შესაწირავად მიჰქონდა ბეთანიაში... ამაშიღა პოულობს ხსნას და შველას სასოწარკვეთილი დედა... ვაჟიშვილის სიმაღლე კელაპტარი აუნთო წმინდა ნინოს იმ სიზმრის შემდეგ, იდუმალმა ხმამ რომ ამცნო: მალხაზი ცოცხალიაო...

...მალხაზი ცოცხალიაო... იმედის ნაპერწკალი მართლაც კიაფობდა ერთხანს, მაგრამ 1993 წლის 13 თებერვალს ჩაინავლა ისიც, როცა ფრონტიდან ჩამოასვენეს. ჯერ საკუთარ ჭერქვეშ დაიტირეს, შემდეგ კი სიონის ტაძარში გადაასვენეს, რომლის გუმბათქვეშ ერთი ღამე ესვენა...

18 თებერვალს საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე დაიდო სამუდამო სავანე ვაჩემ — მალხაზ ვაჩეიშვილმა...

მაინც, რა მოხდა ქეთევანასთან?

...**ქვა** ქვაზე დაადუღეს აფხაზმა სეპარატისტებმა და გადამთიელთა ბანდებმა, — გაიხსენა ერთ-ერთმა თანამებრძოლმა, რომელიც იმ შეტაკებისას ტყვედ ჩავარდნილა, მაგრამ მალე გამოუხსნიათ. მის თვალწინ დაჭრილა ვაჩე, მასვე მიუყრია მიწა თვითონაც დაჭრილს და დაუძლურებულს. ტყვეობიდან დახსნის შემდეგ სწორედ მან მიაგნო აფხაზთა მიერ დაკავებულ იმ საბედისწერო ადგილს. საფლავი რომ გაუხსნიათ, აფხაზური მხრიდანაც შეუცვნია რამდენიმე კაცს ცხედარი, — ეს ისეთი ვაჟკაცი იყო, მის სახელზე ყველა ცოცხალს და მკვდარს დავაბრუნებთო, — უთქვამთ.

...თურმე მასაც ტყვეობა ელოდა, მაგრამ სიკვდილი არჩია, უკანასკნელი ყუმბარით გამოსალმებია სიცოცხლეს, მაგრამ მოპირისპირეც გაუძღვანებია წინ... იქამდე კი 12 კაცს აუგო წესი ბესლახუბის შტაბიდან...

ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით აღინიშნა ვაჩეს თავგანწირვა...

დარჩა დაუმთავრებელი მისი ცხოვრების წიგნი, ლექსები, ჟანრული თუ ლირიკული სცენები, მონოლოგური ჩანახატები, რომელთა უმეტესობას მხოლოდ საკუთარ მეს ანდობდა... ლამის საუკუნეს მიღწეული პოეტი კოლაუ ნადირაძე მას „ცისფერყანწელთა" სულიერ მემკვიდრედ მიიჩნევდა თურმე...

რაკი მემკვიდრეობაზე მიდგა საქმე, ვაჩეს და მთელ ქართულ ლაშქარს, მშობლიური ქვეყნის ერთიანობის დასაცავად ომში წასვლა რომ მიუხაროდა, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის 1921 წლის სუსხიან თებერვალში დაცემულ ვაჟკაცთა გვერდით ვხედავ. დრო როდი აშორებთ, პირიქით, აახლოებთ კიდეც და ძველ იარებს აახლებს. მაისია და... ის სამასი ათასი ლომგულიც როგორ არ წამომელანდება, ფაშიზმთან ოთხწლიან ბრძოლას რომ ემსხვერპლა და შინმოუსვლელები დაერქვათ. სხვაც ბევრი შვილი დაკარგა დედასაქართველომ, — არც ისინი იყვნენ ჯაბნები...

ერთად რომ აღსდგნენ!..

გუმბათმორღვეულ მარადიულ სალოცავში კი თითქოს ერთად დგანან და ერთხმად შენატრიან, ერთხმად შეღაღადებენ უფალს;

შემიწყალე მე და არა ახარე მტერთა ჩემთა ჩემ ზედაო...

მოაქციე გლოვაჲ ჩემი სიხარულად ჩემდა; განხეთქე ძაძაჲ ჩემი და გარე-შემარტყ მე სიხარულითა...

იქნებ ამ ჩვენებას, ამ ვედრებას ახდენა უწერია!..

ნანა ღვინეფაძე.
1994 წლის მაისის 19.



საუბარი დალის ხეობაში

უმკაცრესი საშემოდგომო გამოცდა

ყველამ რომ მიატოვოს, მთებს თავი მიანებოს,
მაინც ფეხმოუცვლელნი მტერს მტრულად რომ ხვდებით,
ჩემო კვიციანებო, ჩემო გასვიანებო,
სვანებო, სვიანებო, თავს გიკრავენ მთები!

საქართველოს რუკა თავ-და კიდურებჩამოკვეთილ იმ ლომის ტანსა ჰგავს, რომელსაც ფსოუსთან კისრის მალების გადატეხა არ აკმარეს და დღემდე კვლავ ნაკუწ-ნაკუწ აჭრიან სხეულს. ეს ყველაზე მძაფრად კოდორის ნაპირებთან შეიგრძნობა — ჭეშმარიტი სვანის, ისტორიკოს თენგიზ კორძაიას ოჯახში, სადაც მე, ჩვენი გაზეთის სპეციალური კორესპონდენტი სიმონ იოსელიანი, აგრეთვე ახალგაზრდა ტელეჟურნალისტები ნინო ძოწენიძე და გიგა სვანიძე ორ გენერალთან და მაღალი ჩინის სამ ოფიცერთან ერთად ვცდილობთ გულახდილად ვისაუბროთ, არადა, მხოლოდ დღეს კი არა, ნამდვილად დიდი ხანია დადგა გულახდილი საუბრის ჟამი.

ქუთაისის სულის ინტელიგენტი, აწ განსვენებული გურამ უგრეხელიძე ჯერ კიდევ ამ ხუთი წლის წინათ გაზეთ „ქუთაისში" წერდა: საქართველომ და ფინეთმა თითქმის ერთდროულად დააღწიეს თავი რუსეთის იმპერიას. ჩვენ თავისუფლება ფაქტობრივად ლანგარით მოგვართვეს, მაგრამ ფინეთმა შეინარჩუნა დამოუკიდებლობა, საქართველომ — ვერა. ამის ძირითადი მიზეზი კი ის იყო, რომ ფინეთი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ეკონომიკისა და სამხედრო პრობლემების გადაწყვეტისათვის ზრუნვით იწყებდა, საქართველო კი დროშების ფრიალით, სუფრაზე მჭექარედ წარმოთქმული სადღეგრძელოებით და მჭუხარე სიტყვებით, რომლებიც, როგორც წესი, დიდად იყო დაშორებული საქმისაგან. ამით აიხსნება, რომ ახალგაზრდა ფინელი გენერლის — მანერჰეიმის ხაზს ვერასდროს შეეხო დამპყრობლის ის ჩექმა, რომელმაც 1921 წლის 25 თებერვალს ჩვენი ყველა საზღვარი ძალზე იოლად გადათელა.

დამოუკიდებლობის გზაზე ისტორიამ საქართველოს მეორედ მისცა შესაძლებლობა, ჩაებარებინა სიმწიფის გამოცდები, მაგრამ ეს გამოცდები თითქმის ყველა მაჩვენებლის მიხედვით კვლავ „საშემოდგომოდ" არის გადატანილი. ქვეყანას ხრავს წაგებული ომის შედეგები — ასობით ათასი ლტოლვილის სიმძიმე. მორღვეული ჩრდილო-დასავლეთის კარიბჭე, და მარუხიდანაც რომ არ დაიძრას ზვავი, იმედად სვანები დაგვრჩნენ.

• • •

„**აფხაზეთის** გასაღები დალის ხეობაში ძევს!" ასე დაარქვა თავის ერთ-ერთ ნარკვევს ჩვენი გაზეთის სპეციალურმა კორესპონდენტმა სიმონ იოსელიანმა.

— ხატოვანი და სწორი გამონათქვამია. — ამბობს ბატონი გურამ ნიკოლეიშვილი, თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე.

— ვაჟკაცი ხალხი იცავს დალის ხეობას, ის, რაც გააკეთა მისმა მოსახლეობამ და სახალხო ლაშქარმა, რომელსაც „მონადირე" ჰქვია, ყველასათვის სამაგალითოა. მხოლოდ ცოლ-შვილი გახიზნეს. თავად კი წუთითაც არ მიუტოვებიათ სახლ-კარი, თუმცა დიდი მიწიდან უგზოობის გამო დახმარებას ძალზე მცირეს იღებდნენ.

ვცდილობთ, ამ მხრივ ცოტათი ახლა მაინც შევუმსუბუქოთ მდგომარეობა. მე და ბატონი ვალერიან ქვარაია აქ ამიტომაც ვართ ჩამოსულები.

— თქვენც ყოველთვის კადრის ოფიცერი ბრძანდებოდით? — ვეკითხები ბატონ ვალერიანს.

— დიახ.

— რამდენადაც ჩვენთვის, ჟურნალისტებისათვის არის ცნობილი, საკმაოდ დიდი პრაქტიკული გამოცდილება გაქვთ.

— შეიძლება ითქვას, რომ ასეა.

— მაშინ გთხოვთ, გულახდილად გვიპასუხოთ: რას გრძნობთ, როცა თქვენს გვერდით დგანან ისეთები, რომელთაგან ზოგიერთს არც ერთი საფეხურიც არ გაუვლია და, საერთოდ, წარმოდგენაც არ ჰქონია სამხედრო სამსახურზე, მაგრამ მაინც გენერალია?

— დრომ მოიტანა ეს ყველაფერი, ასე ხდებოდა ყოველი რევოლუციის შემდეგ...

— რატომ იტანთ ყველაფერ ამას, თქვენ ხომ კადრის ოფიცერი იყავით, თქვენ ხომ გენერალი ხართ?

— ვიტან იმიტომ რომ...

— იმიტომ, რომ ის კადრის ოფიცრები, რომლებმაც უნდა იკისრონ და მერე, ალბათ, გააკეთონ გენერლის საქმე, ამას არ აკეთებენ... აი, ის უბრალო ადამიანი კი, რომელსაც გული ერჩის და უყვარს სამშობლო, ის ბედავს ამას... მერე როგორ გამოდის, ეს უკვე სხვა მხარეა. მაგრამ, რასაც მეკითხებით, ეს, ალბათ, ამიტომ ხდება. ის ბედავს იმიტომ, რომ არ იცის, რას რა მოჰყვება — არ იცნობს, არ გაუვლია სამხედრო გზა.

• • •

— როდის ჩამოყალიბდით? — ისევ იმავე საკითხთან გვაბრუნებს პოლკოვნიკი ჯუმბერ ანანიძე, — არმიის ჩამოყალიბება ფაქტობრივად დაიწყო სამოქალაქო ომის პერიოდში...

— თქვენც კადრის პოლკოვნიკი ბრძანდებით?

— დიახ, რუსის ჯარის პოლკოვნიკი ვარ.

— უფრო სწორად, რუსის ჯარში აღზრდილი პოლკოვნიკი.

— დიახ, ყოველთვის რუსის ჯარის ქართველი ოფიცერი ვიყავი.

— მჯერა და სწორედ ამიტომ მიკვირს, რომ ხმას არავინ ვიღებთ, როცა აშკარა უმსგავსობას ვხედავთ. თუმცა, ეს ყველაზე არ ითქმის. შემიძლია დაგისახელოთ თუნდაც გაზეთი „ერთობა", სადაც დაიბეჭდა ფელეტონი, რომელშიც ნათქვამია, რა აღიზიანებთ ადამიანებს ჩვენს ისედაც უმძიმეს ცხოვრებაში. ამ ფელეტონში ასეთ სიტყვებს ვკითხულობთ: „უწვრთნელ ჯარისკაცს ვინც ხდის გენერლად, მაღიზიანებს მისი: „მერე რა".

მაღიზიანებს კი არა, მიმაჩნია, რომ საქართველოში რაც მოხდა, რაც დაიწვა და განადგურდა, ათასობით ანგელოზივით ბიჭი რომ დაგვეღუპა, იმის შედეგია, რომ შევეგუეთ ამ „მერე რას" და იმ ხალხს, ვინც შემთხვევით ზის თანამდებობაზე.

— ასპროცენტიანია. გეთანხმებით! — ამბობს ბატონი პოლკოვნიკი.

• • •

— **მხოლოდ** სამხედროებს ნუ გადააბრალებთ ყველაფერს, — ამბობს ბატონი ვალერიანი. — ზოგიერთ რეგიონში სამხედრო შენაერთები საერთოდ რომ არ გამოგვეყენებინა და მდგომარეობის მოწესრიგება შინაგან ჯარებს დავალებოდა, მაშინ ვაცილებით უკეთესი მდგომარეობა გვექნებოდა.

— რატომ უნდა დავალებოდა მტერთან ბრძოლა შინაგან ჯარს?

— იმიტომ, რომ ეს შინაგანი პრობლემებია.

— კი მაგრამ, ჩვენს წინააღმდეგ რომ აგრესია განახორციელეს?

— ვისი მხრიდან?

— ვისი და ჩვენი ისტორიული მტრების მხრიდან, რომლებიც ცდილობენ იუგოსლავიიდან დაწყებული, ყირიმის, კავკასიისა და შუა აზიის გავლით მსოფლიოს შემოარტყან მუსლიმანური ფუნდამენტალიზმის წელში გამწყვეტი ქამარი... ასეთ დროს შინაგანი ჯარები ვერაფერს გახდებიან, მით უფრო, რომ ეს საერთაშორისო ხასიათის საფრთხეა.

— თქვენ სულ სხვანაირად უდგებით ამ პრობლემას, ძირითად აქცენტს გარეშე მტრებზე ამახვილებთ, არადა, გარეშე მტრები ხომ შემთხვევით გავიჩინეთ — ჩვენი არასწორი და გაუაზრებელი მოქმედებით?

— არა! შემთხვევით და მოულოდნელად არაფერი ხდება, მით უფრო, ასეთ სფეროში. არასწორი და გაუაზრებელი მოქმედება მხოლოდ ის დამატებითი წყაროებია, რომლებიც მოწინააღმდეგის წისქვილზე ასხამს წყალს. სხვათა შორის, ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ არის. ასევე ფიქრობს ჩემი ყრმობისდროინდელი მეგობარი, აკადემიკოსი შალვა მარდი, რომელიც ამჟამად შვეიცარიაში ცხოვრობს და როგორც ამ ქვეყნის, ისე მსოფლიოს ბევრი სხვა სახელმწიფოს თვალსაჩინო პოლიტიკოსებთან ახლო ურთიერთობა აქვს. მას მიაჩნია, რომ მუსლიმანური ფუნდამენტალისტები ცდილობენ მაჰმადიანურ ოკეანეში დაახრჩონ ბატონი შალვასა და ჩვენთვის უმშვენიერესი ორი „კუნძული"—ქრისტიანული საქართველო და იუდაიზმის მიმდევარი ისრაელი.

— ებრაელები 26 საუკუნე მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, როგორ აღედგინათ თავიანთი სახელმწიფოს ისტორიული საზღვრები. მათ ძალიან დიდი გაჭირვება განიცადეს, მაგრამ თავიანთი რწმენით, თავიანთი შთაგონებით, ზეადამიანური გრძნობით ბიბლიური ქვეყანა აღადგინეს, — საუბარში ჩაება მასპინძელი, ბატონი თენგიზ კორძაია.

— თუ ხალხი მოინდომებს, მას ყველაფერი შეუძლია. — უდასტურებს ბატონი ვალერიანიც.

— თუ ებრაელებივით გონივრულად და სიყვარულით მივუდგებით ჩვენს უპირველეს საზრუნავს, წინ ვერაფერი დაგვიდგება — მალე გავალთ ფსოუმდე.

• • •

ჩემს კოლეგებთან და სამხედროებთან ერთად ქუთაისში შვეულმფრენით მომავალი ვიხსენებ ამ სიტყვებს და გულწრფელად მჯერა, რომ თუ ჩვენი მეგობრების — ისრაელთა მსგავსად გონივრულად და სიყვარულით მივუდგებით ჩვენს უპირველეს საზრუნავს, წინ მართლაც ვერაფერი დაგვიდგება — მალე გავალთ ფსოუმდე და არა მარტო ფსოუმდე. ოღონდ ფხიზლად უნდა იყოს საქართველო, ფრთხილად უნდა იყოს საქართველო, მონგრეული კარიბჭის ყველა ზღუდეს, განსაკუთრებით კი დალის ხეობასა და მარუხს თვალის ჩინივით უნდა გაუფრთხილდეს საქართველო, რადგანაც შორს არ არის შემოდგომამდე, როცა მხოლოდ წიწილებს კი არ ითვლიან, არამედ იმ გამოუყენებელ შესაძლებლობებსაც, რომლებიც კიდევ ერთი უმძიმესი ზამთრის დადგომის წინ ეკონომიკასა და სამხედრო სავალდებულო მომზადებაში ჩვენს სახელმწიფოს უმკაცრეს საშემოდგომო გამოცდას გამოჰყვება.

ალექსანდრე შენგელია.
გაზეთ „ქუთაისის" რედაქტორი.

სარედაქციო ფოსტიდან

ერთად გადავარჩინოთ საქართველო

მინდა ჩემი აზრი გამოვთქვა საქართველოში ახლად შექმნილი ორგანიზაციის — მოქალაქეთა კავშირის შესახებ. უპირველესი, რაც დღეს საქართველოს სჭირდება, ერის საბოლოოდ გამთლიანება და ერთ მუშტად შეკვრაა. იმედი მაქვს, ამ კავშირში გაერთიანებული საქართველოს ღირსეული შვილები ყველაფერს იღონებენ, რათა ქართველთა გახლეჩის ავადმოსაგონარი დღეები სამუდამოდ წარსულს ჩაბარდეს.

ამას განსაკუთრებული გულისტკივილით ვამბობ, აფხაზეთიდან დევნილი კაცი. ჩვენ ხომ ყველაზე მწარედ ვიწვნიეთ ყოველივე ამის შედეგი. აფხაზეთი მაშინ დაიღუპა, როცა ქართველმა ქართველის წინააღმდეგ აღმართა ხელი. დღეს ერს ყველაზე მეტად სჭირდება ერთი მიზნით გაერთიანება. დიდი სურვილი მაქვს ვიყო ამ კავშირის წევრი. ქართველებო, ამოვუდგეთ მხარში ერთმანეთს, სახელმწიფოს მეთაურს, ერთად გადავარჩინოთ საქართველო.

გ. ჭურღულია,
გაგრელი ხიზანი.

შეღავათი ეგებ ჩვენზეც გავრცელდეს

ვარ 78 წლის ინვალიდი, ვეტერანი. მყავს სამი შვილი, შვილიშვილები...

ჩემი სიცოცხლე შრომაში გავატარე. ღმერთის შეწევნით კვლავ მხნედ ვარ და შრომის წყურვილი არ მასვენებს, მაგრამ ჩემს სოფელში — წითლავაკეში (ზესტაფონის რაიონი) ვერ ჩავსულვარ, რადგან ავტობუსებს ვილაც-ვილაცები დაეპატრონენ, ფასებს ყოველდღიურად ზრდიან. არ არის მიმოსვლის განრიგიც... ადგილამდე ვაივაგლახით რომც ჩავაღწიოთ, პურს ჩვენზე არ ყიდიან და...

ჩვენ, მოხუცი პენსიონერები, რომლებიც საზოგადოების გარკვეულ პროცენტს შევადგენთ, სოფელთან კავშირს მაინც არა ვწყვეტთ და ვქმნით დოვლათს, რაც დიდი შეღავათია როგორც ჩვენი ოჯახისათვის, ისე სხვისთვისაც. მარტო შარშან გამოვზარდე ოთხი ღორი და ერთი ხარი. მომყავს სიმინდი, ლობიო. მაქვს ხეხილის ბაღი, ბოსტანი, ვენახი... მაგრამ თუ ტრანსპორტის საკითხი დროზე არ მოწესრიგდა, ვერაფერს ვეღარ მოვიწევთ, რადგან ყველაფერს თავის დროზე მიხედვა და მოვლა-პატრონობა უნდა.

იქნებ ჩვენისთანა მიწაზე შეყვარებული პენსიონერებისათვის ტრანსპორტზე რაიმე შეღავათი დაწესდეს, გაგვეწიოს დახმარება შხამქიმიკატების შეძენაში, ხელი შეგვეწყოს უხვი მოსავლის მოყვანაში...

მინაგო მუმლაძე.
თბილისი.

გამოხმაურება

სახელმწიფომ მეტი სიმტკიცე უნდა გამოიჩინოს

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" წლევანდელი 15 იანვრის ნომერში წავიკითხე ბატონ ზაზა გრიგალაშვილის კორესპონდენცია — „იქნებ, გათენდეს კიდეც!", რომელშიც აქტუალური საკითხებია აღძრული. ვეთანხმები ავტორს.

ჩემი აზრით, მთავარი ის კი არ არის, ვაღიაროთ „საქართველო იღუპება", „უფსკრულში ვართ", „მაფია თარეშობს", „შიმშილით ვიხოცებით" და ა. შ. დღეს ამის მტკიცება არავის სჭირდება, ყველამ კარგად იცის. მთავარია, გამოაშკარაოთ კონკრეტული დამნაშავენი, ისინიც, ვინ მფარველობს მათ, ვის რა პასუხისმგებლობა დაეკისრა, რა გამოსწორდა...

ქართველ კაცს ცოდო-მადლის გრძნობა ყოველთვის ჰქონდა, შევიბრალოთ პატიოსანი მშრომელები, რომელთა ნაწილიც სიცრუის ქსელშია გახვეული. ამდენი დაპირებებითა და ლაქლაქით ხალხი გადაიღალა, ნერვები დაწყვეტამდეა მისული, მეტის მოთმენა აღარ შეიძლება.

სამწუხარო ისიც არის, რომ ხშირად ზოგიერთები უშრომლად ქონებრივ და თანამდებობრივ აღზევებასაც აღწევენ. ზოგს თანამდებობა უყვარს, საქმის გაკეთება კი არა. რამდენი ახალი დაწინაურებული ჩაფლავდა საქმეში. საკუთარ თავს ხომ უნდა ვიცნობდეთ?!..

ჩემი აზრით, მანამ არ გვეშველება, სანამ ყველა უბანი და რგოლი ღირსეული კადრებით არ დაკომპლექტდება. ხშირად უღირსნი არ აძლევენ გასაქანს ღირსეულებს.

საქართველოს შესწევს ძალა აღკვეთოს მაფიოზთა თარეში, სახელმწიფო სახელმწიფოს დაემსგავსოს. ამის იმედს ბოლო დროს ადმინისტრაციული ორგანოების ფართომასშტაბიანი ღონისძიებებიც იძლევა.

პატივცემულო რედაქცია! ჩვენ დიდად ვაფასებთ თქვენი გაზეთის ვაჟკაცურ შემართებას, გთხოვთ ხალხს უთხრათ სიმართლე იმაზე, თუ სოკოებივით მომრავლებული პარტიები, კავშირები და ა. შ. ცალკეული თანამდებობის პირები რით ცხოვრობენ, რა უკანონო შემოსავლები აქვთ, ამისთვის ვინ აგო პასუხი?

არ კმარა მარტო იმის აღიარება, რომ დანაშაული მოხდა, აირია საქმე, მიმდინარეობს გამოძიება. სამწუხაროდ, ზოგიერთი დამნაშავე მეორე დღეს ქუჩაშია, ერთი სიტყვით, მეტი სიმტკიცე, სიმკაცრე და წესრიგიანობა გვჭირდება.

სალარეფ გასვიანი.
შრომის ვეტერანი. ლენტეხი.

26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეა!



დარდის გემი

ფრიდონ ხალვაში

მიხეილ ქვლივიძეს, 29 აპრილის „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილი ლექსების გამო.

უფერული, უილაჯო ზღვა გვიმზერს,
წუხს მამული, — სამშობლოდან გარბის ბევრი,
გაძარცული, გაფლანგული დგას რეიდზე
საქართველო, — დარდის გემი.

მეზღვაური, რას გიშველის შიში, ხვდა,
ტალღა თუ ყეფს და ავდრები გვაწვებიან,
ზღვის მაგიერ ცრემლმა პირი თუ გვისველა,
ვაღიაროთ, — ვერაფერი კაცები ვართ.

მეზღვაურო, მოდავე ხარ თუ მოდარდე?
საქართველო იშლებაო, დღეს სეირის
საყურებლად ბოროტები რომ ბოდავენ,
რად აჰყევი? ეთანხმები ესე იგი?

აფხაზეთი დავკარგეთო, შენც კვერს უკრავ
ლექსით, რაიც მთავრობებზეც
მეტხანს გაძლებს.
ჯავახეთსაც სხვათა პირში ტოვებ ლუკმად
და „ოსეთსაც“, ქართლის გულში,
უცხოს აძლევ?!

რაც „დაგრჩა რა“ ის აჭარა სად გაჩარე?

მეწყინა, რომ — ხან აქეთ და ხან იქითა.
ვერ ცნობ როგორ სტკივა ის გზა
დღეს აჭარელს,
რაც სასირცხოდ წავაგეთ ან გაიყიდა.

გვჯერა მაინც — დიდ ცურვაში გემი გავა,
აჭარა ხომ მასთანაა მაშველ ნავად.
ერთად ცურვით ჩვენ გავდენით ავდრის
დემონს,
გემს დაღუპვა თუ ემუქროს, ნავიც გემობს.

მასაც მიტომ მესაჭე და მართვა უნდა,
რათა თავის დაცვა შეძლოს საქართველომ.
მაშ, მეკობრეს მივცეთ მხარე გასაქურდად,
ჩვენი წილი საქართველო გადათელონ?!

არა, ძმაო, — თუ აჭარა დიდხანს ობლად
იყო, ველარ გაუსრესენ ფოთოლ-ყვავილს.
აღარ დათმობს მშობელ ერთან ერთად ყოფნას,
სამასწლიან შტორმებიდან გამოყვანილს.

მაგრამ ცუდი ცუდია თუ მეორდება, —
დარდობ, ამბობ, ტირი, ყვირი, არვის ესმის...
კაპიტანი რეიდზე დარს ელოდება,
რასაც ნატრობს საქართველო, — დარდის გემი!

17.5.94.

ხიდები

ამერიკაში სწავლობენ ქართულს



საქართველოს კულტურული ურთიერთობების ცენტრში — „კავკასიურ სახლში“ გაიმართა შეხვედრა პენსილვანიის უნივერსიტეტის „ენების ცენტრის“ ქართული ენის მასწავლებელთან ლუიზა ჯაყელთან. თანამშრომლებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ინფორმაცია „ენების ცენტრისა“ და იქ „კავკასიური სახლის“ წარმომადგენლის მუშაობის შესახებ, გაეცნენ პენსილვანიის უნივერსიტეტის „ენების ცენტრის“ დირექტორის მაიკლ ლინკარის წერილს, რომელშიც იგი აღნიშნავს: „ენების ცენტრი“ ჩამოყალიბდა 1989 წელს. ეს იყო არაოფიციალური წამოწყება და თავდაპირველად ავირჩიეთ რამდენიმე ენა, ის ენები, რომლებიც ნაკლებად ისწავლება ამერიკის უნივერსიტეტებში... 1992 წლის იანვრიდან ჩავრთეთ პროგრამაში ქართული ენა, როცა ჩვენს დასს შემოუერთდა ლუიზა ჯაყელი. სულ მალე იგი ამ ენის ერთგულ მასწავლებლად მოგვევლინა. გამოიყენა ძნელად ხელმისაწვდომი მასალები, ჩამოაყალიბა სწავლების პროგრამა. 1992 წლიდან მოყოლებული ქართულ ენას სწავლობს ორი-სამი სტუდენტი, ამდენივე სტუდენტი სწავლობს იმ ენების კლასებში, რომლებზეც გაცილებით ხალხმრავალი ერები მეტყველებენ“.

ლუიზა ჯაყელმა ილაპარაკა იმ უზომო სიხარულზე, როცა სამი სტუდენტი — ორი ვაჟი და ერთი გოგონა — გამოცხადდნენ მის ჯგუფში. ამით ჩაეყარა საფუძველი პენსილვანიის უნივერსიტეტში ქართული ენის სწავლებას; თავის საქმიანობაზე ამ ცენტრში ერთი წლის განმავლობაში მან საკმაოდ მრავალფეროვანი პროგრამა მოამზადა თავისივე ვიდეო-აუდიო ფილმების სტუდიის მეშვეობით, პროგრამაში ჩართულია, როგორც ქართველი კლასიკოსების, ისე ქართველ მწერალთა ნაწარმოებები, ქართული ენის დიალექტები; საქართველოს ისტორიის მთელი წიგნი, ფოტოები და ვიდეოფილმები.

ლ. ჯაყელმა მადლიერებით აღნიშნა განსვენებულ ოთარ ნოდიას ამაგი და ისიც, რომ სასწავლო პროგრამის შემუშავებაში დიდი დახმარება გაუწია ცნობილმა კავკასიოლოგმა, ქართული ლიტერატურის ჩეხურ ენაზე მთარგმნელმა ვაცლავ ჩერნიმ.

„კავკასიური სახლის“ დირექტორმა, მწერალმა ნაირა გელაშვილმა ლ. ჯაყელს გადასცა რამდენიმე წიგნი და ალბომი საქართველოს შესახებ ამერიკელი სტუდენტებისა და ბატონ ლინკარისათვის და საპასუხო წერილი, რომელშიც იმედს გამოთქვამს, რომ ამ ორი ცენტრის თანამშრომლობა მომავალში უფრო გაღრმავდება.

საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრ — „კავკასიური სახლის“ პრესსამსახური.

• • •

სურათზე: ლუიზა ჯაყელი თავის მოწაფესთან გარი ყასიდთან ერთად, რომლის ბებიაც თბილისელია.

ხსოვნა

ბესიკ ვაშაძე

ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემ
გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლ
გეოლოგიის დეპარტამენტის სამმართვე
უფროსი ბესიკ გრიგოლის ძე ვაშაძ
დაიბადა 1933 წელს თბილისში, ცნობ
გეოლოგის — გრიგოლ ვაშაძის ოჯახში. 1
წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტ
ინსტიტუტის დამთავრების დღიდან სიცოცხლის ბოლომდე მ
შაობდა რესპუბლიკის გეოლოგიის დეპარტამენტის სისტემ
სადაც განვლო გზა რიგითი გეოლოგიდან სამმართველოს უფ
სამდე.
დიდია ბატონ ბესიკის ღვაწლი აფხაზეთის ავტონომიური რე
პუბლიკისა და ბოლნისის რაიონის სასარგებლო წიაღისეუ
საბადოების შესწავლაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი უშ
ალო ხელმძღვანელობით აღმოჩენილი და შესწავლილი საყდ
სის ოქროს საბადო, რომელიც მადნეულის სამთო-მამდიდრებ
კომბინატის დამატებითი სანედლეულო ბაზაა.
ბესიკ ვაშაძე იყო უაღრესად გულისხმიერი, კარგი მეოჯ
შრომისმოყვარე და კეთილსინდისიერი ადამიანი. სადაც კი უმ
შავია, ყველგან დიდი ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგ
ლობდა. მისი სახით ქართველ გეოლოგთა ოჯახს გამოაკლდა
სანიშნავი სპეციალისტი და პიროვნება, გულმხურვალე ქართვე
ლი. მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგებისა და მეგო
რების გულში.

**საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგიის დეპარ
მენტი; საქართველოს გეოლოგიის, გეოდეზიისა
კარტოგრაფიის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლ
კური საბჭო; საქართველოს გეოლოგიური საზოგ
დოება; საქართველოს მეცნიერების აკადემიის გეო
ლოგიის ინსტიტუტი.**

ირაკლი ლუდუშაური

1994 წლის 23 მაისს ტრაგიკულად დაიღუპა რუსეთის არმიის ამიერკავკასიის ჯარების სამხედრო-საგამომძიებლო განყოფილების სამხედრო პროკურორი, იუსტიციის მაიორი ირაკლი მერაბის ძე ლუდუშაური.

იგი დაიბადა 1963 წლის 26 მარტს.

სკოლის დამთავრების შემდეგ შევიდა მოსკოვის სახელმწ
უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთ
რა 1985 წელს.
1986 წლიდან მუშაობდა ამიერკავკასიის ჯარების მე-19
მიის თბილისის გარნიზონის სამხედრო პროკურატურაში სხვ
სხვა თანამდებობებზე.
თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მან მრავალჯერ
მტკიცა ერთგულება და სიყვარული სამშობლოს. აფხაზეთ
ობაში ყოფნის დროს ორჯერ ჩახედა სიკვდილს თვალებში.
ლალი პროფესიონალიზმით ასრულებდა თავის სამსახურებ
მოვალეობას სხვადასხვა ცხელ წერტილებში: აფხაზეთში, ფ
ნაში, ყარაბაღში. ვადამდე მიენიჭა იუსტიციის მაიორის წო
ბა. იგი დაუზარებლად ეხმარებოდა და მონაწილეობდა საქა
ველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებულ ოპ
ტიულ ღონისძიებებში.
ირაკლი ლუდუშაური იყო ერთგული შვილი, მოსიყვარ
მეუღლე, მამა და თავდადებული მეგობარი.
მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულებში.

მეგობრ

მიხეილ პაპისაშვილი (პაპისოვ

გარდაიცვალა ჯანმრთელობის დაცვის
ნებული ორგანიზატორი, ომისა და შრ
ვეტერანი, სახელმწიფო კონცერნ „საქ
რორტის“ წამყვანი სპეციალისტი, რესპუბ
კის დამსახურებული ექიმი მიხეილ პ
საშვილი.
დაიბადა 1919 წელს, თბილისში. 1
წელს, თბილისის სახელმწიფო სამედიც
ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრებისთანავე
იწვიეს არმიაში, სადაც 1951 წლამდე მსახურობდა. მინიჭებუ
ჰქონდა სამედიცინო სამსახურის მაიორის წოდება.
დემობილიზაციის შემდეგ, სხვადასხვა პასუხსაგებ თანამ
ბობაზე ყოფნის პერიოდში, გამოვლინდა მიხეილ პაპისაშვილ
როგორც ჯანმრთელობის დაცვის ნიჭიერი ორგანიზატორის ფ
თო დიაპაზონი, ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მ
ვაწეობა საქართველოს პროფსაბჭოში, სახელმწიფო სახალხო კ
ტროლის რესპუბლიკურ კომიტეტში, საქართველოს ჯანმრთე
ბის დაცვის სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველ
პარტიულ ორგანოებში და სხვ.
1972-1979 წლებში ბატონი მიხეილი მუშაობდა საქართვე
ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილედ და რესპუბ
კის მთავარ სახელმწიფო-სანიტარიულ ექიმად. 1979-1984 წ
ში თბილისის მე-5 კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექ
მოადგილეა, ხოლო 1984 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მ
წეობდა სახელმწიფო კონცერნ „საქკურორტში“. მისი მრა
მხრივი მოღვაწეობა არაერთგზის აღინიშნა მთავრობის
დოებით.
განსაკუთრებით აღსანიშნავია ბატონ მიხეილის გატაცება
ზიითა და ქედურობით. მის მიერ შექმნილმა ხელოვნების ნ
შებმა საზოგადოების ინტერესი და მოწონება დაიმსახურა.
რჩეულ ლექსთა კრებულის ავტორია.
მიხეილ პაპისაშვილი თავისი უშუალობითა და დიდი შინა
კულტურით ხიბლავდა და იზიდავდა ყველას.
ჩვენგან წავიდა ვალმოხდილი მამულიშვილი, რომელმაც
სეული სამსახური გაუწია სამედიცინო საზოგადოებრიობა
ყველას, ვინც მის თანადგომას საჭიროებდა.

**საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვის
ნისტრო; სახელმწიფო კონცერნი „საქკურორტი“
ქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელ
ფონდი.**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის კოლ
ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჩვენი გ
ყოფილი მუშაკი, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალის

ვლადიმერ გრიგოლის ძე გაგელია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ელჩი მადლობელია

ბორჯომის რაიონულ გამგეობასთან არსებული რუსეთთან მეგობრობისა და კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის საზოგადოება „ბორჯომის ხეობელის“ ინიციატივით 20 მაისს მინერალური წყლების პარკის საკონცერტო დარბაზში კურორტის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები შეხვდნენ რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ვლადიმერ ზემსკის.

ბატონმა ვლადიმერ ზემსკიმ გულწრფელი მადლობა მოახსენა შეხვედრის ყველა მონაწილეს გულითადი მასპინძლობისათვის.

რეზო მინდელი.

ჭაბუკები ჯარში მიდიან

მარტვილის რაიონში აქტიურად მიმდინარეობს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში წვევამდელთა გაწვევა.

აქ თითქმის 4 წლის განმავლობაში არ ყოფილა გაწვევა. ეს განპირობებული იყო რეგიონში გამეფებული არასტაბილურობით. იმის გამო, რომ გასაწვევი ასაკის ახალგაზრდები რაიონულ ცენტრში ჩამოსვლას ვერ ახერხებდნენ, ადგილობრივი სამხედრო კომისარიატის გეგმით ჰამწვევი კომისიის წევრები ადგილებზე ახორციელებენ სამედიცინო შემოწმებას.

აბაშაში დაარსდა გაზეთი

აბაშაში დაარსდა ლიტერატურულ-პუბლიცისტური „გაზეთი „ორბონი“. გაზეთის მიზანია რეგიონის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში თავისი მოკრძალებული წვლილის შეტანა. ამ დღეებში აბაშელმა მკითხველებმა მიიღეს გაზეთის პირველი ნომერი.

თამაზ როგავა.

უკან — წარსულისაკენ!

ბორჯომ-ხაშურის 28-კილომეტრიან სარკინიგზო მაგისტრალს წლეულს ახი წელიწადი შეუსრულდა.

— საუკუნის მანძილზე ბორჯომ-ხაშურის სარკინიგზო მაგისტრალით ათასობით ტონა ტვირთი გადაიზიდა, მოემსახურა ახობით ათას მგზავრს, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს რობერტ ცუცქირიძეს რკინიგზის ბორჯომის კვანძის უფროსმა, ვაჟა ლომიძემ. — უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ თუ ასი წლის წინათ ამ მონაკვეთის გავლას სამგზავრო მატარებელი დაახლოებით 2 საათსა და 25 წუთს ანდომებდა, 1994 წლის იანვართებერვალში იმავე მანძილის დაფარვას ხშირ შემთხვევაში სამჯერ, ოთხჯერ მეტი დრო სჭირდებოდა.

ტერორისტული აქტი განახორციელეს

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, ოზურგეთის რაიონის სოფელ მერიის საავტომობილო გზაზე მიმავალ ავტომანქანას, რომელშიც იხსხდნენ ოზურგეთის შინაგან საქმეთა განყოფილების სპეცდანიშნულების რაზმის პოლიციელი შოთა თავდგირიძე, ამავე რაზმის თანამშრომლები მურმან ჯანხოთელი, სამსონ თავდიშვილი, ავთო ჩავლეიშვილი და მოქალაქე ჯემალ მეხიძე, გზა გადაუჭრა ავტომანქანამ. ბოროტმოქმედებმა პოლიციის მუშაკებს ცეცხლი გაუხსნეს. ხროლის შედეგად ადგილზე დაიღუპნენ თავდგირიძე და ჯანხოთელი, დაიჭრა მეხიძე. ბოროტმოქმედები მიიმალნენ.

წვეთ-წვეთობით დაილია ბენზინი

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, სადგურ ბათუმი-სახარისხოს ტერიტორიაზე მდგომი ცისტერნის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ აკლდა 88.770 კგ ა-76 ბენზინი, ხოლო მეორე ცისტერნაში დანაკლისმა 28.016 კგ შეადგინა. ტვირთის გამომგზავნი ბათუმის ფირმა „რანბოილი“, ხოლო მიმღები — სადგური „ამიონი“ (სომხეთის რესპუბლიკა).

გამოფენა

სამი წლის შემდეგ...

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის კორპორაციამ გამომცემლობა „მერანის“ საგამოფენო დარბაზში მოაწყო ქართული წიგნის გამოფენა, რომელიც გახსნა საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის კორპორაციის დირექტორმა ვიქტორ რცხილაძემ. გამოფენის გახსნის უშუალო ორგანიზატორია წაჰრობისა და გამოფენების განყოფილების უფროსი ლამარა ჯალაღანია.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გურამ ფანჯიკიძე, ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე აკაკი სიხარულიძე, სახელმწიფოს მეთაურის მრჩეველი, პარლამენტის წევრი ვალერი ასათიანი, პარლამენტის წევრი ჯანსუღ ჩარკვიანი, გამომცემლობა „საქართველოს“ დირექტორი ჯანსუღ ღვინჯილია, გამომცემლობა „ხელოვნების“ დირექტორი ედუარდ სიხარულიძე, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორის მოადგილე ჯუმბერ თითმერია.

— სამი წელიწადია საქართველოში ამგვარი დღე არ დაგვდგომია, ეს იმდენად უჩვეულოა, რომ აღარც კი გვჯერა... ქართული წიგნი ისევე საჭიროა, როგორც წყალი, პური და ჰაერი... უბედურების ჟამს ეს თუ გადაგვარჩენს, — აღნიშნავდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

იზა ჯაჯვაძე.

იურისტები — უნივერსიტეტს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო საიუბილეო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მოაწყო იურიდიულმა ფაკულტეტმა სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტთან, იუსტიციის სამინისტროსთან, უზენაეს სასამართლოსთან და პროკურატურასთან ერთად.

კონფერენცია გახსნა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა გივი ინწკირველმა. მონაწილეებს მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი როინ მეტრეველი, მანვე წაიკითხა ედუარდ შევარდნაძის მისალმება.

იურიდიული მეცნიერება და ეროვნული სახელმწიფოებრიობის განვითარება საქართველოში, — ასეთი იყო აქ წაკითხული მოხსენებების საერთო თემა.

კახაბერ ინწკირველი.

სტუდენტები კითხულობენ მოხსენებებს

28 მაისს აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ინსტიტუტმა გამართა სტუდენტთა მეორე სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს — 26 მაისს.

ახეთი, უკვე ტრადიციადქცეული კონფერენციები შინაარსითა და დანიშნულებით ექსპერიმენტულია. მათ ხელი უნდა შეუწყონ სტუდენტთა ცოდნის დონის ამაღლებას. ამიტომ ახეთ სამეცნიერო ღონისძიებათა თავკაცებს, პროფესორებს — ილია ტაბაღუას და ზაურ ბაბუნაშვილს განსაკუთრებული მადლობა უნდა ვუთხრათ.

უცხო ენებისა და საგარეო უწყებათა მომსახურების ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტებმა წაიკითხეს საინტერესო მოხსენებები XVI-XVIII საუკუნეებში საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა შესახებ.

ია კალანდარიშვილი.

სად გაქრა საწვავი?

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, თელავის რკინიგზის სადგურში დაიცალა დიზელის საწვავით დატვირთული ცისტერნა. ვაგონი ქალაქში შემოვიდა სადგურ გარდაბნის საერთო ფორმის აქტით. შემოწმებისას ტვირთს 19145 კგ. საწვავი აკლდა.

ერთად უნდა ვებრძოლოთ

თუ ძლიერი ქვეყანა გვინდა, ძლიერი პოლიცია უნდა გვყავდეს

თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსად, დაინიშნა პოლიციის გენერალ-მაიორი თემურ მიქაძე. პოლიციის შეფის პირველი დღეების საქმიანობა და თამამი იდეები გვაიმედებს, რომ მალე დედაქალაქში, ამჯერად საბოლოოდ, ნანატრი წესრიგი და მშვიდობა დაისადგურებს.

— ბატონო თემურ, რესპუბლიკის პარლამენტში ცნობილი გახმაურებული ამბების შემდეგ, ყველასთვის მოულოდნელად თბილისის პოლიციის შეფის თანამდებობაზე დაგნიშნეს. ამდენად, რა საკითხავია, ეს თქვენთვისაც მოულოდნელი იქნებოდა.

— მე ამის შესახებ რამდენიმე გაზეთითა და ტელევიზიითაც განვაცხადე.

გარწმუნებთ, სრულიად მოულოდნელი იყო.

გახმაურებული არასასიამოვნო ინციდენტის შემდეგ, მე და რომან გვენცაძე ქალაქის პოლიციის სამმართველოში დათოსთან მივედით. ვამშვიდებდით, თან ვთხოვეთ, ისედაც მძიმე მდგომარეობის დაუძაბავად, უამბიციებოდ შეეგუებოდა ყველა გადაწყვეტილებას, ზემდგომი ორგანოები ამ შემთხვევის მიმართ რომ მიიღებდნენ.

ზეიკიძის კაბინეტიდან გამოსვლის შემდეგ, ტელევიზიით შევიტყვე, რომ პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსად და მინისტრის მოადგილედ დამნიშნეს.

იმ საღამოსვე შევხვდი მინისტრს.

მითხრა, დედაქალაქში წესრიგის განმტკიცების მიზნით, სახელმწიფოს მეთაურმა და მე არჩევანი თქვენზე შევაჩერეთ და გადაწყვეტილება კიდეც მივიღეთო. სიგიჟემდე მიყვარს თბილისი. ეს ნაბიჯიც მხოლოდ იმიტომ გადავდგი, რომ თავდაუზოგავად ვიბრძოლო ჩემი სამშობლოს დედაქალაქში სანიმუშო წესრიგისა და დისციპლინის აღსადგენად, არც ძალა დავიშურო ამისთვის და არც გამოცდილება.

ნეტა მომასწრო იმ თბილისს, ჩვენ რომ გვახსოვს და ასე გვიყვარს.

— დათო ზეიკიძე კაბინეტს არ ტოვებდა. თქვენ სამინისტროდან, მინისტრის მოადგილის კაბინეტიდან, ხელმძღვანელობდით დედაქალაქის პოლიციის საქმიანობას. მდგომარეობის გართულებას ერიდებოდით?

— თავისთავად, ცხადია.

სამი დღე დათო ერთგვარად კონფლიქტის ხასიათზე იყო, ამბიციებს შეეპყრო. ეს არც არის გასაკვირი. ასეთი წინდაუხედავი ნაბიჯის შემდეგ, საკუთარი მოქმედების შესაცნობად და შესაფასებლად დროა საჭირო. თუმცა, ამას ჩემთვის ხელი არ შეუშლია და, ფაქტობრივად, სამინისტროდან ვმართავდი თბილისის გარნიზონის ყველა იმ ქვედანაყოფის საქმიანობას, რომელიც მთლიანობაში დედაქალაქის პოლიციას წარმოადგენს.

მეოთხე დღეს, თავად დათოს ინიციატივით, ქალაქის სამმართველოში შევიკრიბეთ და უკონფლიქტოდ, დამსახურებისამებრ გავაცილეთ ის.

— ბატონო თემურ, კოლექტივმა კარგად მიგიღოთ?

— ეს კოლექტივი ჩემთვის უცხო არ იყო. 1980-85 წლებში ამავე სამმართველოს უფროსის მოადგილედ ვმუშაობდი, ყველა ოპერატიული სამსახურის კურატორი ვიყავი. ამდენად, გარნიზონში ძველი მუშაკიც ბევრი დამხვდა და ახალიც.

მოგვიანებითაც, სამინისტროს სამძებრო სამმართველოს უფროსად და მინისტრის მოადგილედ მუშაობისას, თითქმის ყველასთან მიწევდა ურთიერთობა. ამიტომ მეც არ ვიყავი მათთვის უცხო, თანაც კარგად ვიცნობდი ქალაქის გარნიზონში შექმნილ ვითარებას, თუ გნებავთ, კადრებს.

— ყოველი პრეზიდენტი, თუ პრემიერ-მინისტრი, ასევე პოლიციის შეფი, სანამ საქმიანობას შეუდგებოდეს, ერთგული და კომპეტენტური ადამიანებისგან საკუთარ გუნდს აყალიბებს.

თქვენ თუ გყავთ თქვენი გუნდი?

— მკაცრი საკადრო პოლიტიკის განხორციელება არ მიჩქარია.

ჩემი დანიშვნიდან რამდენიმე დღეში, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ და პროკურატურამ კომპლექსურად შეისწავლეს ქალაქის პოლიცია. მისი ოპერატიულ-სამძებრო სამსახურების საქმიანობა და ეს საქმიანობა კრიტიკულად, არადამაკმაყოფილებლად შეაფასეს. ამჟამად ხელთა მაქვს ზღვა მასალა გარნიზონის თითოეული ქვედანაყოფის მუშაობის შესახებ და ჩემთვის უკვე იოლია ვითარების ობიექტური, რეალური შეფასება, ასევე მოქმედება. დღესდღეობით, რამდენიმე ძირითადი წამყვანი სამსახურის ხელმძღვანელები — მთავარი სამმართველოს უფროსის ერთ-ერთი მოადგილე, სამძებრო სამმართველოს უფროსი, მისი მოადგილე, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს უფროსი, საგზაო პოლიციის უფროსი და ასე შემდეგ — შევცვალეთ.

ახლა გუნდს, რაც შეეხება: კაცი, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობს, თავისი ქალაქის ინტერესებს ემსახურება და ამ ქალაქში წესრიგის დასამყარებლად სიცოცხლესაც არ დაიშურებს, ჩემს გუნდში ჩაირიცხება.

ხოლო ის, ვინც ორ სკამზე ზის, მოვლენათა და დროთა ცვალებადობას ელოდება, ჩვენს გვერდით ვერ დადგება.

— ბატონო თემურ, უკვე თვენახევარია ამ თანამდებობაზე მუშაობთ. რის გაკეთება მოასწარით?

— ამ დროის განმავლობაში, ერთი რამ, რაც მოვახერხე, ის არის, რომ საგზაო პოლიცია, პოლიციის ფორმით, ქუჩაში, წინასწარ მითითებულ დისლოკაციის ადგილებზე გამოჩნდა და ეს უკვე მოსახლეობამაც იგრძნო. ამას გარდა, შიდა რეზერვების გამოყენებით შევქმენით ადმინისტრაციული პოლიცია, თავისი საპატრულო-საგუშაგო პოლკით, რომელიც 700 კაცამდე ითვლის და საგზაო პოლიციასთან ერთად, საპატრულო-საგუშაგო სამსახურს ეწევა.

ისეთი აღვირახსნილი მოძრაობა, ჩვენს დედაქალაქში რომ იყო, არა მგონია მსოფლიოს რომელიმე სხვა ქვეყნის დედაქალაქში ყოფილიყო. ახლა უკვე შეიმჩნევა მდგომარეობის გამოსწორების პირველი ნიშნები, ქალაქში თითქმის აღიკვეთა უნომრო ავტომანქანების თარეში. 64 ასეთი ავტომანქანის მფლობელის საქმე უკვე გადაეცა სასამართლოს. უკეთეს შემთხვევაში, მათ ჩამოართმევენ და გაუყიდიან მანქანებს. დაუსჯელად გრძნობდნენ თავს მთვრალი მძღოლებიც. ამ სამსახურის მიერ, თვენახევრის განმავლობაში, 150 ასეთი მოქალაქეა გამოვლენილი და დასჯილი. ამასთან, მოქმედი კანონმდებლობით, უდისციპლინო მძღოლების დაჯარიმებისა და დასჯის პრაქტიკა სულაც არ შეესაბამება ჩვენი ქალაქის მოთხოვნებს. ეს საკითხი პარლამენტის წინაშე დავაყენეთ და იმედი გვაქვს კანონი გამკაცრდება.

საგზაო პოლიციის თანამშრომლებს, უბნის ინსპექტორებს, ვინც ვალდებულია, ფორმით იაროს, ფორმა არ ეცვათ. ძველი ფორმის ტანსაცმელი დავაკემსინეთ, გავაწმენდინეთ... დღეს უკვე ქალაქში გამოჩნდა პოლიცია.

მძიმე მდგომარეობაში არიან უბნისა და ეგრეთ წოდებული, ბავშვთა ოთახების ინსპექტორები. ვიღაც „ჰკვიანმა“ მათ სამუშაო კაბინეტები ჩამოართვა და კომერციულ სტრუქტურებს გადასცა. ამ საკითხის გადაწყვეტა მერიის ხელმძღვანელობას ვთხოვეთ. ერთი სიტყვით, ხუთ წელიწადში ყველაფერი დაინგრა, გაპარტახდა და თავიდან არის აღსადგენი.

— ამ ბოლო ხანს, დედაქალაქში მრავლად შეხვდებით პოლიციისა და შინაგანი ჯარის ნაწილებს; მძიმე ჯავშნიანი ტექნიკით გადაკეტილია ქუჩები, მოედნები. ეს მოსახლეობაში არაერთგვაროვან რეაქციასა და სხვადასხვა ჭორების გავრცელებას იწვევს.

— სამინისტროსა და ქალაქის სამმართველოს შორის დიდი ხნის ჩატეხილი ხიდი გამრთელდა, ურთიერთობა საქმიანი და კოლეგიური გახდა. ამის შედეგი იყო, რომ სამინისტროს ხელმძღვანელობასთან ერთად, ფართომასშტაბიანი ოპერაცია დავგეგმეთ, რომელიც სულ ახლახან განვახორციელეთ. შინაგან საქმეთა სამინისტრო და ქალაქის პოლიციის გარნიზონი საკმაო რაოდენობით მძიმე ჯავშნიან ტექნიკას ფლობს. ტანკებისა და ჯავშანმანქანების ქუჩაში გამოყვანა ერთადერთ მიზანს ისახავდა: დავვენახა, რა ძალა გვქონდა და ექსტრემალურ სიტუაციაში შევძლებდით თუ ვერა ქალაქის გადაკეტვას. აღმოჩნდა, რომ შეგვძლებია და შედეგიც კარგი იყო. ოპერაციის შედეგად გამოვავლინეთ და დავაკავეთ ასობით ეჭვმიტანილი — ქურდი, თაღლითი, ნარკოტიკული ნივთიერებებით მოვაჭრე, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ მფლობელი...

— დღეს უკვე დაუფარავად ლაპარაკობენ თბილისში სხვადასხვა მსხვილი მაფიოზური დაჯგუფებების მოქმედების შესახებ. რამდენად ხელეწიფება პოლიციას მათ წინააღმდეგ ბრძოლა?

— თბილისში, მართლაც არის რამდენიმე მაფიოზური დაჯგუფება, რომელთა მიზანია დედაქალაქში დესტაბილიზაციის გამოწვევა და არეულობის ახალი ტალღის აგორება. კატასტროფულად გაიზარდა ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანთა მოტაცების შემთხვევები, უკანონო ვაჭრობა, სავალუტო ოპერაციები... ყველა უკანონო საქმიანობას მაფიის ხელი ატყვია. იღებენ რაღაც პროცენტებს, ვისაც თუ ერთი-ორი კაპიკი ჰქონდა, ყველა „გადაგდებულია“, მთელი თბილისი „გადაგდებულია“... აიძულებენ გადააფორმონ ბინები, ავტომანქანები, უძრავ-მოძრავი ქონება. მაფიოზური კლანების ზემოქმედებით ინგრევა ოჯახები, უბედურდება ხალხი.

ბევრი დაკავებულია, ბევრის მიმართ საინტერესო ინფორმაციას ვფლობთ, ბევრიც გაიქცა... იმედი მაქვს, გავუმკლავდებით მაფიის თავხედობას.

ასე რომ, ამ ეტაპზე ერთადერთს, რასაც მთავრობას ვთხოვთ, ქალაქის პოლიციის ჩაცმა-დახურვა და აღჭურვაა...

ამას პოლიციელის სიცოცხლის დაცვის გარანტიებიც უნდა დაემატოს.

თუ ძლიერი ქვეყანა და ძლიერი ეკონომიკა გვინდა, ძლიერი პოლიცია უნდა გვყავდეს.

— ბოლო დროს, თბილისში მომხდარი ტერორისტული აქტებისა და, საერთოდ, ამაზრზენი მკვლელობების გამოძიებაში ხომ არ არის რაიმე წინსვლა?

— არის. შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების სამსახურის, აგრეთვე სხვა უწყებების ერთობლივმა, ინტენსიურმა მუშაობამ ბნელით მოცული მკვლელობების ბევრ საიდუმლოს მოჰფინა ნათელი. დღეს არა ერთი ეჭვმიტანილი, მათ შორის რამდენიმე ჩინოსანია დაპატიმრებული, თუმცა საქმის ინტერესები ამაზე მეტის თქმის უფლებას არ მაძლევს.

— დახახრულ, 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, დედაქალაქში რაიმე ექსცესებს ხომ არ ელოდებით?

— 26 მაისს, ხელისუფლების სადღესასწაულო პროგრამის შესაბამისად, სამინისტროსთან ერთად შედგენილი სპეციალური გეგმით ვიმოქმედებთ. ეს დღე საერთო ეროვნული დღესასწაულია, ჩვენი საერთო სიხარულია და ამ სიხარულის ჩაშხამებას არავის ვაპატიებთ...

ზაურ მაკარაძე.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა 1994 წლის 26 მაისიდან დაადგინა კუპონი მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

ავსტრალიური დოლარი	591,273.56
ავსტრიული შილინგი	69,585.86
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	1,211,845.73
10 ბელგიური ფრანკი	237,604.56
გერმანული მარკა	489,066.17
ჰოლანდიური გულდენი	436,008.39
დანიური კრონი	124,955.54
100 იტალიური ლირა	50,606.68
კანადური დოლარი	585,241.37
ნორვეგიული კრონი	112,920.90
აშშ დოლარი	805,000.00
ფინური მარკა	149,487.86
ფრანგული ფრანკი	142,920.42
შვედური კრონი	104,692.48
შვეიცარიული ფრანკი	572,140.47
10 იაპონური იენი	77,144.06
ეკიუ	940,804.99
10 ესპანური პესეტა	59,289.63
10 ბერძნული დრაჰმა	32,764.99
ირლანდიური გირვანქა	1,193,413.56
ირლანდიური კრონი	11,880.45
ქუვეიტური დინარი	2,702,251.19
10 ლიბანური გირვანქა	4,779.02
10 პორტუგალიური ესკუდო	47,288.97
სინგაპურული დოლარი	523,577.10
10 თურქული ლირა	242.14
ეგვიპტური გირვანქა	238,517.89
რუსული მანეთი	424.00
ლიტვური ლიტი	202,845.52
ლატვიური ლატი	1,404,686.56
ესტონური კრონი	61,017.84
10 უკრაინული კარბოვანეცი	186.56
ყაზახეთის ტენგე	14,628.00
მოლდავეთის ლეი	196,545.20
ყირგიზეთის სომი	65,325.68

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი ეძღვნება

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა კა
27 მაისს.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ზოგიაშ